ავთანდილ სონღულაშვილი

დაზვერვის ისტორიიდან

ავტორი უღრმეს მადლობას უხდის ბატონ *შუგათ შუკვანს*
ნაშრომის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2008

უაკ (UDC) 355.40
ს – 677

ნაშრომში ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების, საარქივო და სხვა დოკუმენტური მასალების გათვალისწინებით, ასევე მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე პოპულარულად გადმოცემულია დაზვერვისა და კონტრდაზვერვის საკითხები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

აქვე, ყურადღება გამახვილებულია სადაზვერვო საქმიანობის მდგომარეობაზე საქართველოს ისტორიულ წარსულში.

ნაშრომი გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *თენგიზ გრიგოლია*

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *მაია ამირგულაშვილი*
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი *დოდო ჭუმბურიძე*

© ა. სონღულაშვილი, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი", 2008
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-273-6

„იმისთვის, რათა სასიკვდილოდ დაარტყა მტერს,
აუცილებელია მას კარგად იცნობდე“

მაქსიმ გორკი

ვის არ გაუგია ცნობილი ლეგენდა ტროელთა ცხენზე, იმაზე, თუ როგორ ასწავლა ოდისევსმა ეშმაკური ფანდი ბერძნებს, რომლებსაც ათი წლის მანძილზე ალყაში ჰყავდათ ტროა და მაინც ვერ ახერხებდნენ მის აღებას. ბერძნებმა, ვითომ ალყა მოვუხსენითო, ხომალდებს მიაშურეს. მტრის დატოვებულ ბანაკში ტროელებმა უზარმაზარი ხის ცხენი ნახეს. ტყვე ბერძენმა ყმაწვილმა სინოპმა, რომელიც ოდისევსის გეგმას ასრულებდა, ტროელებს უთხრა: ეს ჯადოსნური ცხენია, ქურუმებმა იწინასწარმეტყველეს, სანამ ეს ცხენი ტროაში იქნება, მას ვერავინ აიღებსო. გახარებულმა ტროელებმა ცხენი ქალაქში შეიტანეს. ღამე კი, სინოპის ნიშანზე, ბერძენთა ხომალდები ტროას კედლებთან დაბრუნდნენ. ხის ცხენში ჩამალული მეომრები ცხენიდან გამოძვრნენ და მძინარე ტროელთ თავს დაესხნენ. იმავე დროს ქალაქში შეიჭრა დაბრუნებული ხომალდებიდან გადმომსხდარი ბერძენთა ლაშქარი. გარემომცველებმა ერთ ღამეში შეისრულეს საწადელი, რომელსაც ამაოდ ესწრაფვოდნენ ხანგრძლივი ათი წლის მანძილზე...

უეჭველია, დაზვერვა ოდისევსამდე დიდი ხნით ადრე წარმოიშვა. დაზვერვის გამოყენების კვალს ათასწლეულების სიღრმეში მივყავართ. ბიბლიის ქრონოლოგიით

დაზვერვას იყენებდნენ თუ სამყაროს შექმნამდე არა, ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ მაინც.

ისუ ნავეს წიგნი მოგვითხრობს, თუ როგორ შეაგზავნა მან წინასწარ ორი მსტოვარი ალყაშემორტყმულ იერიქონში. ორი საეჭვო უცნობის ჩამოსვლა რომ შეიტყო, იერიქონის მეფემ მათი შეპყრობა ბრძანა. მაგრამ რააბმა მზვერავები სახურავის ისლში დამალა. ჯაშუშებმა მოახერხეს გაპარვა. ქალაქი თითქოს იერიქონის საყვირის ხმაზე დაეცა. მაგრამ ამას ცოტათი როდი შეუწყო ხელი იერიქონელმა მეძავმა და მისმა „კონსპირაციულმა ბინამ“. ბიბლია მიუდგომლად მოგვითხრობს, თუ რით დამთავრდა ეს ამბავი.

ვინ არ იცის ფილისტიმელი დალილა, რომლის ამბავი ბიბლიის „მსაჯულთა წიგნშია“ მოთხრობილი? დალილა გოლიათ სამსონის საყვარელი გახდა და შეიტყო მისი არაჩვეულებრივი ღონის საიდუმლოება. თურმე საკმარისი ყოფილა სამსონს თმები შეაჭრა და ღონე მთლად გამოეცლება. დალილამ არა მარტო აცნობა ფილისტიმელთ მიღებული „ჯაშუშური ინფორმაცია“, არამედ დაეხმარა კიდეც მათ „დივერსიის“ მოწყობაში — შვიდი დალალი შეაჭრეს სამსონს. დაუძლურებული გოლიათი სულ ადვილად დაამარცხეს: თვალები დათხარეს, ბორკილი დაადეს და მონის დამამცირებელ მოვალეობას ასრულებინებდნენ. თითოეულმა ფილისტიმელმა უხუცესმა წარმატების შემთხვევაში „საბედისწერო ტურფათა“ პირველ ნიმუშს ჯილდოდ 1100 ვერცხლი აღუთქვა. მაგრამ დალილამ ძალიან ადრე ანება თავი სამსონის ზვერ-

ვას. სამსონს თმები ისევ გაეზარდა და სასტიკად აზღვევინა მტერს.

დაზვერვის საქმიანობა ასევე შეიძლება შევიტყოთ ქვებზე გაკეთებული ძველი წარწერებიდან და პაპირუსებიდან, რომლებიც ეგვიპტელ ფარაონთა მეფობის ისტორიას მოგვითხრობენ.

1312 წელს ჩვენს ერამდე ახალგაზრდა ეგვიპტელმა ფარაონმა რამზეს II ჩრდილო სირიაში ქალაქ კადეშის ახლოს ბრძოლა გაუმართა ხეთებს. ხეთების ლაშქრის ორმა ვითომ დეზერტირმა ფარაონს ყალბი ცნობები მიაწოდა მტერზე. რამზესმა მტერს შეუტია და გარემოცული აღმოჩნდა. რის ვაივაგლახით მოახერხეს ეგვიპტელებმა ხეთების რიგების გარღვევა და დაღუპვას გადარჩნენ.

ძველი ასურეთის სახელმწიფოს ჰყავდა მზვერავთა კორპუსი, რომლის მეშვეობით ინფორმაციას იღებდა მეზობელი სახელმწიფოების მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, ჩვენამდე მოაღწია ასურელი მზვერავების მოხსენებებმა სამეფო კარისადმი (VIII საუკუნის ბოლო)სადაც მოცემულია საჭირო ცნობები მეზობელი ქვეყნის — ურარტუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

„მზვერავმა“ დალილამ სამსონს ძლიერების წყარო დაუშრიტა — თმები შეაჭრა. ცოტა სხვაგვარად გამოიყენა თმები სირაკუზის მმართველმა. მას უნდოდა იონიელები აეჯანყებინა სპარსეთის მეფის წინააღმდეგ და მათთან მაცნე აფრინა. შიკრიკს თავი გადაპარსეს, ზედ

დააწერეს მიმართვა იონიელი ბერძნებისადმი და აცალეს თმებს წამოზრდა. „ფარული მიმოწერის“ ეს ხერხი მეტად მარჯვე აღმოჩნდა.

ანტიკური ხანის ავტორები გვიამბობენ სხვადასხვა ფანდებსაც, რომლებსაც მტრის მსტოვრებთან ბრძოლის დროს იყენებდნენ. IV საუკუნეში ჩვენს ერამდე ერთმა ათენელმა მხედართმთავარმა შეიტყო, რომ ლაშქარში მტრის ჯაშუშები ჰყავს, გაამწკრივა მეომრები და უბრძანა, თითოეულმა დაწვრილებით დაკითხეთ მეზობელიო. ჯაშუშები შეიპყრეს.

მავრიკიოსი წერდა: „თუ მოწინააღმდეგის ჯარი შედგება სხვადასხვა ხალხებისაგან და მათ შორის უთანხმოებაა, მაშინ უნდა გათიშო ისინი ძვირფასი საჩუქრებითა და დაპირებებით, გადმოიბირო წარჩინებულნი.... აუცილებელია ყველაფრის დაზვერვა ჯაშუშებისა და მზვერავების სშუალებით, თუ რა ხდება მტრის ბანაკში.“ მისივე სიტყვებით „მტრის ქვეყანაში... ყოველთვის უნდა გავგზავნოთ ჯაშუშები და მზვერავები, გარდა ამისა, აუცილებელია შევაგროვოთ მტრულად განწყობილ ქვეყანაზე ცნობები ტყვეებისაგან და გადმოსულებისაგან.“

დაზვერვამ თავისი დაღი დაასვა ბერძენ-სპარსელთა ომების მსვლელობას (Vს. ჩვენს ერამდე). მოღალატე ეფიალტმა სპარსთა ლაშქარი საიდუმლო ბილიკებით ატარა, შემოუარეს თერმოპილის ხეობას, რომელსაც სპარტელთა მეფე ლეონიდე 300 მეომრით იცავდა.

სპარტელთა რაზმი უთანასწორო ბრძოლაში სულ გაწყდა.

ცუდმა დაზვერვამ თუ საერთოდ დაზვერვის უქონლობამ კინაღამ დაღუპა ალექსანდრე მაკედონელის ძლევამოსილი ლაშქარი. ინდოეთში ლაშქრობისას მაკედონელებმა როდი იცოდნენ, რომ ინდოელებს ბრძოლის ველზე საომარი სპილოები გამოჰყავდათ. მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა მაკედონელთა არმია დამარცხებისაგან გიდასპთან გამართულ ბრძოლაში.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ იმავე ხანებში ალექსანდრე მაკედონელმა პირველმა გამოიყენა საფოსტო ცენზურა დაზვერვის საშუალებად. 334 წელს ჩვენს ერამდე სპარსელთა მეფის დარიოსის წინააღმდეგ მაკედონელთა ცნობილი ლაშქრობის დროს მეომართა შორის თავი იჩინა უკმაყოფილების ნიშნებმა. ალექსანდრემ გადაწყვიტა შეეტყო მოსალოდნელი ამბოხის მიზეზი და თავკაცები. ამ მიზნით მან ნება დართო მეომრებს წერილები გაეგზავნათ სამშობლოში, რაც ლაშქრობის დაწყებისას აკრძალული იყო. რამდენიმე დღის შემდეგ შიკრიკებმა წაიღეს მეომრების მიერ ოჯახებში გაგზავნილი უამრავი წერილი. ალექსანდრემ ბრძანა, გზაზე დაეკავებინათ შიკრიკები და ყურადღებით შეესწავლათ წერილები. წერილებმა უკმაყოფილების მიზეზებსაც ახადეს ფარდა და იმათი სახელებიც გამოააშკარავეს, ვინც ყველაზე აქტიურად გამოდიოდა მაკედონიის მეფის განკარგულებათა წინააღმდეგ.

სახელოვანი ჰანიბალი, რომელსაც არაერთგზის დაუმარცხებია რომაელთა არმიები, მეორე პუნიკური ომის დროს (III ს. ჩვ.ერამდე), გამარჯვებებს მარტოოდენ თავის მხედართმთავრულ ნიჭს როდი უნდა უმადლოდეს. მას კარგი დაზვერვაც ჰყავდა. როცა ჰანიბალი სიცილიაში გარს შემოერტყა ერთ ქალაქს, შეგზავნა იქ მსტოვარი, რომელიც ღამე თავის ქოხიდან ცეცხლით და კვამლით აძლევდა ნიშანს კართაგენის ლაშქარს. ქალაქი დაეცა. იტალიაში შეჭრილ კართაგენელთა არმიას ათობით და ასობით მსტოვარი მიუძღოდა წინ, რომელთაც ჰანიბალისთვის უნდა ეცნობებინათ რომაელთა ლაშქრის და გამაგრებული ქალაქების ამბავი. ანტიკური ხანის ისტორიკოსები პოლიბიუსი და ლიბიუსი მოგვითხრობენ, რომ კართაგენელთა მთავარსარდალს არაერთხელ დაუხურავს პარიკი, გაუკეთებია წვერი და რომაელთა ლაშქარში გარეულა. ამავე დროს იგი მარჯვედ ნიღბავდა ხოლმე თავის მოქმედებას. ერთხელ ჰანიბალის ბრძანებით ხარებს რქებზე ანთებული მაშხალები მიამაგრეს. ნახირი რომ მიდიოდა, რომაელებს ეგონათ კართაგენელთა ლაშქარი მოდისო.

I საუკუნის 30-იან წლებში ჩვ. ერამდე რომაელმა სარდალმა ვენტიდიუსმა შეიტყო, რომ მის ლაშქარში პართიელთა ჯაშუში იყო და ხმა დაყარა, თითქოს ეშინოდა პარითიელთ დაბლობზე არ შემოეტიათ, სადაც ლეგიონებს გაუძნელდებათ ცხენოსან პართიელებთან ბრძოლაო. ეს გზა ყველაზე გრძელი გზა იყო, მოკლე კი მთაზე გადადიოდა. პართიელნი გრძელ გზას დაად-

გნენ. ვენტიდიუსმა კი ამ ეშმაკობით დრო მოიგო, მაშველი ძალები მოიყვანა და მტერი დაამარცხა.

ძველი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მმართველი, რომელიც ფართოდ იყენებდა საიდუმლო სამსახურს, პონტოს მეფე მითრიდატე VI იყო. იგი ცხოვრობდა I საუკუნეში ჩვ. ერამდე. ტახტზე ჯერ კიდევ ბავშვი ავიდა, შემდეგ კარის ინტრიგების შედეგად ტახტიდან ჩამოაგდეს და კარგა ხანს დაეხეტებოდა მცირე აზიის ქვეყნებში. ამბობენ, 14 წლისამ უკვე ოცდაორი ენა იცოდაო. მითრიდატემ შეძლო ტახტის დაბრუნება, რის შემდეგ სიკვდილით დასაჯა თავისი დედა და ბევრი უახლოესი ნათესავი. ჭკვიან და ულმობელ დესპოტს უფრო ძლიერი მტრის — რომის წინააღმდეგ ბრძოლაში რომის ლეგიონების მიერ დამორჩილებულ ხალხთა მეგობრად მოჰქონდა თავი. მითრიდატეს აგენტები დაუცხრომლად იღწვოდნენ რომის ბევრ აზიურ სამფლობელოსა და საბერძნეთში და იყენებდნენ იქ გამეფებულ უკმაყოფილებას. მითრიდატემ მშვენივრად იცოდა აგრეთვე შინაპოლიტიკური მდგომარეობა რომისა, სადაც მარიუსის და სულას პარტიებს შორის გამართული სამოქალაქო ომის მტრობას და უთანხმოებას თესავდა ირგვლივ. პონტოს მეფე ახერხებდა წინასწარ შეეტყო ის ამბები, რომლებიც რომში უნდა დატრიალებულიყო და თავისი ინტერესებისთვის იყენებდა ამას.

ანტიკური ხანის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი იულიუს კეისარი ფართოდ იყენებდა დაზვერვას გალების ქვეყნის დაპყრობის დროს. მას არაერთხელ შე-

უგზავნია მტრისათვის მსტოვარი ცრუ ცნობებით. მაგრამ მოგვიანებით თვითონ კეისრისათვის სრულიად მოულოდნელი შეიქმნა რომაელ რესპუბლიკელთა შეთქმულება.

რომაელ იმპერატორებს, მეტადრე ნამდვილ ტირანებს ტიბერიუსსა და დომიციანეს (I საუკუნე ახ. წელთაღრიცხვით) მთელი არმია ჰყავდათ ფარული აგენტებისა, რომლებიც თვალს ადევნებდნენ ყველა საეჭვო პიროვნებას. რომში მათ „დელატორებს“ (ინფორმატორებს) უწოდებდნენ.

როდესაც რომაელი სარდალი გნეუს პომპეუსი ქართლის სამეფოს საზღვრებს მოადგა (65 წ. ჩვ. ერამდე), ქართველი მოციქულები მას ბანაკში ეწვივნენ და ქართლის მეფის სახელით მშვიდობა ითხოვეს. რომის სარდალმა კარგად იცოდა, რომ ქართლს საბოლოოდ მხოლოდ იარაღით დაიმორჩილებდა, მაგრამ რადგან ალბანეთთან აპირებდა შებრძოლებას, არტაგის ელჩებს ზავის დადება აღუთქვა. მოლაპარაკება დამთავრებული არ იყო, როცა რომაელთა მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, ქართლში საომრად ემზადებიანო. პომპეუსმა უმალვე იაზრა, რომ ქართლთან ომის კარგი საბაბი ეძლეოდა... რომაელებმა ქართლი დაიკავეს.

ქართლის მეფის ფარსმან პირველის ძე რადამისტი პატივმოყვარეობამ და განდიდების დაუცხრომელმა სურვილმა შეიპყრო. ჭაბუკი მოუთმენლად მოელოდა სამეფო ტახტს, მაგრამ მოხუცებული მამა არ კვდებოდა. მეფემ შვილის პატივმოყვარეობა სხვა მიმართულებით წარმარ-

თა: სომხეთის ტახტის დაკავება ურჩია, რაც რადამისტს სამომავლოდ მომხიბვლელ პერსპექტივას — იბერია-არმენიის მის ხელში გაერთიანებას უსახავდა. სომხეთში რადამისტის გამეფებაც სიფრთხილით იყო მომზადებული: ფარსმანმა ძმის სიფხიზლის მოსადუნებლად მასთან, ვითომცდა, მამასთან წაჩხუბებული რადამისტი გაგზავნა (51 წელს ახ.წ.). სომხეთში ყოფნა რადამისტმა აქაური დიდებულების გარკვეული ნაწილის მოსყიდვა-გადმობირებისთვის და მითრიდატეს წინააღმდეგ ამხედრებისთვის გამოიყენა, შემდეგ კი, თითქოს მამასთან შესარიგებლად ქართლში დაბრუნდა და მოახსენა: „რაც მზაკვრობით შეიძლებოდა გაკეთებულიყო, გაკეთებულია, დანარჩენი იარაღით უნდა აღსრულდესო“. მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვანა ფარსმანმა ჯარი არმენიაში.

როგორც ვხედავთ, ძველ დროშივე კარგად იყო ცნობილი დაზვერვითი მუშაობის ბევრი ხერხი, რომლებიც უფრო გვიან ჩვეულებრივ ხერხებად იქცა: შიფრის, საფოსტო მტრედების და სხვა საგანგებოდ გაწვრთნილი ფრინველების (მათ შორის მერცხლებისაც) გამოყენება მოხსენებების გასაგზავნად. მიუხედავად იმ დიდი როლისა, რომელსაც ანტიკურ ეპოქაში ჯაშუშობა ასრულებდა, ვერსად ვერ ნახავთ ცნობას, რომ მაშინ საგანგებო დაზვერვითი ორგანიზაცია არსებობდა სადმე.

V საუკუნეში რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილი დასცა შინა აჯანყებებმა და ბარბაროსთა ტომების შემოსევამ. რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი (ბიზანტია), რომლის ცენტრი კონსტანტინეპოლი იყო, გადარჩა

და დიდი ხნის მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და კულტურულ სახელმწიფოს წარმოადგენდა შუა საუკუნეებში. სწორედ ბიზანტია შეიქმნა თავისი იმპერატორებით, სამეფო კარის ბრწყინვალე შტატით და სისხლისმღვრელი სასახლის გადატრიალებებით შესაფერი ქვეყანა დაზვერვითი სამსახურის შემდგომი სრულყოფისათვის.

გარკვეული დროით ეს ტრადიცია დაარღვია იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565წ.წ.). როგორც VI საუკუნის ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი თავის „საიდუმლო ისტორიაში" მოგვითხრობს იმპრატორი „არ იხარჯებოდა მზვერავთა შესანახად, პირიქით მათი სახსენებელიც კი გააქრო რომის სახელმწიფოში, რის გამოც მრავალგზის დაუშვა შეცდომა. აღსანიშნავია, რომ ირანის მიერ ლაზიკის დაპყრობა იმანაც განაპირობა, რომ რომაელებს არავითარი ცნობები არ გააჩნდათ სპარსელთა ჯარის მოძრაობის შესახებ." ირანის შაჰმა ხოსრომ პირიქით, ხელფასები გაუზარდა მზვერავებს. მისთვის არაფრი იყო დაფარული, რაც კი რომაელებთან ხდებოდა.

სამაგიეროდ, იუსტინიანეს მეუღლე თეოდორას საკუთარი დაზვერვა ჰყავდა. „მთელი ბრბო ჯაშუშებისა აუწყებდა ყველაფერს რაც კი ხდებოდა ან ითქმებოდა მოედნებსა თუ სახლებში." თეოდორა განუწყვეტლივ უმეორებდა თავის აგენტებს, როცა ინსტრუქციებს აძლევდა, „უკვდავ იესოს გეფიცებით, თუ ჩემს ბრძანებას არ შეასრულებთ, ცოცხლად გაგაძრობთ ტყავსო." მუქარას

თავისი გაჰქონდა: ყველამ კარგად იცოდა, რომ იუსტინიანეს მეუღლე თავისი სიტყვის პატრონი იყო.

ჯაშუშები წელებზე ფეხს იდგამდნენ. ველისარიუსმა — მხედართმთავარმა, რომელმაც ძლევამოსილი ლაშქრობების შედეგად იმპერატორს კვლავ დაუმოჩრილა ჩრდილო აფრიკა და იტალიის დიდი ნაწილი — ერთხელ, გაჯავრებულმა თქვა, იუსტინიანეს სიკვდილი წყალობა იქნებაო. თეოდორას ეს მაშინვე აცნობეს. ველისარიუსი ბედის კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რომ განსაკუთრებული წყალობის ნიშნად მას სიცოცხლე და ქონების ნაწილი შეუნარჩუნეს.

თეოდორა გარდაიცვალა 548 წელს, მას შემდეგ, რაც 22 წელი მართა სახელმწიფო.

ბიზანტიას აწყობილი დაზვერვა მომდევნო საუკუნეებშიც ჰქონდა. ევროპაში კი, პირიქით, შუა საუკუნეები მთლიანად დაზვერვის სამსახურის დაცემის ხანა იყო. რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისიც.

878 წლის მაისი იდგა... დანიის მეფე გუტრუმი თავისი მებრძოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში მოვიდა და მდინარეების — პარეტისა და ტოუნის შესართავთან დაბანაკდა. სკანდინავიელმა დამპყრობლებმა (რუსეთში მათ ვარიაგებს ეძახდნენ) უკვე დიდი ტერიტორია იგდეს ხელთ ინგლისში. უესექსის ანგლოსაქსმა მეფემ ალფრედმა თავისი მთავარი სამფლობელოები დაკარგა, და ახლა გუტრუმის მებრძოლები, მოკალათებულნი იმ მიწაზე, რომელსაც სულ ახლახან უესექსის მეფე მართავდა, გამარჯვებას ზეიმობდნენ. დანიელები როდი ფა-

რავდნენ თავიანთ სიძულვილს დამარცხებული მტრისადმი, რომელსაც ხალხი დიდ სამხედრო ხელოვნებას მიაწერდა. მას მეომრები თითქმის აღარ დარჩა და ვეღარასოდეს მოიკრებს იმდენ ძალას, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს გამარჯვებას ჩვეულ მამაც დანიელთა ლაშქარს. აი ამაზე საუბრობდნენ გუტრუმის კარავთან შეჯგუფული დანიელები.

ლაპარაკი მელოდიური მუსიკის ჰანგებმა გააწყვეტინათ. ქნარი უკრავდა. ეს იყრო ვიღაც საქსი, რომელსაც ცუდად ესმოდა დანიური ენა. ერთ კვირაზე მეტი იყო, რაც მას გუტრუმის ლაშქარში ხედავდნენ. ისე შეეჩვივნენ, უკვირდათ კიდეც, ერთ-ორ დღეს რომ არ გამოჩნდებოდა ბანაკში. ქნარის დამკვრელი, ცხადია, ღატაკი იყო. ზურგზე მას თოფრაკი ეკიდა და ამ თოფრაკში აგროვებდა ხორცის ნაჭრებს და პურის ნატეხებს — ნასუფრალს დანიელი მებრძოლებისას, რომლებმაც უამრავი მარცვლეული და საქონელი წაართვეს დამარცხებულ საქსებს. მუსიკოსს ალბათ ოჯახში მიჰქონდა დანიელ მებრძოლთა ნასუფრალი. როგორც ჩანს, ამიტომ გადაიკარგებოდა ხოლმე იგი ხშირად ორიოდე დღით ბანაკიდან.

ქნარის დამკვრელი კარგი მუსიკოსი იყო. ხანდახან იგი, თვალებმილულული და უცნაურად მოღიმარი, თავდავიწყებას ეძლეოდა და ქნარს ისეთ წყნარ, ნაზ ხმებს გამოაცემინებდა, რომლებიც ხელს კი არ უშლიდა, უფრო აცხოველებდა მკაცრი მებრძოლების საუბარს. ასე მოხდა ახლაც, როცა ქნარის ჰანგებზე გუტრუმმა და

მისმა შინაკაცებმა დაწვრილებით განიხილეს უესექსის მეფის რაზმის განადგურების გეგმა. დანიელებს კარგად ეხერხებოდათ ფანდების გამოყენება და ეშმაკობა ბრძოლის ველზე და ახლა მათ წინასწარ მოილაპარაკეს, რა უნდა მოემოქმედათ მომავალი ბრძოლის დროს.

მალე ლაშქრობაც დაიწყო. დანიელებს კიდევ უფრო განუმტკიცა გამარჯვების რწმენა მაშველ ძალთა შემატებამ და შეუტიეს მტერს. მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. თურმე უესექსის მეფეს ალფრედს ბევრად უფრო მეტი მეომარი ჰყავდა, ვიდრე დანიელებს ეგონათ. მათი რაზმები საქსებმა ალყაში მოაქციეს. ვერც სამხედრო ფანდებმა უშველეს — საქსებმა თითქოს ადრევე იცოდნენ, რას დააპირებდნენ გუტრუმის მეომრები. დანიელებმა ზავი ითხოვეს და უესექსის მმართველს მორჩილება აღუთქვეს. გუტრუმი და მისი დიდებულები ბანაკში ეწვივნენ ალფრედს მოსალაპარაკებლად და იქ მიხვდნენ თავიანთი მარცხის მიზეზს. მეფე ალფრედმა დანიელი მეომრები მათთვის ესოდენ კარგად ცნობილი ღიმილით მიიღო. მარცხენა ხელში მას ქნარი ეჭირა.

უკვე XI საუკუნის დასაწყისში, საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები, გარდა რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა, როგორც ჩანს, უდავოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის (საელჩოს) ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ამავე დროს მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ საქართველოს ხელისუფლებას.

X-XI საუკუნეების მიჯნაზე ბიზანტიამ გაზარდა თავის მზვერავთა რაოდენობა საქართველოში. ყველა ღონეს ხმარობდა ადგილობრივ წარჩინებულთა გადასაბირებლად. მისთვის არასასურველი დავით კუროპალატის ლიკვიდაციისათვის, საიმპერატორო კარმა მოისყიდა მეფესთან დაახლოებული ეპისკოპოსი ილარიონი. სომეხი მემატიანის მათეოს ურჰაელის გადმოცემით ილარიონმა ჯერ საწამლავით სცადა დავითის მოკვლა. რადგან ამ ნაბიჯს შედეგი არ მოჰყვა, „შევიდა მის ოთახში და ვიდრე კეთილმსახურ დავითს მშვიდი ძილით ეძინა, აიღო მისი ბალიში, დაადო დავითს პირზე, ზედ დაეცა ძლიერი ძალით და წამებით მოახრჩო ღვთის მოყვარე დავით კურაპალატი.“ ეს მოხდა 1001 წელს.

არ არის გამორიცხული, რომ გიორგი I-ის სიკვდილიც უშუალოდ კონსტანტინეპოლიდან ყოფილიყო ინსპირირებული. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ამ პერიოდში (1027 წლის ახლო ხანებში) ძალზე აქტიურად მოქმედებდა ბიზანტიის აგენტურა საქართველოში. განსაკუთრებით დიდი სამუშაო ჩაატარა საჭურისმა ნიკიტამ, რომელიც ბიზანტიის ხელისუფლების საგანგებო „ზედამხედველის“ (რეზიდენტის) ფუნქციებს ასრულებდა აღმოსავლეთში. სწორედ ნიკიტას „ქადაგების“ შედეგი იყო, რომ ბევრმა ტაოელმა აზნაურმა დატოვა სამშობლო და იმპერატორს ეახლა კონსტანტინეპოლში. ბიზანტიის ხელისუფლება, როგორც ჩანს, ამასაც არ დასჯერდა და სამხედრო ექსპედიციაც მოაწყო საქართველოში.

სელჩუკთა სახელმწიფოს ნიჭიერ სახელმწიფო მოხელეს ნიზამ ალ მულქს (1027-1092წ.წ.) თავის „სიასეთ ნამე“-ში გატარებული ჰქონდა ის მოსაზრება, რომ ხალხისა და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის საჭიროა და აუცილებელი საიდუმლო საინფორმაციო სამსახურის შექმნა. ასეთი სამსახურის განკარგულებაში უნდა ყოფილიყვნენ ის მსტოვარ-ჯაშუშები, რომლებსაც მეფე დაგზავნიდა ყველგან, ყველა სახელმწიფოში ვაჭრების, მოგზაურების, სწავლულების, მკითხავების, მათხოვრების, სამკურნალო საშუალებათა გამყიდველების და სხვათა სახით. მსტოვრებს უნდა მიეწოდებინათ სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია თავიანთი მეფისათვის.

ნიზამ ალ მულქს კარგად ესმოდა, რომ მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული როგორც საკუთარი ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ სხვა სახელმწიფოებში არსებული ვითარების შესახებ. მისი აზრით „მეფისათვის ძლიერი გონება უფრო უკეთესია, ვიდრე ძლიერი არმია.“ ძლიერ გონებაში ის გულისხმობდა ძლიერ სადაზვერვო სამსახურს.

საქართველოს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მმართველობის მოწესრიგებისა და ხელისუფლების ცენტრალიზაციის თვალსაზრისით დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ე.წ. მსტოვართა ინსტიტუტის შექმნას. ისტორიკოსი მოგვითხრობს, თუ

როგორ იყო მეფე ყოველივე იმის კურსში, რაც მის სამეფოში ხდებოდა. მეფემ ყველაფერი იცოდა, რაც ხდებოდა ლაშქარში, მონასტრებში, დიდ ფეოდალთა სახლებში. ასე კარგად აწყობილი სამეთვალყურეო აპარატი საგრძნობლად ზღუდავდა მეფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებათა შესაძლებლობებს, მეფე დროზე ახერხებდა მის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ლიკვიდაციას. ერთი ასეთი მაგალითთაგანი უნდა იყოს ლიპარიტ ბაღვაშის ორგზის შეპყრობა დავითის მიერ. წყაროებიდან არ ჩანს, რომ ლიპარიტს რაიმე მოემოქმედოს დავითის წინააღმდეგ, მაგრამ მეფე მას მაინც იპყრობს. საფიქრებელია, რომ დავითისათვის ცნობილი გახდა ლიპარიტის განზრახვა და მან ის დროზე მოიცილა თავიდან. ისტორიკოსი ნიშანდობლივ აცხადებს — „მრავალნი განპატიჟებულნცა იყვნეს და მხილებულ ესევითართათვის. ამისთვისცა ვერ ოდეს ვინ განიზრახა ღალატი დღეთა მისთა, არამედ იყო ყოველთაგან საკრძალავ და სარიდო.“

სამეთვალყურეო აპარატი რომ დავითის შექმნილია, ეს თითქოს უდავოდ ჩანს მისი ისტორიკოსის ჩვენებიდან. ისტორიკოსს ეუხერხულება იმის აღნიშვნა, რომ მეფეს მეთვალყურენი ჰყავდა ყველგან მიჩენილნი და მას შემდეგ, რაც აღნიშნავს დავითის მიერ ყოველივე იმის ცოდნას, რაც მის სახელმწიფოში ხდებოდა, მიმართავს მკითხველს „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე, არამედ ამას სცნობდი, თუ რა სარგებელი პოვის ამათ მიერ“. ისტორიკოსი ამართლებს ამ ღონის-

ძიებებს მათი შედეგების მიხედვით და დასძენს: „დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე: პირველად ორგულებასა და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თუისსა თანა, ანუ მოყუასსა თუისსა, გინა ყრმათა თუისთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსვლასავე თანა სიტყუისასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა."

„ბოროტ სიტყვასა" და ღალატში შემჩნეულებს ძალზედ მკაცრად უსწორდებოდნენ („განპატიჟება", თვალების დაწვა, დასაჭურისება და სხვ.).

როგორც ვხედავთ, ჩვენს წინაშეა უაღრესად საინტერესო, შეიძლება ითქვას, განსაცვიფრებელი ფაქტი: დავით აღმაშენებელს საშუალება ჰქონია დაუყოვნებლივ გაეგო ყველაფერი, ავიც და კარგიც, რაც მის სამეფოში ხდებოდა, მისთვის უმალვე ცნობილი ხდებოდა თურმე არა მარტო ის, რასაც რომელიმე მისი ქვეშევრდომი გააკეთებდა, ან იტყოდა, არამედ ისიც, რასაც ვინმე გაიფიქრებდა. საკმარისი იყო ადამიანს საკუთარ ოჯახში, ცოლთან, ან შვილთან, წამოცდენოდა მეფის აუგი, რომ მისი სიტყვები მაშინვე ცნობილი ხდებოდა მეფისათვის.

ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა: როგორ ახერხებდა დავით მეფე შუასაუკუნეების დაბალი ტექნიკის პირობებში ასეთი ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიღებას? ძნელია წარმოვიდგინოთ ისეთი სახელმწიფო დაწესებუ-

ლება, რომელსაც იმდროინდელი საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში ეყოლებოდა თავისი მსტოვრები (ჯაშუშები) და ეს ჯაშუშები შეძლებდნენ იმის გაგებასაც კი, რაც თვითოეულ ოჯახში, ცოლსა და ქმარს შორის ითქმებოდა. დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველო საკმაოდ დიდი, ზღვიდან ზღვამდე გადაჭიმული ქვეყანა იყო და მასში უამრავი დასახლებული პუნქტი ითვლებოდა. იმისათვის რომ დავით მეფეს საქართველოს ყველა დასახლებულ კუთხეში, ყოველ დაწესებულებაში, მონასტერში, ოჯახში თავისი კარგად გაწვრთნილი მსტოვარი ჰყოლოდა, მას ალბათ მსტოვართა იმაზე უფრო დიდი არმია დასჭირდებოდა, ვიდრე დიდგორის ომში ჯარისკაცი ჰყავდა. მერედა, სად იქნებოდა ამდენი მსტოვარი, ან რა ხარჯები გაუძლებდა მუდმივად ასეთი უზარმაზარი არმიის შენახვას?

მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ დავით აღმაშენებელმა ნამდვილად შექმნა მსტოვარ-ჯაშუშთა უზარმაზარი არმია და გაგზავნა მისი რაზმები საქართველოს ყველა კუთხეში. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ასეთი დაშვების შემდეგაც ჩვენს წინაშე წამოიჭრება გადაულახავი კითხვა: როგორ უნდა მოეხერხებინათ მსტოვართა რაზმებს იმის გაგება, რაც ინტიმურ ოჯახურ ვითარებაში ითქმებოდა? ვინ ეტყოდა მეფის მსტოვარს თავისი ოჯახის საიდუმლოს? რომელი ქართველი ქალი გაუმხელდა უცნობს (ან თუნდაც კარგ ნაცნობს) ისეთ ოჯახურ საიდუმლოს, რომელსაც შესაძლოა, მისი ქმრის დაღუპვა და ოჯახის გაუბედურება მოჰყოლოდა?

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც ხელი მიუწვდებოდა ყოველ ქალაქსა და სოფელზე, ყოველ დაწესებულებასა და ყოველ ოჯახზე, ეს იყო ქართული ეკლესია. ეკლესია მოქმედებდა ღმერთის სახელით, ხოლო სასულიერო პირები, — მღვდლები და ეპისკოპოსები, — ამ ქვეყნად ღმერთის წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. ამიტომ მორწმუნე ადამიანები აღსარების დროს გულწრფელად უმხელდნენ თავიანთ სულიერ მამებს ყოველ საიდუმლოს, მათ შორის ისეთებსაც, რაც მათ ოჯახსა და ახლობლებს შეეხებოდა, უმხელდნენ მით უფრო მეტი ხალისით, თუ საქმე საყვარელი მეფის, — ამ ქვეყნად ღმერთის მოადგილის (ღვთისმიერის) სიცოცხლეს შეეხებოდა.

აქედან გამომდინარე მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ეკლესიას და იქ მოღვაწე სულიერ მამებს შეეძლოთ სცოდნოდათ და დაუყოვნებლივ მეფისათვის ეცნობებინათ ყველაფერი, რაც სახელმწიფოში, მის ყოველ დაწესებულებაში და ოჯახში ხდებოდა.

შემთხვევითი როდია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც დაწვრილებით ჩამოთვლის მეფის მიერ დაარსებულ ყველა დაწესებულებას, მსტოვართა ინსტიტუტის შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობს. რით უნდა აიხსნას ეს ფაქტი? ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ დავითის ისტორიკოსს თითქოს ეუხერხულება იმის აღნიშვნა, რომ მეფეს მეთვალყურენი ჰყავდა ყველგან მიჩენილნი. ასეთი ახსნა დამაჯერებელი არ ჩანს.

თუკი დავით აღმაშენებელმა სახელმწიფოს ინტერესებისათვის საჭიროდ მიიჩნია შეექმნა მსტოვართა საგანგებო დაწესებულება, რომელსაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჰყავდა თავისი მრავალრიცხროვანი რაზმები, რატომ უნდა მიეჩნია მის ისტორიკოსს ამ ფაქტის აღნიშვნა უხერხულად?!

საქმე ისაა, რომ ეკლესიის ოფიციალური ნორმების მიხედვით, მღვდელი მოვალეა აღსარების საიდუმლოება არავის გაუმჟღავნოს, მაგრამ ცნობილია, რომ სულიერი მამები ამ წესს ყოველი ფეხის ნაბიჯზე არღვევდნენ. ასევე არღვევდნენ ამ წესს ის სასულიერო მოღვაწენი, რომლებიც თავისი მორწმუნე მრევლისგან აღსარების დროს მიღებულ ცნობებს დავით აღმაშენებელს აწვდიდნენ; მართალია, ამ შემთხვევაში ისინი უმაღლესი სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, აღსარების საიდუმლოს გამჟღავნების ფაქტის აღიარება უთუოდ უხერხული იქნებოდა. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც როგორც ჩანს, თვითონვეა სასულიერო პირი, იძულებულია არ დაგვანახოს ის გზა, რომლითაც დავით მეფე ინფორმაციას იღებდა.

სამღვდელოთა მიერ საიდუმლო ინფორმაციის მიწოდების ფაქტები ხელისუფლებისადმი, შემდგომ პერიოდშიც არაერთხელ ყოფილა. მაგალითად, 1765 წელს პაატა ბატონიშვილის შეთქმულების დროს დათუნა ფეიქარი თბილისიდან საგანგებო დავალებით კახეთში გაემ-

გზავრა. გზად მიმავალმა დათუნამ ღამე მღვდელ კეჟერაშვილის სახლში გაათია და მოძღვარს აღსარება უთხრა. მეორე დღეს ერეკლე მეორემ უკვე იცოდა შეთქმულების შესახებ.

იქნებოდა შემთხვევები, როდესაც ცრუ დასმენის საფუძველზე უდანაშაულო ადამიანებიც დაისჯებოდნენ. ამ ფაქტს თავად მეფე დავითიც აღიარებს: „მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე, და შემასმენელთანი დავიტკბენ ზრახვანი და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.“

მნიშვნელოვანია, რომ შუა საუკუნეთა მანძილზე მარტოოდენ ეკლესიას ჰქონდა განშტოებული დაზვერვითი ქსელი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. თუმცა საიდუმლო სამსახური არ იყო გამოყოფილი ცალკე ორგანიზაციად. უბრალო საეკლესიო იერარქიის მთელი აპარატი ნიადაგ აგროვებდა ინფორმაციას ადგილებზე საქმის მდგომარეობის შესახებ. ამ ინფორმაციას აჯამებდნენ საეკლესიო მოხელეები, გარკვეული ოლქის და ქვეყნის სასულიერო მმართველნი, და აგზავნიდნენ რომში. ამასთან, ინფორმაცია ერთდროულად რამდენიმე არხით მიდიოდა. ჯერ ერთი, ჯაჭვისებურად — მრევლის მღვდლიდან რომის პაპამდე; მეორე, ბერ-მონაზონთა ორდენების და ბოლოს, პაპის საგანგებო რწმუნებულთა მეშვეობით, იქნებოდნენ ნუნციები (ელჩები), რომლებიც სხვადასხვა კათოლიკურ ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ, თუ რომის ტახტის სხვა წარმომადგენლები.

ინფორმაციის შეკრების შესაძლებლობა თითქმის შეუზღუდავი იყო. თუ სოფლის მღვდელს ძალუძდა დაწ-

ვრილებით ეცნობებინა თავისი სულიერი უფროსობისათვის მის მრევლში შემავალი სოფლების განწყობილება, ამა თუ იმ მონარქის სულიერ მოძღვარს შეეძლო არანაკლებ დაწვრილებითი ანგარიში წარედგინა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა სასახლის კარზე და რა გეგმები აქვს მის ხელმწიფეს. ცნობათა მიღების ეფექტური საშუალება იყო აღსარება.

რა თქმა უნდა, უზარმაზარი მანქანა, რომელიც რომის პაპს ინფორმაციით ამარაგებდა, შეუფერხებლად არ მუშაობდა. ეს შეფერხება მეტწილად დაკავშირებული იყო იმ კონფლიქტებთან, რომლებიც ხშირად წარმოიშვებოდა პაპსა და ცალკეული ქვეყნების უმაღლეს სამღვდელოებას შორის. და მაინც რომის ტახტი თვით აღორძინების ეპოქამდეც კი ისეთი მთავრობა იყო, რომელმაც მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე უკეთ იცოდა სხვა სახელმწიფოებსა და ქვეყნებში არსებული მდგომარეობა.

უაღრესად მნიშვნელოვანი იარაღი ეკლესიისათვის სასურველი ცნობების მისაღებად იყო ინკვიზიციის აპარატი, მეტადრე ესპანეთში, სადაც იგი ყველაზე მეტად განვითარდა: „მწვალებლობისადმი“ თვალთვალის სისტემა (მწვალებლობისადმი მიდრეკილებაში კი ეჭვმიტანილი იყო ესპანეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი და, საერთოდ, ცოტანი თუ იყვნენ დაზღვეულნი საეჭვო პირთა სიაში ჩარიცხვის შესაძლებლობისაგან), მეზობლების, ნაცნობებისა და ახლო ნათესავების დაბეზღების მოვალეობად გადაქცევა, მრავალრიცხოვანი დაპატიმრე-

ბანი და დაკითხვები, რასაც თან ახლდა წამება, — ეს ყველაფერი ინკვიზიციას აწვდიდა ცნობებს არა მარტო ჭეშმარიტი სარწმუნოებისაგან განდგომის საკითხზე, არამედ ყველაფერზე, რისი გაგებაც კი სურდათ წმინდა მამებს.

მაგრამ საეკლესიო დაზვერვის განვითარებაში კიდევ უფრო დიდი როლი შეასრულა XVI საუკუნის პირველ ნახევარში დაარსებულმა იეზუიტთა ორდენმა — „იესოს კომპანიამ“ (საზოგადოებამ), როგორც თვითონ უწოდებდნენ თავიანთ თავს. ორდენი შეიქმნა, უწინარეს ყოვლისა, რეფორმაციის წარმატებათა წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვეულებრივ, ორდენის წევრი ხდებოდა გულმოდგინედ შერჩეული კაცი, უსიტყვო, ბრმად მორჩილი ზემდგომი პირებისა (ორდენის დამაარსებლის იგნასიო ლოიოლას სიტყვით, ყოველი იეზუიტი სასულიერო უფროსობის ხელში გვამს უნდა ემსგავსოსო). ამასთან იეზუიტს ნასწავლი ჰქონდა მორწმუნე ერისკაცზე სასულიერო ზემოქმედების ყველა ხერხი და ყოველნაირი ეშმაკობა, რომელიც საშუალებას აძლევდა ეხმარა და გაემართლებინა ბრძოლის ყოველგვარი საშუალება — სიცრუე, ჭორი, შხამი ან დაქირავებული მკვლელის ხანჯალი.

იეზუიტთა წესდება და წესები საგანგებოდ მიმართული იყო იქითკენ, რომ გადაექცია ისინი კათოლიციზმის თავგამოდებულ მქადაგებლებად და აგენტებად, ამასთან ხშირად ფარულ ან მათ მიერ შექმნილ საიდუმლო სამსახურის მოქმედ აგენტებად. ძალიან ხშირად მეფის

მოძღვარი ან იეზუიტთა სემინარიის მეთაური არსებითად, — შემდგომი ეპოქის ტერმინს თუ ვიხმართ, — იყო რეზიდენტი, რომელსაც ემორჩილებოდა ჯაშუშთა ვრცელი ქსელი, ანდა ჯაშუშთა სკოლის მეთაური. დიახ, სკოლისა, რომელიც ამზადებდა არა იმდენად მქადაგებლებს, რამდენადაც მღვდლებს, რომლებმაც მოისმინეს ზოგადი რელიგიური და სპეციალური დაზვერვითი „მეცნიერების“ კურსი და რომლებიც სავსებით მომზადებული მზვერავები ან დივერსანტები გამოვიდნენ. ხშირად ქადაგი და მზვერავი ერთი პირი იყო. ზოგჯერ იეზუიტი ჯაშუში „ქადაგის საფარველის“ გარეშეც იოლად გადიოდა.

ორდენის აგენტი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მისი წევრი, ისე საერო პირიც. ჩვეულებრივ, თვითონ იეზუიტები მოქმედებდნენ მარტოოდენ, როგორც ფარული წარმმართველი ძალა და ცდილობდნენ ყველაზე ბნელი საქმეები სხვისი ხელით ეკეთებინათ. ზოგჯერ „იესოს საზოგადოების“ მსტოვარნი ხრიკებს პირდაპირ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე აწყობდნენ, ხანდახან ისინი ფარულად მოქმედებდნენ, შემცვლელი პირის მეშვეობით, თვითონ კი, ხელმიუწვდომელნი თავიანთი მტრებისათვის კათოლიკურ ქვეყნებში რჩებოდნენ. ასე იქცეოდნენ მაგალითად, იეზუიტები, რომლებმაც ჯაშუშთა საკუთარი ცენტრები შექმნეს ესპანეთის ჯარებისაგან დაკავებულ ნიდერლანდის ნაწილში (XVI საუკუნის უკანასკნელ მესამედში და XVII საუკუნის დამდეგს). იეზუიტ მზვერავებს იმ მიზნებისდა კვალობაზე, რომლებსაც ამა თუ იმ მომენტში და ამა თუ იმ ქვეყანაში ისახავდა ორდენი,

შეეძლოთ მხარი დაეჭირათ ხან მეფისათვის დიდებულთა წინააღმდეგ, გაეღვივებინათ ხალხის მღელვარება, ფარულად ან აშკარად ექადაგათ ტირანის მკვლელობა.

და კვლავ დავუბრუნდეთ დავითის დაზვერვას. მსტოვართა აპარატის ეკლესიასთან დაკავშირება, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი ფიქრობს მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია. მართალია, არ გამოვრიცხავთ სასულიერო წოდების გარკვეულ წვლილს სახელმწიფოს ინტერესებისათვის, მაგრამ მთლიანობაში მანდატურთუხუცესის სახელოს დაქვემდებარებაში მოქცევას (მსტოვართა ინსტიტუტი მის დაქვემდებარებაში შედიოდა) ვერ გავიზიარებთ:

1) მემატიანეს სიტყვით მეფემ კარგად იცოდა რა ხდებოდა მეზობელ სახელმწიფოებში. სჩანს, მსტოვართა აპარატს ხელი მიუწვდებოდა მაჰმადიანურ ქვეყნებში ინფორმაციის შეგროვებაზე. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ისლამური სასულიერო წოდება ყოფილიყო ჩართული საქართველოს სამეფოს დაზვერვის სამსახურში.

2) გარდა ამისა, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამდე (1104წ.) დავითი ეკლესიაზე კონტროლს ნაკლებად ახორციელებდა. მსტოვართა აპარატი კი მანამდე უკვე საფუძვლიანად ფუნქციონირებდა. დავითმა 1093 წელს მიიღო ინფორმაცია, რომ ლიპარიტ ბაღვაში მის საწინააღმდეგოდ რაღაცას ამზადებდა. ლიპარიტი შეიპყრეს. მტკიცებულების უქონლობის გამო გაათავისუფლეს. ახალი მონაცემების საფუძველზე 1095 წელს დავითმა კვლავ დააპატიმრა კლდეკარის ერისთავი და ორი

წლის პატიმრობის შემდეგ 1097 წელს ბიზანტიაში გაა-ძევა.

ამდენად, ძირითადში კვლავ ბურუსით არის მოცული „მსტოვართა აპარატის“ მექანიზმის საიდუმლოება.

1161 წელს ანისის აღების შემდეგ მაჰმადიანთა კოა-ლიციურმა ლაშქარმა რევანში დაზვერვის მონაცემების საფუძველზე აიღო. ლორე-დმანისს შორის მდგომ გიორ-გი მესამეს ესტუმრა სულთნის მოციქული, ეშმაკი, მოგ-ვივით მოხერხებული და თვალთმაქცი კაცი, მაგრამ ლაშქრის დაბანაკების საქმის მომთვალიერებელი და გა-მომძიებელი, ერთი სიტყვით, მოციქულის სახით მოვლე-ნილი სამხედრო მზვერავი. თამარის ისტორიკოსის მიერ დახატული პირი პროფესიონალი ჯაშუშია.

XIII საუკუნის დამდეგს დაზვერვის სამსახურის ორგანიზებას ცდილობდნენ საფრანგეთის მეფე ფილიპე II ავგუსტუსი და გერმანიის იმპერატორი ოტონ IV. მაგრამ ეს, მაინც გამონაკლისი იყო. საერთოდ კი დაზ-ვერვის აპარატის შესაქმნელად უძლური აღმოჩნდნენ წვრილი ფეოდალური სამთავროები, რომლებითაც მოფე-ნილი იყო მაშინდელი ევროპა. შუა საუკუნეების წყვდი-ადში ცოტა რამ იცოდნენ არცთუ ისე შორეულ ქვეყნებ-ზეც კი. ჯვაროსანთა ლაშქრობებამდე (XI-XIIსს) ევ-როპელთ თითქმის არ ჰქონდათ ცნობები ბიზანტიაზე, აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. საფრანეგთის მეფემ ლუი IX უამრავი ფული მისცა ერთ ბედუინს, რომელიც გამცილებლად ემსახუ-რებოდა ჯვაროსნებს. მეტად დამახასიათებელია, რომ ევ-

როპაში მოგვიანებითაც ვერ დააფასეს მარკო პოლოს ცნობილი მოგზაურობა აზიის ბევრ ქვეყანაში და მნიშვნელოვანი ცნობებით აღსავსე ნაამბობი აღმოსავლეთზე. ის, რასაც ვაჭრები დიდი გაჭირვებით გაიგებდნენ ხოლმე, ჩვეულებრივ მათ „სავაჭრო საიდუმლოებას“ შეადგენდა. მაშინაც კი, როცა ისინი მზად იყვნენ გაეზიარებინათ ეს საიდუმლო, მეფეები და მთავრები არ ჩქარობდნენ შორიდან მოტანილი ამბების გაცნობას.

აღმოსავლეთში დაზვერვა დიდ როლს ასრულებდა ჩინგის ხანის და მის მემკვიდრეთა არმიაში. მონღოლთა არმიის გამოჩენას ყოველთვის წინ უძღოდა მზვერავთა მოქმედება, რომლებსაც უცხოელი ვაჭრებიდან მოისყიდდნენ ხოლმე. ეს ჯაშუშები ატყობინებდნენ პოლიტიკური ხასიათის ცნობებს: როგორია გზები, სიმაგრეები, რა რაოდენობითაა გარნიზონები. ეს ცნობები ჩინგიზ ხანის მხედართმთავრებს საშუალებას აძლევდნენ გარკვეულიყვნენ დაპყრობილ ქვეყნებში. მონღოლთა არმიის წესებით გათვალისწინებული იყო ჯაშუშთა მოხსენების შემოწმება ტყვეთა დაკითხვით. ჩინგიზ ხანი ყურადღებას აქცევდა აგრეთვე იმას, რომ შეეპყროთ მონღოლთა ბანაკში აღმოჩენილი მტრის მზვერავები და სასტიკად გასწორებოდნენ მათ. ფართოდ მიმართავდა ჯაშუშობას მონღოლთა ადმინისტრაციაც ამა თუ იმ დაპყრობილ ქვეყანაში. ჯაშუშებად ჰყავდათ ადგილობრივი მცხოვრებლები, აგრეთვე თვით ადმინისტრაციის უმაღლესი წარმომადგენლები.

მონღოლთა ბატონობის პერიოდში საქართველოს მთავარ გზებსა და ქალაქებში სპეციალურ მოხელეებს ევალებოდათ ბაჟის აღება და მეკობრეებისაგან გზების დაცვა. სავარაუდოა, მათვე ჰქონოდათ დაკისრებული მგზავრების დაზვერვა სახელმწიფოს უშიშროების მიზნით.

აღორძინების ეპოქა დაზვერვის აღორძინების ეპოქაც იყო. ეს იყო დრო დიდი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა, აბსოლუტური მონარქიების შექმნისა, რომლებსაც თავისი მატერიალური რესურსებით შეეძლოთ გაეჩაღებინათ დიდი პოლიტიკური თამაში. მთელი ევროპის მასშტაბით აღორძინების ეპოქაში იქმნება თეორია და პრაქტიკა რელიგიური, თუ სხვა იდეოლოგიისაგან სრულიად განთავისუფლებული პოლიტიკისა, ისეთი პოლიტიკისა, რომელიც მხოლოდ რეალურ ინტერესებს ითვალისწინებს. მისი განსახიერება იყვნენ ესპანეთის, ინგლისის, საფრანგეთის მეფეები, რომლებმაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნაში, რასაც დაჟინებით მოითხოვდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი მსვლელობა. ნიკოლო მაკიაველი თავის ცნობილ თხზულებაში „მთავარი“ ამტკიცებდა, მონარქს მარტო ადამიანის კი არა, მხეცის ბუნებაც უნდა ჰქონდესო და დასძენდა: „ამრიგად რაკი მთავარი იძულებულია ჰქონდეს მხეცის ბუნება, მან ნიმუშად უნდა მიიჩნიოს მელია და ლომი, რადგან ლომი უსუსურია ხაფანგის, ხოლო მელია მგლების წინაშე. მაშასადამე, მელია უნდა იყო, რომ მა-

ხე გამოიცნო და ლომი, რომ მგლები გააფრთხოო“. მაკიაველი ამბობდა: „მტრის წინააღმდეგ მოქმედების ყველაზე კარგი ხერხია შეგეძლოს დაფარვა საკუთარი ზრახვების მათ აღსრულებამდეო.“

ფაქტია, რომ თამარის მეფობის დასასრულს ქვეყანა პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. ლაშა გიორგის მეფობის დროს ფაქტიურად პარალიზებული იყო მსტოვართა აპარატი. ასეთი დაშვების გარეშე, შეუძლებელია ავხსნათ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მონღოლები მოულოდნელად მოადგნენ ჩვენს ქვეყანას და, რომ თითქოს ქართველმა პოლიტიკოსებმა მანამდე არაფერი იცოდნენ მათი დასავლეთისაკენ გამოლაშქრების შესახებ. მართალია, ეს მოსაზრება ზოგიერთი წყაროს მონაცემს ემყარება, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართული წყაროები უთუოდ ტენდენციურია და მტრის მოულოდნელი გამოჩენით ცდილობენ ამ მძიმე მარცხის ახსნას. საერთოდ, წარმოუდგენელია, რომ ამიერკავკასიის ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში არაფერი სცოდნოდათ მოახლოებული საფრთხის შესახებ. სხვა რომ არა იყოს რა, საქართველოში სწორედ ამისათვის არსებობდა მენაპირეთა სპეციალური ინსტიტუტი. გარდა ამისა, აღმოსავლეთიდან მოსული ვაჭრებიც მოიტანდნენ მონღოლთა გამოლაშქრების ამბავს.

XV-XVI საუკუნეებში საჭირო გახდა ყოველ მთავრობას კარგად სცოდნოდა არა მარტო თავისი უახლოესი მეზობლები, არამედ ევროპის სახელმწიფოთა მთელი სისტემის მდგომარეობაც. უფრო მეტიც, დაზვერვას უნ-

და შეეღწია სულ უფრო შორს უცნობ ქვეყნებში, იქნებოდა ეს ოტომანთა იმპერია, თუ მოსკოვის რუსეთი, რომელთანაც მანამდე დასავლეთევროპელებს ნაკლებად უხდებოდათ ურთიერთობა, ანდა ინდოეთისა და ჩინეთის სულ უცნობი სახელმწიფოები.

ცხადია, მთელი დაზვერვა ემსახურებოდა იმ პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდნენ დიპლომატიური ან სამხედრო ზომებით ცალ-ცალკე ანდა ორივეთი პარალელურად. მაგრამ დიპლომატიასაც ხშირად უხდებოდა სამსახურის გაწევა დაზვერვისათვის. დიპლომატიას არა მარტო უნდა ემოქმედა, არამედ დაეზვერა, შეეფასებინა ქვეყნისა და მისი შემადგენელი ოლქების ძალა, რამდენად განაგებს ამ ძალას მთავრობა, სამხედრო ორგანიზაცია, მონარქის ხელოვნება და გეგმები, იმათი ხელოვნება და გეგმები, ვისაც მონარქი ეყრდნობა, და იმათიც, ვინც მას უპირისპირდება მისი საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში. ასეთ შეკითხვებს მუდამ აძლევენ მზვერავს, სულ ერთია, შედის ის ქვეყანაში როგორც ფათერაკის მაძიებელი, თუ დიდის ამბით გადადის საზღვარზე, როგორც თავისი ქვეყნის ელჩი. ამ ცნობებს ხარბად აგროვებს მდიდარი ვაჭარიც და გემის კაპიტანიც, რომელიც ზღვებსა და ოკეანეებს სერავს და ახალ სავაჭრო გზებს, ახალ დასაპყრობ და გასაძარცვავ ქვეყნებს ეძებს. ის შეკითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გაეცათ ზღვაოსნებს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ხანაში, დიდად როდი განსხვავდება იმ კითხვებისგან, რომლებსაც აძლევენ დიპლომატებს და საიდუმლო აგენტებს. ასეთი შე-

კითხვები მიიღეს ვასკო-დე-გამამ და კოლუმბმა, ასეთი კითხვებით მიდიოდნენ ინგლისური მოსკოვის კომპანიის სავაჭრო ხომალდები, რომლებმაც მოუხშირეს ჩრდილო რუსეთში სიარულს. საჭირო იყო პასუხის გაცემა კითხვაზე ნიადაგის ნაყოფიერების, კვების პროდუქტებისა და ლითონის საბადოების, მმართველობის ფორმის, გამაგრებული პუნქტებისა და გზების შესახებ, ჯარების რაოდენობისა და სახეობის შესახებ, მათი შეიარაღებისა და ტაქტიკის შესახებ. ინგლისელ ვაჭრებს ინსტრუქციები ურჩევდნენ დაეთროთ ადგილობრივ მცხოვრებთაგან საჭირო პირები, რათა გაეგოთ ყოველივე აუცილებელი ქვეყნის შესახებ.

ხშირად ვაჭრის, ზღვაოსნის, მეომრის, მზვერავის და დიპლომატის როლები ერთმანეთს ერწყმოდა. ელჩები და საერთოდ დიპლომატები ოფიციალური მზვერავები იყვნენ, რომლებიც საშუალებათა მთელ კომპლექტს იყენებდნენ საჭირო ცნობების მისაღებად. მაგრამ ელჩი შეიძლებოდა გამხდარიყო კონტრდაზვერვის მეთაურიც, რომელიც თვალს ადევნებდა მისი მთავრობისადმი მტრულად განწყობილ ემიგრანტებს და უბრალოდ მის ქვეყანაში შესაგზავნად მოსამზადებელ აგენტებს. კიდევ უფრო მჭიდროდ იყო გადახლართული მზვერავისა და საიდუმლო ელჩის ფუნქციები, რისი მაგალითიც უამრავია დიპლომატიურ მატიანეებში. მეორე მხრივ, ძალიან ხშირად მზვერავი თავისი ქვეყნის საიდუმლო ელჩად იქცეოდა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა დიპლომატი შეათავსებდა ხოლმე მზვერავისა და დივერსანტის, პოლი-

ტიკური შეთქმულების მომწყობის მოვალეობებს იმ ქვეყანაში, სადაც ის გაგზავნეს. ყველა ეს ფუნქცია ისე მჭიდროდ გადაიხლართებოდა ხოლმე, რომ როცა ერთი და იგივე პირი ყველა ამ სახით ევლინებოდათ, როცა დიპლომატი გადაიქცეოდა უეცრად მზვერავად ანდა, პირიქით, მზვერავი დიპლომატად, ეს უკვე აღარავის აკვირვებდა.

დაზვერვის აღორძინებას მცირედ როდი შეუწყო ხელი თვით ამერიკის აღმოჩენამ, უფრო სწორედ იმან, რომ ესპანელებმა ახალი ქვეყნის სამფლობელოებიდან უამრავი ოქრო გამოზიდეს. დაზვერვის აღორძინებას ასევე ხელს უწყობდა ევროპის სხვა ქვეყნების ვაჭრებისა და ავანტიურისტების სურვილი, მიესაკუთრებინათ თუნდაც ნაწილი ამ ზღაპრული ალაფისა. ცდუნება დიდი იყო და პირველნი, ვინც სძლია ამ ცდუნებას, ფრანგი ვაჭრები და გემთმფლობელები იყვნენ. სულ მალე მას შემდეგ, რაც ესპანელებმა მექსიკა დაიპყრეს, ფრანგები შეუდგნენ მეკობრული ექსპედიციების მოწყობას იმ ხომალდებზე სანადიროდ, რომლებიც ამერიკიდან ესპანეთში ოქროს ეზიდებოდნენ. ფრანგმა კორსარმა* ჟან ფლერიმ შეძლო მიეტაცებინა აცტეკების უკანასკნელი იმპერატორის მონტესუმას განძეულობა, რომელიც კორტესს და სხვა ესპანელ კონკისტადორებს ჩაუვარდათ ხელთ. აი სწორედ ფრანგ კორსართა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუხდა მადრიდს მსტოვართა შეძენა საფრანგეთის ნავსადგურებში ლა-როშელში, ნანტში, დიეპსა

და სხვა ნავსადგურებში, რათა მიეღო ცნობები, თუ როდის გავიდნენ მეკობრეთა ხომალდები და რა გეგმები ჰქონდათ კორსარებს. ფრანგების გაკვალულ გზას ცოტა ხნის მერე მიჰყვნენ ინგლისელი და სხვა ქვეყნების მეკობრენიც. ასე რომ, ესპანელ ჯაშუშებს სამუშაო წლითიწლობით ემატებოდათ...

XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალეთში, ჩანს სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდნენ ირანსა და ამიერკავკასიაში მომხდარი ამბების ცოდნას. ამიტომ ოსმალო ჯაშუშთა ფართო ქსელი აქტიურ სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდა. სულთანი, იქნებოდა იგი აზიაში, აფრიკასა თუ ევროპაში, დღენიადაგ იღებდა დაწვრილებით ცნობებს ირანის შაჰისა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ. მაღალ პორტას მსტოვრობით უმტკიცებდა „ერთგულებას“ ბეგლარბეგი და ვაჭარი, რენეგატი ფეოდალი და ძალაუფლებისადმი გულგრილი მოგზაური. სასაზღვრო ოლქების გამგებელთა პირდაპირი მოვალეობა იყო ინფორმაციების შეგროვება და უზენაესი კარისადმი მიწოდება.

ვინაიდან თურქეთს სელიმ მესამის რეფორმებამდე არ გააჩნდა უცხოეთში მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა, მას არ ჰქონდა საშუალება მიეღო საჭირო ინფორმაცია საკუთარი დიპლომატიური არხებით. ამიტომ ოსმალეთმა უცხოეთის სახელმწიფოებიდან ინფორმაციის მიღების თავისებური სისტემა შექმნა. ინფორმაციის შეგროვება ევალებოდათ მონაპირე პროვინციების გამგებლებს. ასე მაგალითად, ინფორმაციას ევროპის სახელმწი-

---

*კორსარი (იტალ. corsaro) — მეკობრე, პირატი.

ფოების შესახებ აგროვებდნენ მოლდავეთისა და ვლახეთის მთავრები. საქართველოს შესახებ ცენტრალურ მთავრობას ინფორმაციას აწვდიდნენ ჩილდირის (ახალციხის), არზრუმის და ყარსის ვალიები და ა.შ. ინფორმაციის შეგროვების მიზნით მონაპირე პროვინციების გამგებლებს სათანადო აგენტურა ჰყავდათ უცხოეთის ქვეყნებში. ფართოდ იყო გამოყენებული აგერთვე ცალკეული კონკრეტული დავალებებით მსტოვრების შეგზავნის პრაქტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ სულთან სელიმის მემკვიდრე სულეიმან I (1520-1566წ.წ.) ევროპული ლაშქრობებით იყო დაკავებული, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საქართველოში დატრიალებულ პერიპეტიებს, რისთვისაც აგენტების მთელი ქსელი ჰყავდა ამოქმედებული. ევროპასთან ომის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების უშიშროებას.

ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა ოსმალეთის სულთანს მოსვენებას უკარგავდა. 1584 წელს სულთნის ბრძანებით ახალი მთავარსარდალი ფერად (ფერჰარდ) ფაშა დიდძალი ჯარით ქართლის წინააღმდეგ წამოვიდა. სარდალი განგებ ავრცელებდა ხმებს, რომ ნახჩევანზე მიდიოდა. ამით მას უნდოდა ყიზილბაშთა ყურადღება იქით გადაეტანა და საშუალება ჰქონოდა გაემაგრებინა ლორე და დმანისი. ოსმალები ლორეში შევიდნენ, ციხე გაამაგრეს ზარბაზნებითა და რამდენიმე ათასიანი გარნიზონით და შემდეგ დმანისისკენ წავიდნენ. გზადაგზა მტერი სპობდა ყველაფერს, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა — სახლ-კარს, პურეულობას, ნარგავებს; ძარცვავ-

და და ატყვევებდა მოსახლეობას. დმანისიდან ფერად ფაშას ბრძანებით 20000-იანი ჯარით თბილისისაკენ წამოვიდა რეზვან-ფაშა. ოსმალები ხატისსოფელთან დაბანაკდნენ. სიმონის ჯარი ხრამის ნაპირზე იდგა. ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ბრძოლის წინ სიმონი ელჩად გამოწყობილა და რეზვან ფაშას სწვევია ბანაკში, როგორც სიმონ მეფის მოციქული და მეფის სახელით ზავი შეუთავაზებია მისთვის. გახარებულმა ოსმალთა სარდალმა თანხმობა შეუთვალა თურმე სიმონს. როგორც კი ამ ხერხით დაზვერა ოსმალთა ჯარი სიმონმა იმ ღამესვე თავისი და მანუჩარის ჯარებით შემოუარა ხატისსოფლის გორას და გარიჟრაჟზე მოულოდნელად დაესხა თავს ოსმალთა ბანაკს.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს ცნობა სიმონის მიერ ოსმალთა ბანაკში ელჩის სახელით პირადად გამოცხადების შესახებ. ცხადად ჩანს მხოლოდ ის, რომ ქართველების დაზვერვა შეცდა – რეზვან ფაშას 20000-მდე ჯარი ჰყავდა, სიმონმა თუ მისმა მზვერავებმა კი მხოლოდ მისი ერთი მესამედი ნახეს, ხოლო გორას მოფარებული მტრის ჯარის უფრო დიდი ნაწილის შესახებ არაფერი იცოდნენ. გარდა ამისა, ფერად ფაშამ, რომელსაც ადრევე გაეგო სიმონის და მანუჩარის საომარი მზადების შესახებ, დამატებით გაგზავნა კიდევ 10000-იანი ჯარი რეზვან ფაშას დასახმარებლად.

დაზვერვის ისტორიაში დიდი როლი შეასრულა ვენეციამ. შუა საუკუნეთა ამ ყველაზე მდიდარ სავაჭრო

რესპუბლიკას დიპლომატიაც ყველაზე გამოცდილი ჰყავდა მაშინდელ ევროპაში. ვენეციელებმა ჯერ კიდევ XV საუკუნეში შემოიღეს წესად ყველა საფოსტო კორესპონდენციის გასინჯვა საჭირო ინფორმაციის მისაღებად. XVI საუკუნეში ვენეციაში დაზვერვა გამოეყო დიპლომატიას, თუმცა პრაქტიკულად ისინი ჩვეულებრივ ერთმანეთს ავსებდნენ. თვით ვენეციაში პოლიციელები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ესპანეთისა და აგრეთვე სხვა ქვეყნების საელჩოებში შემავალ პირთ.

ვენეციის რესპუბლიკის საიდუმლო სამსახურში საიდუმლო აგენტებისა და ჯაშუშების უზარმაზარი შტატი ირიცხებოდა. ბიზანტიის მსგავსად ვენეცია განსაკუთრებული მონდომებით სარგებლობდა ბერებისა და ქალების დახმარებით. ისინი ისეთ ადგილებში ახერხებდნენ შეღწევას, სადაც სხვებისათვის გზა დახშული იყო, ზოგიერთ შემთხვევაში ვენეციელები საიდუმლო მიზნებისათვის ექიმებსაც იყენებდნენ. ექიმები ვენეციაში ნამდვილ პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ეკონომიკურ ანგარიშებს გზავნიდნენ იმ ქვეყნების შესახებ, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ. გარდა ამისა, ვენეციის საელჩოებს, ბევრ ქვეყანაში ჰყავდათ ე.წ. „ერთგული მეგობრები", რაც იმდროინდელ დიპლომატიურ ენაზე საიდუმლო აგენტების სპეციალურ სახელს აღნიშნავდა. საელჩოებს შეეძლოთ მოეთხოვათ მათთვის ანგარიშების წარმოდგენა, მათ იყენებდნენ საიდუმლო კორესპონდენციის და სხვა დავალებების გადასაცემად. ეს აგენტები სხვადასხვაგვარი ხერხებით მოქმედებდნენ: ისინი ხან გადაცმუ-

ლი ბერების სახეს იღებდნენ, ხან კი მოგზაური პილიგ-
რიმებისას. ზოგიერთი მათგანი საელჩოზე იყო მიმაგრე-
ბული და მათ ინფორმაციის მისაღებად აგზავნიდნენ
სხვადასხვა ქვეყანაში. არც თუ იშვიათად ასეთ „ერ-
თგულ მეგობარს“ წარმოადგენდა რომელიმე ადგილობ-
რივი წარჩინებული, ანდა, პირიქით, სრულიად უმნიშვნე-
ლო სოციალური მდგომარეობის მქონე პირი, რომლებიც
საელჩოდან საკმაოდ უხვ გასამრჯელოს ღებულობდნენ.
საზღვრისპირა ოლქებში ვენეციას ჯაშუშების მთელი
ქსელი ჰქონდა. თუკი სინიორიას საჭიროდ მიაჩნდა თვი-
თონ ჯაშუშების დაკითხვა, იგი გადაცმული შეჰყავდათ
დოჟის სასახლეში და მის საგანგებო აპარტამენტებში
ახვედრებდნენ ხელისუფალს.

ვენეციის მთავრობა ფართოდ იყენებდა საიდუმლო
მკვლელობების სისტემას და ამისათვის უხვ გასამრჯე-
ლოსაც იხდიდა.

ვენეციელთა დაზვერვამ დიდ წარმატებებს მიაღწია
არა მარტო XVI, არამედ XVII საუკუნეშიც, როცა ვე-
ნეციის საერთაშორისო მნიშვნელობა დაეცა. პარიზს
წარგზავნილ ელჩს კარდინალ მაზარინის მმართველობის
წლებში თავისი კაცი ჰყავდა ლუვრში და ეს კაცი დაწ-
ვრილებით ატყობინებდა მას საფრანგეთის კარის იდუ-
მალ ზრახვებს. რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟის
ზრდამ ვენეციელთა დაზვერვა აიძულა თავის მოქმედება
გაევრცელებინა რუსეთის ტერიტორიაზეც. 1704 წლის
21 აპრილს კონსტანტინოპოლს წარგზავნილ ვენეციელ
ელჩს დაავალეს ეპოვნა რუსულის მცოდნე საიმედო კა-

ცი, რომლის შეგზავნაც რუსეთში შესაძლებელი იქნებოდა ამ ქვეყნის საქმეთა მდგომარეობის და ფარული გეგმების შესატყობად.

ვენეციელთა გამოცდილებით ისარგებლეს სხვა სახელმწიფოებმაც. XVI საუკუნეში სისტემად იქცა მუდმივი ელჩების ყოლა უცხო სამეფოებში. საელჩოები დაზვერვითი მუშაობის, აგრეთვე კონტრჯაშუშობის ცენტრებად იქცნენ. ხშირად დიპლომატები ერთმანეთს მიჰყიდდნენ ხოლმე მიღებულ საიდუმლო ახალ ამბებს ან უცვლიდნენ ახალ „საქონელს". ასე იქცეოდა, მაგალითად, ინგლისის მეფე ჰენრი VII-სთან წარგზავნილი ესპანეთის ელჩი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ნიდერლანდებსა და გერმანიაში მყოფ ესპანელ დიპლომატთაგან მიღებული ახალი ამბების სანაცვლოდ საიდუმლო ინფორმაციას ინგლისის შესახებ მას აწვდიდნენ არა მარტო კარისკაცები, არამედ თვით... ჰენრი VII-ც.

როდესაც ეჭვს აიღებდნენ, რომ უცხოელი ელჩი დაზვერვით საქმიანობას ეწეოდა, ბრძანებდნენ ხელთ ეგდოთ მისი დეპეშები. უკვე ჰენრი VIII-ის დროს „პროგრესი" აღინიშნა: ხელთ ჩაგდებული წერილიდან ასლს გადაიღებდნენ ხოლმე და წერილს დანიშნულებისამებრ აგზავნიდნენ. ხოლო XVI საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა წინ: ისწავლეს კონვერტის ისე გახსნა, რომ წერილის უკან ჩაბრუნების შემდეგ ადრესატი ვერც კი ხვდებოდა, ხელთ ჰქონდა ეს წერილი უცხო პირს თუ არა.

წესად იქცა დეპეშების დაშიფვრაც. მაგრამ პირველ ხანებში შიფრი მარტივი იყო: ყოველ ასოს ცვლიდნენ რაიმე გარკვული ნიშნით. ასეთი კოდის ამოცნობა არ იყო რთული საქმე, თუკი იცოდი ის ენა, რომელზეც დაშიფრული წერილი იყო შედგენილი, და მეტადრე, თუ დაახლოებით მიხვედრილი იყავი ამ წერილის შინაარსს. რამდენადაც ყოველ ენაში ამა თუ იმ ასოს გამეორების სიხშირე მუდმივი სიდიდეა და ადვილად განისაზღვრება, ძნელი არ იყო ყველაზე ხშირად გამეორებული ნიშნების, მათი ასოებრივი მნიშვნელობის გამოვლინება და შემდეგ ყველა დანარჩენი ასოს დადგენაც. ხშირად შიფრს დიდი ხნის მანძილზე არ ცვლიდნენ — ზოგჯერ მას ათეულწლობით ხმარობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეს იგი კარგა ხნის ამოცნობილი ჰქონდა.

დეპეშის გზები, — სულ ერთია, ხმელეთით მიდიოდა იგი თუ ზღვით, მეტად არასაიმედო იყო. ეს გზები ზოგჯერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადიოდა, რომლის მთავრობაც ხშირად თავს ვერ აღწევდა ცდუნებას გასცნობოდა უცხო კარზე გაგზავნილ საიდუმლო ინფორმაციას. ამიტომ იყო, რომ ხშირად ელჩი მოხსენებას გზავნიდა რამდენიმე ცალად სხვადასხვა გზით, იქნება ერთი მაინც მივიდეს დანიშნულების ადგილზეო. ელჩები ითვალისწინებდნენ მოხსენებების ხელთ გდების ამ პრაქტიკას და ხშირად ცრუ შინაარსის დეპეშებს აგზავნიდნენ მოწინააღმდეგის სადეზინფორმაციოდ.

არმან ჟან დიუ პლესი, კარდინალი და ჰერცოგი რიშელიე, რომელიც არაფრის მაქნისი ლუი მეცამეტის დროს თითქმის 20 წლის მანძილზე 1624 წლიდან გარდაცვალებამდე (1642წ.) საფრანგეთს თავად მართავდა, საკუთარ მდივნებსაც კი არ ენდობოდა. როცა რაიმე მნიშვნელოვანი ქაღალდები ჰქონდათ გადასაწერი, კარდინალი თვითონ ადევნებდა თვალს მათ მუშაობას. უნდოდა პირადად დარწმუნებულიყო, რომ საბუთების ზედმეტ ასლს არავინ გადაიღებდა.

კარდინალ მაზარინის ჯაშუში ბერტო შეიპყრეს ბორდოში აჯანყებულმა დიდგვაროვნებმა. მაზარინის ჯაშუშს სასტიკი წამება მოელოდა. ბერტომ ხერხს მიმართა. მან ნებართვა ითხოვა, მიეწერა წერილი ქალაქ ბლეიში ერთი მღდვლისათვის, რომელსაც თავის ბიძად ასაღებდა. წერილში ლაპარაკი იყო მარტოოდენ ფულზე, არეზე კი მინაწერი ჰქონდა: „გიგზავნით თვალის მალამოს; მალამო თვალზე წაისვით და მხედველობა გაგიუმჯობესდებათო“. ბერტომ წერილი ერთ გლეხს ჩააბარა და წასჩურჩულა, ბარათი პირადად გადაეცი მეფის მომხრეს ჰერცოგ სენ-სიმონსო. ჰერცოგმა მიიღო წერილი და მიხვდა, რომ მალამო უნდა წაეცხო წერილის მეოთხე, სუფთა გვერდისათვის: ბერტო ითხოვდა, დამეხმარეთ აქედან გავიქცეო. სენ-სიმონმა ერთ მენავეს უბრძანა ბერტოსთვის ჩუმად მიეტანა მეზღვაურის ტანსაცმელი. გადაცმულმა ფრანცისკელმა მოახერხა მცველების მოტყუება და ბორდოდან გაქცევა.

საერთოდ, მას შემდეგ, რაც წერა-კითხვა, ყველასათვის თუ არა, ბევრისთვის მისაწვდომ და გასაგებ ხელობად და ცოდნად იქცა, საიდუმლო პოლიტიკური და სამხედრო ცნობების შესატყობინებლად განსაკუთრებული, გარეშე პირისათვის სრულებით წაუკითხავ-გაუგებარი, ანბანის შექმნა აუცილებელი გახდა. ამიტომაა, რომ ყველა კულტურულ ერს, ჩვეულებრივს გარდა, საიდუმლო მრავალი სხვადასხვანაირი ანბანიც ჰქონდა ხოლმე.

ქართულად, საიდუმლო ანბანს გარდა, საიდუმლო ენაც, მეტყველებაც არსებობდა, რომლის მთავარს, სიტყვათა სახის შემცვლელ ელემენტს მარცვალსა და მარცვალს შუა განზრახ ჩანართი მარცვალი, მაგალითად „წ“ შესატყვისი ხმოვნითურთ შეადგენდა. ამის წყალობით „შიკრიკი მოვიდა“-ს მაგიერ გამოდიოდა „შიკწირიწიკიწი მოწოვიწიდაწა“.

საქართველოში ასევე სცოდნიათ კრიპტოგრაფიის ხელობა. აკად. მ. ბროსეს ნათქვამი აქვს, რომ ბევრი სხვადასხვა ქართული საიდუმლო ანბანის ნიმუში ჰქონია ხელთ.

უძველეს ნიმუშად ჯერჯერობით მაინც პავლე ინგოროყვას მიერ განმარტებული X საუკუნის ხელნაწერში შენახული საგალობელთა კრებულის შემდგენელი მიქაელ მოდრეკილის „მიქაელის“ კრიპტოგრამაა, რომელშიაც ასოების მაგიერ რიცხვითი მნიშვნელობაა გამოყენებული: „ორმოცი ათი ექუსასი ერთი ხუთი და ოცდაათი“. რაკი 40 ძველ ქართულ მწერლობაში ასო „მ“-ანით, 10 „ი“-ნით, 600 „ქ“-ანით, 5 „ე“-ნით, 30 „ლ“-

ასით აღინიშნებოდა. ამიტომ ამ საიდუმლო ანბანის მცოდნე პირს ზემომოყვანილ რიცხვთა კრებული „მიქაელ“–ად უნდა წაეკითხა.

ძველად რას უწოდებდნნ ჩვენში საიდუმლო ანბანს, ჯერ არ ვიცით, მაგრმ XVII საუკუნეში „ანჯანის ანბანი“-ს სახელით ყოფილა ცნობილი. ეს ტერმინი გორგიჯანიძეს აქვს ნახმარი, რომელსაც თავის თხზულებათა კრებულში საიდუმლო ანბანზე აქვს საუბარი და ერთი ამგვარი ნიმუშიც აქვს მოყვანილი.

XVII საუკუნის ომებში ჯაშუშობას ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ თვით მხედართმთავრებს არაერთხელ უკისრიათ მზვერავის როლი. არასის ალყის დროს საფრანგეთის მარშალი ფაბერი მტრის სიმაგრეში შეიპარა და თავდაცვის სისტემა დაათვალიერა. 1668 წელს საფრანგეთის გენერალი კატინა მტრისაგან დაკავებულ სიმაგრე ლუქსემბურგში შეიპარა როგორც ბუხრების მწმენდავი. კიდევ უფრო ხშირი იყო, რომ დიდი მხედართმთავრები პირადად ხელმძღვანელობდნენ თავიანთ დაზვერვას. მაგალითად, 1702 წელს პრინცმა ეუენი სავოიელმა თავისი ჯაშუშის კოზოლის ჩვენებათა საფუძველზე შეადგინა კრემონაზე თავდასხმის გეგმა. კოზოლიმ პრინცს აცნობა, რომ არსებობდა საიდუმლო გასასვლელი, რომლითაც იანვრის ღამეს ქალაქში შეიჭრა ეუენი სავოიელის 600-ჯარისკაციანი რაზმი. კრემონას ბედი გადაწყდა. საფრანგეთის მარშალი ლუქსემბურგი ძვირფას ცნობებს იღებდა ჰოლანდიის შტატჰალტერის პრინც ვილჰელმ ორანელის მდივნისაგან. მაგრამ ჯაშუში

ამხილეს და ისიც დათანხმდა ცრუ ცნობები მიეწოდებინა ლუქსემბურგისათვის ვილჰელმის ლაშქრის მოძრაობაზე. შედეგი ის იყო, რომ რაღაც შემთხვევით გადარჩა საკუთარ ბანაკში მყოფი ლუქსემბურგი ტყვედ ჩავარდნას შტაინკირხენის მახოლბლად.

რამდენიმე საუკუნის განმავლობაში საიდუმლო სამსახურის სრულყოფა განუყრელად იყო დაკავშირებული აბსოლუტური მონარქიის განვითარებასთან. თავდაპირველად საიდუმლო სამსახურის აპარატს მონარქები მეტწილად იყენებდნენ თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად ფეოდალ დიდებულთა წინააღმდეგ, ფეოდალთა, რომლებიც ცდილობდნენ ცენტრალური მთავრობისაგან ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი ყოფილიყვნენ. უფრო გვიან, აბსოლუტიზმის განმტკიცების მერე, მას აღარ დარჩა მემარჯვენე მოწინააღმდეგენი, ხოლო თავისი მთავარი როლის შესასრულებლად, — ექსპლოატირებული მასების, მეტადრე გლეხობის წინააღმდეგობის ჩასახშობდ, — აბსოლუტიზმი ეყრდნობოდა უწინარეს ყოვლისა არმიას და სწრაფად მზარდ ცენტრალიზებულ პოლიციას. ამიერიდან საიდუმლო სამსახური გადაიქცა მთავარ იარაღად აბსოლუტისტური სახელმწიფოს საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში (თუმცა, რა თქმა უნდა, მას ადრეც იყენებდნენ ამ მიზნით).

ისეთი შემთხვევები, როცა მზვერავები არსებით გავლენას ახდენდნენ პოლიტიკური ამბების მსვლელობაზე, გამონაკლისი როდი იყო. ამა თუ იმ ქვეყნის მზვერავები ან მზვერავთაგან მოსყიდული პოლიტიკური მოღვაწენი

ხშირად მთავარი მონაწილენი იყვნენ სასახლის კარის გადატრიალებისა, მთავრობის შეცვლისა და სხვა ამბებისა, რაც პოლიტიკური კურსის მკვეთრ შეცვლას იწვევდა, თუმცა, რა თქმა უნდა, არ განსაზღვრავდნენ ამ ქვეყნის საერთო ისტორიულ ბედ-იღბალს. კიდევ უფრო ხშირად მზვერავის როლი განისაზღვრებოდა არა უშუალო ჩარევით ამა თუ იმ ამბებში, არამედ ისეთი ინფორმაციის შეგროვებით, რომელიც ერთი ქვეყნის მთავრობას შესაძლებლობას მისცემდა სამხედრო, პოლიტიკური და სხვა ზომების დახმარებით ზეგავლენა მოეხდინა მეორე ქვეყნის მთავრობაზე. მაგარმ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ეს პირობები განსაზღვრავდნენ იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიც დაზვერვა მოქმედებდა. თვით დაზვერვის წარმატება შესაძლებელი ხდებოდა მარტოოდენ გარკვეულ ისტორიულ პირობებში. როდესაც დაზვერვას უსახავდნენ არარეალურ მიზანს — ისტორიული განვითარების კანონზომიერი პროცესის შეჩერებას ან უკუწარმართვას — იგი უეჭველად მარცხს განიცდიდა. დაზვერვა ვერასოდეს ვერ ართმევდა თავს გადაუჭრელ ამოცანას — ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას.

რუსეთის ელჩი პეტრე ტოლსტოი 1702 წლის აპრილში თურქეთის დედაქალაქში — სტამბულში ჩავიდა. საქმიანი ინსტრუქციის გარდა მას ჰქონდა საიდუმლო დავალება, რომელიც 16 პუნქტისგან შედგებოდა. მათ შორის საკმაოდ „დელიკატური“, წმინდა სადაზვერვო

ინფორმაციის შეგროვება. მათ შორის ელჩს უნდა ეცნობებინა პეტრე პირველისათვის სულთნისა და მისი გარემოცვის ხასიათი, სულთანი მართავს ქვეყანას თუ მისი ფავორიტები? ომისადმი აქვს მიდრეკილება თუ არა? პეტრეს აინტერესებდა ოსმალეთის იმპერიის ბიუჯეტი, თურქეთის არმიის შემადგენლობა და დისლოკაცია, ჯარისკაცთა გაწვრთნის ფორმები და მატერიალური უზრუნველყოფა. ასევე საბრძოლო ხომალდების რაოდენობა და მათი შემადგენლობა. სახმელეთო და საზღვაო ძალების მოდერნიზაციის გეგმები.

სტამბულში ტოლსტოის დახმარება აღმოუჩინეს „ფარულმა“ დამხმარეებმა თურქეთში. მათ შორის იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოზმა.

საიდუმლო დავალებები მიიღეს რუსეთის სხვა ელჩებმა. ჰოლანდიაში რუსეთის ელჩის ა. მატვეევის ინფომრაციით, შვეცია ემზადებოდა არხანგელსკის ასაღებად. მისი საიდუმლო მინიშნების საფუძველზე რუსეთი დროულად მოემზადა შვედების ფლოტთან საბრძოლველად და გაანადგურა.

შვიდი წლის შემდეგ 1708 წლის სექტემბერში, მატვეევმა პეტრეს გაუგზავნა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია შვეციის მეფის გადაწყვეტილებაზე, მთელი არმია შემოებრუნებინა უკრაინის მიმართულებით. ამასთან ერთად ელჩი წერდა მეფეს კარლოს XII-ის შესაძლო გაერთიანებაზე პოლონელებთან და ყირიმის ხანთან. ასევე კაზაკების ნაწილის გამოყენებაზე რუსეთის არმიის წინააღმდეგ. პეტრემ მიიღო რჩევა და მთელი რიგი

ღონისძიებები გაატარა, რამაც გააძნელა შვედების მოძრაობა სამხრეთით.

ამავე პერიოდში შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში ნაყოფიერად მუშაობდა პეტრეს წარმომადგენელი თავადი ა. ხილკოვი. მის ამოცანას შეადგენდა ინფორმაციის შეგროვება უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების საქმიანობაზე სტოკჰოლმში. ამ საქმეში მას ქმედით დახმარებას უწევდა ნარვასთან ტყვედ ჩავარდნილი ოფიცერი მანკიევი, რომელმაც კარგად იცოდა შვედური, ლათინური და პოლონური ენები.

შვეციაში გატარებული 18 წლიდან ბოლო 5 წელი ხილკოვმა ციხეში გაატარა, როგორც პეტერბურგის საშიშმა მზვერავმა. ის ციხიდანაც ახერხებდა რუსეთის ხელისუფლებისათვის მიეწოდებინა ღირებული ცნობები შვეციაში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების შესახებ.

განსაკუთრებულ სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდნენ ინგლისელი დიპლომატები. ინგლისის ელჩი პეტერბურგში ვიტვორტი ერთდროულად იყო დიპლომატი და მზვერავი. 1708 წლის მაისში მან გაგზავნა ლონდონში მეფის ფლოტის გემების სია, რომლებიც იდგნენ პეტერბურგიდან 30 ვერსის მოშორებით. აღნიშნულ სიაში მითითებული იყო საბრძოლო ხომალდების ეკიპაჟის შემადგენლობა. ცოტა ხანში რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნით ვიტვორტი ლონდონში გაიწვიეს.

ეგვიპტე-სირიაში, თურქეთში, ირანში, ავღანეთში, დიდი მოგოლის იმპერიის ჰარემებში მოხვედრილმა ქართველმა ქალებმა საოცარი პატრიოტიზმი შეინარჩუნეს.

ქართული სამეფო კარისათვის ირანისა და თურქეთის ყველა საიდუმლო ცნობილი იყო. განსაკუთრებით იყენებდა სტამბოლის ქართველ ქალთა ინფორმაციას ერეკლე მეორე.

ქართლ-კახეთის მეფემ უკეთესად იცოდა, რა ხდებოდა ოსმალეთის ცენტრში, მის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში, ვიდრე იქ მყოფმა რუსეთის ელჩმა.

უცხოეთში ტყვედ წაყვანილ, გაყიდულ თუ თავისი ნებით გადახვეწილ აურაცხელ ქართველთაგან მხოლოდ ზოგიერთს თუ ხვდებოდა წილად სამშობლოში დაბრუნების ბედნიერება, თორემ სამუდამოდ იქ რჩებოდნენ და, ჩვეულებრივ, სულთნების, შაჰების, ბეგლარბეგების, ფაშების და ბეგების შეიარაღებულ რაზმებს თუ ჰარამხანებს ამშვენებდნენ. იქ იწყებოდა მათი მეორე, ნამდვილად მძიმე მონური ცხოვრება. თუმცა დღევანდელი მონა ხვალ შეიძლება სხვისი ბატონი და პატრონიც გამხდარიყო, რადგან მისი წოდებრივ-უფლებრივი თუ თანამდებობრივი მდგომარეობა ბევრად იყო დამოკიდებული მისსავე პირად ღირსებებზე: ჭკუა-გონებაზე, ერთგულ სამსახურზე, თავდადებაზე. ამიტომ ოსმალეთში და ირანში მოხვედრილი ქართველების მეტი წილი ამ ღირსებების წყალობთი სწრაფად აღწევდა თავს მონურ მდგომარეობას, წინაურდებოდა და ბევრი მათგანი მსხვილი ფეოდალი, ბეგი, ბეგლარბეგი, ფაშა ხდებოდა. სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს „კალმასობის“ ავტორი, როცა ამბობს: „ისხდნენ კუალად კახეთიდან და იმერეთიდან

დაკარგულნი ტყვეები ბეგებად და ქაშიფებად (მმართველებად ა.ს.) მისრში ბეგებად ქართველები არიანო.“

ერეკლე მეორემ, როდესაც კავშირი გააბა ხონთქრის ქართულ გარემოცვასთან, ხელი შეუწყო სტამბოლელი ქართველი დიდკაცების ურთიერთობას სამშობლოსთან.

დღეს უკვე ცნობილია, რომ სტამბოლის ჰარამხანის ტყვე ქართველი ქალები მეფე ერეკლეს აწვდიდნენ სამხედრო-საიდუმლო ცნობებს ოსმალეთის შესახებ, რითაც უადვილებდნენ მტრების მოგერიებას. საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ ყოფილი ტყვე ქართველი მამაკაცები — უზენაეს თანამდებობამდე მიღწეულნი — აგრეთვე კრებდნენ საიდუმლო ცნობებს, ერეკლეს ატყობინებდნენ და ოსმალეთის ანტიქართულ გეგმებს ფუშავდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ერეკლეს იმდენად კარგი დაზვერვა ჰქონდა, რომ თბილისიდან პეტერბურგში გაგზავნილი ცნობები თურქეთის ვითარებისა და თურქეთის მთავრობის გეგმების შესახებ უფრო ზუსტი იყო, ვიდრე კონსტანტინეპოლიდან რუსი რეზიდენტის და რუსეთის აგენტების მოხსენებები.

მეტად საინტერესოა მეფე ერეკლეს მიერ დაწესებული მუდმივი მეთვალყურეობა და დაზვერვითი საქმიანობა ოსმალეთის სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი ქართლის მოსაზღვრე ახალციხის საფაშოზე. „პატარა კახი“, მხოლოდ ერთი არხის ინფორმაციას არ ენდობოდა. მიღებულ ცნობებს ერთმანეთს აჯერებდა და ისე იღებდა სათანადო გადაწყვეტილებას. საიდუმლო ინფორმაციის შეგროვება სპეციალურად განსაზღვრულ პირთა გარდა

დავალებული ჰქონდათ მაღალი რანგის მოხელეებსაც. მაგალითად, ზემო ქართლის „უფროსს“ ოთარ ამილახვარს. მეფე ერეკლე ერთ-ერთი წერილში ამილახვარს სწერდა: „...შენი წიგნი მოგვივიდა, ახალციხის მაზრის ამბავი მოგეწერა. ჩვენც იქით-აქეთ კაცნი გვყვანან, რომ იმათ ამბავი არ გვაკლია, არიან კაცნი ქრისტიანენი და თათარნიცა, რომ ამბავს წვრილად იწერებიან. შენის მოწერილის ამბისა ზოგი რამ კიდეც ემოწმება და დიაღ კარგსა იქ, რომ იქაურს ამბავს კითხულობ. იქ, ახალციხეს რაც ლეკის ჯარია, ჩვენ სარწმუნოდ ვიცით ხათრიჯანის კაცისაგან, რომ სულ ხუთას კაცს ათნაკლები კაცნი არიან“.

მეფეს მზვერავებად ქართველებისა და სომხების გარდა „თათრებიც“ ჰყავდა, რომლებიც დაწვრილებით და სანდო ცნობებს აწვდიდნენ მას. ერეკლე არა მარტო მტრის ქვეყნის ცნობებს აგროვებდა, არამედ ფხიზლად იცავდა თავისი ქვეყნის საიდუმლო ცნობებს.

მეფე ერეკლემ ისიც კარგად იცოდა, თუ ახალციხის ფაშას რომელ სოფელში ჰყავდა მზვერავები და რომელ ოჯახთან იყვნენ ისინი დაკავშირებულნი. აი რას წერს 1790 წლის 10 მარტს ოთარ ამილახვას: „ბატონო ამილახორო ოთარ, მერმე ქაიხოსრო ლევანანიშვილის ქალი რომ არის მანდ, თქვენ კარგად უნდა გაფრთხილდეთ, რომ ახალციხიდამ იმასთან მამსვლელი კაცი იყოს ვინმე... ის კაცი ჩაიგდოთ, კარგად გაჩხრიკოთ, ან აქედან გაგზავნილი წიგნი ექნება და ან იქიდამ მოსული წიგნები — ასე კარგათ უნდა გაფრთხილდეთ, რომ

ახალციხიდამ მოსული კაცი, მანამ მაგასთან მოვიდოდეს, თქვენ ჩაიგდეთ, წიგნებიცა და კაციც საჩქაროთ ჩვენთან გამოგზავნეთ.“

ერეკლე მეორემ შეძლო რუსეთში თავისი აგენტურის შეყვანა. ბესარიონ გაბაშვილი მზვერავთა შორის ასახელებს არქიმანდრიტ გაიოზს. მზვერავის საიდუმლო ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული ხარჭაშნელ ეპისკოპოსს. რუსეთის საგარეო უწყებაში მუშაობდა ერეკლეს რეზიდენტი აბითურაბი. ისინი საიდუმლო ინფორმაციას წერილების მეშვეობით ატყობინებდნენ ქართლ-კახეთის ხელისუფლებას. გარდა ამისა კავკასიის ხაზზე ერეკლეს ჰყავდა თარჯიმნის სტატუსით მზვერავი გლეხი სავარსამიძე, რომელსაც მეფემ ჯერ აზნაურის წოდება, ხოლო შემდეგ თავადობა უბოძა.

პატარა კახს მზვერავთა ფართო ქსელი ჰქონდა გაბმული ასტრახანსა და ყიზლარში, რაშიც ადგილობრივი მოსახლეობაც იყო ჩართული.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თურქეთმა განიცადა რა რამდენიმე გზის მარცხი რუსეთთან, სულთან სელიმ III-ის კარზე უმაღლესმა აღმასრულებელმა ორგანომ — მაღალმა პორტამ მიიღო გადაწყვეტილება საფუძვლიანად შეესწავლა ახლო და შორი ქვეყნების პოლიტიკური ვითარება; რათა გამოემუშავებინა ახალი პოლიტიკური ხედვა. ამავე დროს გაეტარებინა კარდინალური ცვლილებები თავად თურქეთში. სხვანაირად რომ ვთქვათ თურქებმა დაიწყეს თავისებური „პერესტროიკა“.

ჯერ კიდევ გუშინ ევროპის ქვეყნებისათვის „დახურული“ ქვეყანა დასავლეთის ქვეყნებში ქმნის საგანგებო დიპლომატიურ საელჩოებს. მათი მთავარი ამოცანაა — ფართო საერთაშორისო ინფორმაციის შეგროვება. რუსეთში ელჩად დაინიშნა სელიმის ნდობით აღჭურვილი პირი, 30 წლის მუსტაფა რასიჰ-ეფენდი.

ელჩს მიეცა მითითება: ყოველმხრივ დაედასტურებინა რუსეთისათვის ოსმალეთის მშვიდობიანი და მეგობრული დამოკიდებულება, მიეღწია ტყვეების სწრაფი განთავისუფლებისათვის, ემოქმედა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის აღსადგენად, მაქსიმალურად შეეკრიბა ცნობები ევროპის ქვეყნების დამოკიდებულებაზე საფრანგეთში მომხდარი რევოლუციისადმი. რასიჰ-ეფენდის დიპლომატიური მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ ის იყო განათლებული, ცნობისმოყვარე და რაც მთავარია სელიმის ერთგული.

როგორც ძველი თურქული ქრონიკები მოწმობენ სელიმმა კონფიდენციალური საუბრის დროს რუსეთში გამგზავრების წინ ელჩი ასე დაარიგა: „ჩვენ წავაგეთ რესებთან ზედიზედ ორი ომი. რით განვარისხეთ უფალი? გაარკვიე, როგორ ხდება, რომ მამაც მებრძოლებს, რომლებიც ამარცხებენ ისლამის შვილებს მართავს ქალი? ვინ არის დედოფალი ეკატერინე? რაში მდგომარეობს მისი ძალა? გაარკვიე...“

წარმატების შემთხვევაში სულთანი ელჩს საკუთარი დის ცოლად შერთვას შეპირდა.

ოსმალეთში რუსეთის ელჩად დაინიშნა 40 წლის კუტუზოვი. მან იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, პოლონური, შვედური, თურქული და ლათინური ენები. კუტუზოვის, როგორც მზვერავისა და დიპლომატის აღმოჩენა სუვოროვის დამსახურება იყო.

ენების ცოდნა თავისთავად გულისხმობს ჯერ კიდევ გუშინ უცნობი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ადათ-წესებისა და სხვა თავისებურებათა ცოდნას.

ისლამის კანონების მიხედვით ჰარამხანასა* და მის მიმდებარე ტერიტორიაზე — ბაღთან უცხო პირთა მიახლოება არ შეიძლებოდა. კანონის დამრღვევს სასტიკი სასჯელი ელოდა და უცებ... გაოცებული სტამბული. რუსეთის ელჩი ჰარემის ბაღში აღმოჩნდა სელიმ მესამის დედის მიჰრი-ხანუმის წინაშე. სულთნის დედა იყო ქართველი მართლმადიდებელი მღვდლის შვილი, რომელიც ბავშვობაში მოიტაცეს და ოსმალეთის ბაზარზე გაყიდეს. მოგვიანებით ის გახდა სულთან მუსტაფა III-ის საყვარელი ცოლი, მეგობარი და მრჩეველი. კარგად ფლობდა იტალიურსა და ფრანგულ ენებს. მოლაპარაკებას კიდევ ორი ქალბატონი ესწრებოდა: სელიმის ღვიძლი და ხატიჯე — ხანუმი და სულთნის ფავორიტი ნახშ-ი დილი, იგივე ემე დე რივერა, ბონპარტეს მესამე ცოლის ჟოზეფინა დე ბოგარნეს ბიძაშვილი.

სელიმმა ბევრი იცინა, როდესაც შეშინებულმა დაცვის უფროსმა სერიოზული სახით მოახსენა: „ეს რუსი

---

* აკრძალული ადგილი.

ქცევის მიხედვით თუ ვმისჯელებთ ეკატერინეს მთავარი ევნუხი (საჭურისი) უნდა იყოსო".

მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო. აღდგა რუსეთ-ოსმალეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა.

იტალიიდან საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ ძლევამოსილი გენერალი ბონაბარტი დირექტორიამ დიდი არმიით ეგვიპტის დასაპყრობად გაგზავნა. ეგვიპტისაკენ მიმავალმა ესკადრამ, რომელსაც საფრანგეთის ჯარი გადაჰყავდა, გზად კუნძული მალტა დაიპყრო. ეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის კუნძული მალტის რაინდთა ორდენს ეკუთვნოდა. მის ხანგრძლივ ალყაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. საფრანგეთის ესკადრაზე ნადირობდა უფრო ძლიერი ინგლისის ფლოტი ადმირალ ნელსონის მეთაურობით. მაშ როგორ აიღეს მალტა?

დაახლოებით ერთი წლით ადრე, ერთი ფრანგი დიპლომატი გენუაში აკრედიტებული საელჩოს თანამშრომელი ვინმე პუსიელგი, ნაპოლეონის წინადადებით, მალტაზე გაგზავნეს. გამოცდილი ფრანგი მალე შეუთანხმდა ორდენის ყველაზე უფრო გავლენიან წევრებს და, როდესაც 1798 წლის ივნისის დამდეგს ნაპოლეონის ფლოტი მიადგა ძლიერ ციხე-სიმაგრედ გადაქცეულ მალტას, ის უბრძოლდველად ჩააბარეს ფრანგებს. გამარჯვებულებმა თავის მხრივ გულუხვად გადაუხადეს რაინდებს, რომლებმაც კუნძულის გაყიდვაში განსაკუთრებული კომერციული ნიჭი გამოიჩინეს.

ეგვიპტის ექსპედიციის დროს ნაპოლეონმა ვერ მოახერხა ისეთი სადაზვერვო სამსახურის შექმნა, რომე-

ლიც შეძლებდა ეფექტური მეტოქეობა გაეწია ლანდრეს „საიდუმლო ბიუროსათვის“. საფრანგეთის დაზვერვამ მაინც მოახერხა მოესყიდა ეგვიპტის მამლუქების ერთ-ერთი ბელადი მურად-ბეი.

საფრანგეთში დაბრუნებისა და 18 ბრიუმერის გადატრიალების შემდეგ რის შემდეგაც ის პირველი კონსულის წოდებით სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, ნაპოლეონმა უპირველეს ყოვლისა, ხელი მოჰკიდა თავისი დაზვერვის, უფრო ზუსტად რამდენიმე სადაზვერვო ორგანიზაციის ერთდროულად შექმნას. დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მოვალეობანი ეკისრებოდა პოლიციის სამინისტროს, რომელსაც ჟოზეფ ფუშე ხელმძღვანელობდა. მისგან დამოუკიდებელ პარიზის პოლიციის პრეფექტ დიუბუას ბიუროს, და პირველი კონსულის პერსონალურ აგენტებს, რომლებმაც თავისი განსაკუთრებული ორგანიზაციები შექმნეს (მათ შორის იყვნენ ისეთი ცნობილი სამხედრო პირები, როგორიცაა დიუროკი, დავუ, ლანი, ჟიუნო, სავარი — ნაპოლეონის იმპერიის მომავალი მარშლები და მინისტრები). ამ პირად დაზვერვას ნაპოლეონი ხელმძღვანელობდა თავისი მდივნის ბურიენის საშუალებით.

შემდგომში ნაპოლეონის დაზვერვას აგენტები ჰყავდა ევროპის სახელმწიფოთა ყველა დედაქალაქში და მრავალ დიდ ქალაქში. ჩვეულბერივად ესენი კარგი ჯამაგირის მქონე რეზიდენტები იყვნენ. როდესაც ამა თუ იმ აგენტის მოღვაწეობის რაიონი მოექცეოდა მოვლენების

ცენტრში, ამ მზვერავს ძალიან დიდ თანხას აძლევდნენ ინფორმაციისათვის.

1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წლებში საფრანგეთმა ფართოდ გაშალა ჯაშუშური საქმიანობა რუსეთის წინააღმდეგ. საფრანგეთის ჯაშუშთა ქსელის მთავარ ცენტრს ბუქარესტში საფრანგეთის საკონსულო წარმოადგენდა, რომელსაც ვიცე-კონსული ლედუ წარმართავდა. მოსყიდვის საშუალებით ჯაშუშებად იყენებდნენ აგრეთვე სერბიელებს, მოლდაველებს, ვლახებსა და სხვ. ისინი თითქოსდა ვაჭრები, თავიანთი საქონლით დატვირთული ტრანსპორტით მოძრაობდნენ მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და თანაც რუსეთის სამხედრო ძალების შესწავლას საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ. ცნობებს ჯარის სახეობის, მისი რიცხობრივი შემადგენლობის, საარტილერიო ძალების რაოდენობის, განლაგების და სხვათა შესახებ, ჯაშუშები აწვდიდნენ როგორც საფრანგეთს, ასევე ოსმალეთის სარდლობას.

განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა „შავი კაბინეტი“, რომლის სათავეში იდგა გამოცდილი მზვერავი, ფოსტების დირექტორი ლავალეტი. 1811 წელს ნაპოლეონმა ბრძანება გასცა ჩამოეყალიბებინათ „შავი კაბინეტის“ ფილიალები თავისი უზარმაზარი იმპერიის მრავალ ქალაქში — ტურინში, გენუაში, ფლორენციაში, რომში, ამსტერდამში, ჰამბურგში. ფაქტიურად ლავალეტი გადაიქცა პოლიციის მეორე მინისტრად და ნაპოლეონის კონტრდაზვერვის ერთ-ერთ ხელმძღვანელად. სხვათა შორის ნაპოლეონმა ლავალეტის დახმარებით შეიძინა ათი-თორ-

მეტი ძვირადღირებული აგენტი, რომლებსაც უნდა წარედგინათ საიდუმლო მოხსენებები საფრანგეთის ბურჟუაზიისა და ბიუროკრატიის სხვადასხვა წრის განწყობილებაზე. ამ აგენტთა შორის იყო ცნობილი მწერალი, ქალბატონი ჟანლისი. მოხსენებებს დალუქული კონვერტებით გადასცემდნენ ლავალეტს, რომელიც შემდეგ მას ნაპოლეონს გადასცემდა.

ნაპოლეონს არასდროს ენანებოდა ფული დაზვერვის დასაფინანსებლად, მაგრამ 1810 წლიდან ამ მხრივ კიდევ უფრო ხელგაშლილი გახდა: სამხედრო უწყების საიდუმლო განყოფილების „უცხოელთა მოსყიდვისათვის“ 1810 წელს გამოუყო 3 მილიონი, 1811 წელს 5, ხოლო 1812 წელს უკვე 10 მილიონი ფრანკი.

მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში ინახება პეტერბურგში საფრანგეთის საელჩოს იმდროინდელი დოკუმენტები, რომლებიც რუსეთის კონტრდაზვერვამ ხელში ჩაიგდო. ერთ-ერთ „საქაღალდეში“ არის რუსეთის არმიის 60 გენერლის დოსიე. მათ შორის არიან 1812 წლის მომავალი გმირები: მ. კუტუზოვი, მ. ბარკლაი-დე ტოლი, პ. ბაგრატიონი, მ. მილორადოვიჩი, დ. დონტუროვი და სხვ. საინტერესოა, რომ თითოეული გვარის გასწვრივ არის მინაწერი „მოუსყიდავი“.

ნაპოლეონის დაზვერვაში მუშაობდნენ რუსი არისტოკრატიისა და დედაქალაქის თავად-აზნაურთა სახლებში დასაქმებული ფრანგი გუვერნიორები, პარიკმახერები, მოდური მაღაზიების მმართველები, რესტორნების მზარეულები და ა.შ. ისინი წარმოადგენდნენ ნაპოლეო-

ნის დაზვერვის „ქვედა“ აგენტურულ ქსელს; მათი ინ-ფორმაციის ღირებულება არცთუ ისე მაღალი იყო. ასე-თი „აგენტების“ ცნობებში ხშირად ერთმანეთში არეული იყო იაროსლავი და კოსტრომა, ხოლო ვოლგა გაიგივე-ბული ჰქონდათ დასავლეთ დვინთან. ერთ-ერთი ასეთი „თანაშემწის“ მიერ შედგენილ „რუკაზე“ ურალს ესაზ-ღვრება... ჩინეთი.

ნაპოლეონის დაზვერვის ერთ-ერთი თანამედროვე ის-ტორიკოსი ჟან სავანი, თავის წიგნში „ნაპოლეონის ჯა-შუშები“ აღნიშნავს, რომ „ნაპოლეონის ლაშქრობის მარ-ცხი რუსეთში განაპირობა კარგი საჯაშუშო ქსელის უქონლობამ. გენერალურ შტაბს არ ჰქონდა საშუალება ობიექტურად შეეფასებინა მოწინააღმდეგის სამხედრო-სტრატეგიული პოტენციალი.“

ასეთი მტკიცებით, ავტორი ცდილობს შეამსუბუქოს ფრანგების დამარცხება. სინამდვილეში კარგი საჯაშუშო სისტემის გარდა „მოყვარული-აგენტების“ რიცხვში გა-მორჩეული ნიჭის მქონე ადამიანებიც ხვდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი — ცნობილი ფრანგი არქეოლოგი ჟან ლა-იარი იყო. ლაიარი 1807 წლიდან არქეოლოგიურ გათ-ხრებს აწარმოებდა სპარსეთში. ნაპოლეონმა მიიწვია მეცნიერი სასახლეში და აღუთქვა დიდი თანხა მუშაო-ბის გასაგრძელებლად. ამავე დროს სთხოვა საფრანგეთ-ში დაბრუნებულიყო არა ჩვეულებრივი „ევროპული“ გზით, არამედ კასპიისა და ვოლგის გავლით, შეევლო მოსკოვში, პეტერბურგში, რიგაში და ვარშავაში. თან-ხმობის მიღების შემდეგ, ნაპოლეონმა გადასცა ლაიარს

„კითხვარი“ — რეკრუტების რაოდენობის შესახებ, რუსეთის არმიის მმართველობის სისტემა, გზებისა და ხიდების მდგომარეობა, რუსეთის კლიმატური პირობების და ამინდის თავისებურებანი და სხვ.

1810 წლის დეკემბერში ლაიარმა ნაპოლეონს გადასცა „კითხვარზე“ გაცემული პასუხები, რომელიც შედგებოდა ფასეული სადაზვერვო მონაცემების რამდენიმე ტომისაგან. როდესაც ნაპოლეონი გაეცნო ინფორმაციის შინაარსს, ლაიარი არა მარტო საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა (რა თქმა უნდა „არქეოლოგიური აღმოჩენებისათვის“), არამედ დააფინანსა ყველა მისი გათხრები სპარსეთში მომავალი ათი წლის მანძილზე.

ასეთი იყო ვითარება რუსეთ-საფრანგეთის საიდუმლო ფრონტზე, როდესაც 1810 წლის 5 ოქტომბერს ბარკლაი-დე ტოლმა პირადად გადასცა საიდუმლო ინსტრუქცია დასავლეთ ევროპაში პირველ „სამხედრო აგენტს ა. ჩერნიშევს. მისი ოფიციალური „საიდუმლო“ მისია იყო „სამოკავშირეო წერილების“ გადაგზავნა ნაპოლეონსა და ალექსანდრე პირველს შორის. ფაქტიურად კი ჩერნიშევს ევალებოდა შეეკრიბა ცნობები საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების სამხედრო სამზადისის შესახებ.

პამფლეტებმა, ანდა მათმა შემცველმა ყოველკვირეულმა და შემდეგ, ბევრად უფრო გვიან, ყოველდღიურმა გაზეთმა ევროპაში გავრცელება ჯერ კიდევ XVII და XVIII საუკუნეებში ჰპოვეს, დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ, რომ მათ სახელმწიფო საიდუმლოების

გაცემასთან არ შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონოდათ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ნაპოლეონის ხელისუფლების დამყარების შემდეგ პრესა მან მკაცრი პოლიციური კონტროლის ქვეშ დააყენა, რომელიც სამხედრო ცენზურასაც მოიცავდა. მეორე მხრივ, პრესას, მთავრობის „მონიტერის“ ჩათვლით, ფართოდ იყენებდნენ ოფიციალური პროპაგანდის გასავრცელებლად, ომში მიღწეული წარმატებების გაზვიადებით და დამარცხებათა დამალვის გზით, აგრეთვე მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად. ამას აღწევდნენ არა მარტო გაზეთების ყალბი ნომრების ბეჭდვით, არამედ ნამდვილ ფრანგულ გამოცემებში ცრუ ინფორმაციების მოთავსებით.

აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს პრეზიდენტ ლინკოლნის მთავრობა გაზეთების მიერ ჯარების გადაადგილების შესახებ მრავალი საიდუმლო ცნობის გაცემის ფაქტს წააწყდა. ვინაიდან საომარი მოქმედების თეატრის დიდ ნაწილზე მთლიანი ფრონტის ხაზი არ არსებობდა, ეს გაზეთები სწრაფად უვარდებოდათ ხელში სამხრეთელებს. სამხედრო საიდუმლოების გამხელა ზოგჯერ ბოროტ ხასიათს ატარებდა. ეს იყო ჩრდილოეთში გავლენიანი წრეების — „სპილენძისთავიანების“ მტრობის შედეგი, რომლებიც მონათმფლობელებთან კომპრომისული ზავის დადებისაკენ ისწრაფოდნენ. „ჟანგაროთა“ გაზეთები ხშირად ცრუ სამხედრო ინფორმაციას ბეჭდავდნენ იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეეყვანათ არა მოწინააღმდეგე, არამედ ჩრდილოეთის შტატების მოსახ-

ლეობა. 1864 წელს გაზეთებმა „ნიუ-იორკ უორლდმა“ და „ნიუ-იორკ ჯორნელ ოფ კომერსმა“ დაბეჭდეს პრეზიდენტ ლინკოლნის ყალბი პროკლამაცია, რომელშიც სამხედრო მდგომარეობა მუქ ფერებში იყო შეფასებული და პროვოკაციულად აცხადებდნენ კიდევ ოთხასი ათასი კაცის არმიაში გაწვევას. ორივე გაზეთი ადვილად გადარჩა. მათი გამოცემა მხოლოდ სამი დღით აკრძალეს. ჩრდილოელების ცნობილმა გენერალმა შერმანმა, როდესაც თავის არმიაში უნებართვოდ შესული „ნიუ-იორკ ჰერალდის“ კორესპონდენტი ტ. ნოკსი აღმოაჩინა, ბრძანება გასცა რეპორტიორი სამართალში მიეცათ, როგორც მტრის ჯაშუში. ჟურნალისტი მსჯავრდებულ იქნა, მაგრამ პრეზიდენტმა განაჩენი გააუქმა. ზევიდან ჩარევის გამო გულმოსულმა შერმანმა განაცხადა: „რადგანაც ამერიკელები მოითხოვენ და უნდა მიიღონ ინფორმაცია, ისიც ნამდვილი, მაგრამ მაინც ინფორმაცია, — დაე მიიღონ. მაგრამ ისინი თავისი ჩვევებით მოგვაგონებს ლოთს, რომელსაც იმდენად წამხდარი აქვს ბუნებრივი მიდრეკილება, რომ მხოლოდ კონიაკი აკმაყოფილებს“.

პრესის მიერ სამხედრო საიდუმლოებების გაცემის მაგალითები ძალიან ბევრია. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს გერმანიის მესამე არმიამ ვერტესთან ბრძოლის შემდეგ მიმართულება დასავლეთისაკენ აიღო და ორი-სამი დღის სავალით მაკ-მაგონის საფრანგეთის ჯარს დაცილდა, რომელიც აღმოსავლეთისაკენ უტევდა. ამ დროს გერმანელებს ხელში ჩაუვარდათ ფრანგული გაზეთი, ის ატყობინებდა, მაკ-მაგონის არმია რეიმსში იმ-

ყოფებაო. გერმანიის სარდლობამ თავისი ჯარი ჩრდილოეთისაკენ გაგზავნა და ფრანგების გეგმების განხორციელებას ხელი შეუშალა.

XIX საუკუნეში აღმოსავლეთის ქვეყნები სულ უფრო მეტად ხდებოდნენ საიდუმლო ომის ასპარეზად. ინგლისის დაზვერვამ შუა და ახლო აღმოსავლეთს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია XIX საუკუნის 20-იან წლებში. ავღანეთში, ფერგანაში, კოკანდაში, ხივაში, ბუხარაში ზედიზედ გაიგზავნა ოსტ-ინდოეთის კომპანიის აგენტები. ზოგიერთი მათგანი დაიღუპა (მურკფორტი, შემდეგ ა. კონოლი და სტოდოლი ბუხარაში). მაგრამ დანარჩენები დაჟინებით განაგრძობდნენ სადაზვერვო მოღვაწეობას. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა 1836 წელს ლეიტენანტ ალექსანდრე ბერნსის მოგზაურობამ ავღანეთში. მისი ცდა, დაენერგა ინგლისის გავლენა, ჩაიშალა რუსი ოფიცრის ვიტკევიჩის მოქმედებით, რომელიც 1837 წელს ავღანეთში იმ მიზნით გაგზავნეს, რომ გაეერთიანებინა ავღანეთის ფეოდალები ინგლისელების შემოტევისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ვიტკევიჩი ხიველი ვაჭრის ტანსაცმელში გამოწყობილი მოგზაურობდა. რუსმა აგენტმა მოახერხა ხელშეკრულებები დაედო ავღანეთის მთელ რიგ მსხვილ ფეოდალურ ბელადებთან. 1839 წლის მაისში პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე, ვიტკევიჩი დააჯილდოვეს. დაიწერა ბრძანება მისი გვარდიაში გადაყვანის შესახებ. ვიტკევიჩს სწრაფი კარიერის გზა ეხსნებოდა და მოულოდნელად მან, დედაქალაქში ჩამოსვლიდან ერთი კვირის

შემდეგ უმიზეზოდ მოიკლა თავი სასტუმროში. სიკვდილის წინ დაწერილ წერილში იტყობინებოდა, რომ დაწვა ყველა მნიშვნელოვანი დიპლომატიური საბუთი, რომლებიც მას გააჩნდა. უკვე მაშინვე დაიბადა აზრი, ხომ არ იყო ეს იმათ მიერ ინსცენირებული „თვითმკვლელობა“, ვისაც ვიტკევიჩის ქაღალდების ხელში ჩაგდება უნდოდა. სწორედ ამ დროს დაიწყო ინგლისმა ავღანეთის წინააღმდეგ ომი და ამ ქაღალდებს მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

მარცხმა, რომელიც ინგლისის ჯარმა ავღანეთში განიცადა, კი არ შეკვეცა, არამედ პირიქით, უფრო გააქტიურა მისი აგენტურა, რომელიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ავღანელების წინააღმდეგ შემდგომ აგრესიულ ექსპედიციებს ამზადებდა. ბრიტანეთის მზვერავები ათეული წლების მანძილზე შუა აზიაშიც მოქმედებდნენ, როდესაც ის მეფის რუსეთის ჯარით იყო დაკავებული (XIX საუკუნის 60-80-იან წლებში). ბრძოლების დროს ინგლისელი ოფიცრები მოქმედებდნენ იმ რაზმების სამხედრო მრჩევლებად, რომლებიც მეფის არმიის შეტევის შეჩერებას ცდილობდნენ.

XIX საუკუნის ბოლოს დაზვერვა აქტიური იარაღი გახდა კონცესიების, ნედლეულის წარმოებისა და იაფი მუშახელის მოპოვებისათვის ბრძოლაში იმ რაიონებში, სადაც სხვადასხვა მიზეზით არ შეიძლებოდა სამხედრო დაპყრობის პირდაპირი მეთოდის გამოყენება.

XIX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში აღმოსავლეთში წარმოებულ საიდუმლო ომში, რომელშიც

აქამდე ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები და აშშ მონაწილეობდნენ, იაპონიაც ჩაება, რომელიც სწრაფად ძლიერდებოდა.

ემზადებოდა რა თავის მოსალოდნელ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისათვის, ასეთებად კი უპირველესად ჩინეთი და რუსეთი ითვლებოდა, იაპონიის მმართველმა წრეებმა განსაკუთრებული ყურადრება მიაქციეს სადაზვერვო სამსახურის განვითარებას. ქვეყნის შიგნით საიდუმლო პოლიციის ჯაშუშობის სისტემა იაპონიაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო გამოყენებული და თანაც ისეთი მასშტაბით, რომელიც სრულიად წარმოუდგენელი იყო ევროპის ქვეყნებისთვის.

XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იაპონიას უკვე ორი ათწლეული ჰქონდა გავლილი მეიძის რევოლუციის შემდეგ, რომელიც 1868 წელს მოხდა. მან საფუძველი ჩაუყარა საკუთარი მრეწველობის შექმნას და ევროპის მოწინავე ბურჟუაზიული ქვეყნების მაგალითზე მის გარდაქმნას.

კრეფდა რა კადრებს თავისი სადაზვერვო ორგანოებისათვის, იაპონიის ხელისუფლება იყენებდა პატრიოტულ გრძნობებს, რომლის დამახასიათებლად უსიტყვო მორჩილება და „ღვთაებრივი მიკადოსათვის“ სიცოცხლის შეწირვა ითვლებოდა.

იაპონიის ჯაშუშობის განსაკუთრებით საინტერესო მხარე ის იყო, რომ ჯაშუშობას ეწეოდნენ არა მარტო სამხედრო და საზღვაო უწყება, არამედ მდიდარი მემამულეებისა და ბურჟუაზიის მიერ დაარსებულ-დაფინან-

სებული კერძო „პატრიოტული საზოგადოებებიც“. მათ შორის განსაკუთრებით დიდ. როლს თამაშობდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შექმნილი „შავი ოკეანის საზოგადოება“. სწორედ ამ საზოგადოების აგენტები მკვიდრდებოდნენ მეწვრილმანე ვაჭრების, პარიკმახერების, ხელოსნების, მოსამსახურეების სახით ჩრდილოეთ ჩინეთში, კორეაში, მანჯურიაში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც მეფის რუსეთის ჯარს ეკავა — პორტარტურის ციხე-სიმაგრეში, ქ. დაირენში, სოფლებსა და ქალაქებში, სადაც შენდებოდა გამაგრებული პუნქტები ან დაბინავებული იყო სამხედრო ნაწილები. რეზიდენტები — იაპონიის გენერალური შტაბის ოფიცრები — ხშირად გამოდიოდნენ საროსკიპოს, ოპიუმის მოსაწევი სახლების პატრონების როლში, აგრეთვე ფოტოგრაფის, მედუქნის, ზოგჯერ ნოქრის, მზარეულის, მეცეცხლურისა და გემებზე ოფიციანტის სახით. რეზიდენტები პატარა ჯაშუშური ჯგუფის ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ. ჯაშუშური ჯგუფის მონაწილენი კი ჩინელები და კორეელები იყვნენ. მათ ქირაობდნენ ღარიბების წრიდან. ისინი მზად იყვნენ შეესრულებინათ მძიმე საშიში სამუშაო სულ მცირე გასამრჯელოსათვის, რომელიც ზოგჯერ იხსნიდა მათ ოჯახებს შიმშილით სიკვდილისაგან. იაპონიის დაზვერვა აჯილდოებდა თავის რეზიდენტებს ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გამოჩენისათვის. ისინი თითქოსდა მთელი ორგანიზაციის მთავარ ღერძს ქმნიდნენ. რეზიდენტებს მთლიანად ემორჩილებოდნენ მათ მიერ დაქირავებული აგენტები.

იაპონელებმა ფართოდ გამოიყენეს მეფის მთელი რიგი ოფიცრების არაკომპეტენტურობა, უდარდელობა და, უბრალოდ, გამყიდველობა.

როდესაც 1904 წლის იანვარში იაპონია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა რუსეთის ესკადრას პორტ-არტურში, მომავალი სამხედრო მოქმედების მთელი ასპარეზი იაპონიის სადაზვერვო ქსელით იყო დაფარული. ყველგან, სადაც კი იაპონელთა ჯარი შედიოდა, ნახულობდა თავის ხალხს, რომლებიც კარგად იცნობდნენ ადგილმდებარეობას და პირობებს. მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაკვირველია, იმ სადაზვერვო ჯგუფებს, რომლებიც რუსეთის ჯარის ზურგში რჩებოდნენ.

უჯრედები, როგორც წესი, ჩინელებისაგან შედგებოდა. ყოველ მუდმივ ჯაშუშს სამი ან ოთხი შიკრიკი ემსახურებოდა, რომელთა საშუალებითაც რეგულარულად ეგზავნებოდა ცნობები იაპონიის სარდლობას. შიკრიკებად იყენენ მოხეტიალე მოვაჭრენი და კულები, უცოდინარები და ისეთები, რომლებსაც ხშირად არ ესმოდათ, თუ რას აკეთებდნენ. ამ შიკრიკების გამომჟღავნება იმ უამრავ მებარგულეებში, მენახირეებში, ღარიბებში და უბრალო მაწანწალებში, რომლებითაც გავსებული იყო მანჯურიის ქალაქები და გზები, ძალიან ძნელი იყო.

ცნობების მოსაწოდებლად მრავალ ხერხსა და ფანდს იყენებდნენ, ცნობებს ათავსებდნენ ფეხსაცმლის ლანჩაში, ტანსაცმლის ნაოჭებში, აწნავდნენ ჩინელების

თმებში, იდებდნენ ოქროს კბილებში, ინახავდნენ საოჯახო ნივთებით დატვირთულ საზიდრებში.

სამხედრო საიდუმლოებათა დანაშაულებრივი გამჟღავნების მაგალითად შეიძლება ჩავთვალოთ „მანჯურიის არმიის მოამბე“, რომელსაც რუსეთ-იაპონიის ომის დროს მეფის სარდლობა სცემდა. მასში იბეჭდებოდა ცნობები შორეულ აღმოსავლეთში მოსული სხვადასხვა სამხედრო შენაერთების შესახებ, აგრეთვე ნაწილების განლაგების ანგარიში, ბრძანებები, რომლებშიც მოცემული იყო ცნობები სხვადასხვა კორპუსისა და დივიზიის მდგომარეობისა და შემადგენლობის შესახებ. ამ განცხადებებს აქვეყნებდნენ ოფიცრები, რომლებიც უჩვენებდნენ თავის მისამართებს. ეს უფრო ნათელს ხდიდა რუსეთის არმიის დისლოკაციის სურათს შორეულ აღმოსავლეთში.

სამხედრო ცენზურა როგორც არა მარტო სამხედრო საიდუმლოებათა გამოვლინების აღმოფხვრის, არამედ როგორც მოწინააღმდეგის დეზინფორმაციისა და სამხედრო პროპაგანდის იარაღი ფართოდ იქნა გამოყენებული პირველი მსოფლიო ომის დროს. სამხედრო ცენზურა გავრცელდა საქმიან და კერძო მიმოწერაზე, განსაკუთრებით კი ნეიტრალური ქვეყნების კორესპონდენციებზე. იგი კონტრდაზვერვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი გახდა.

პირველ მსოფლიო ომს წინ უძღოდა ხანგრძლივი მზადება. მზადება მიმდინარეობდა საიდომლო ომის ფორმითაც. ყველა ევროპული ქვეყნის დაზვერვებიდან ერთადერთი იყო გერმანიის დაზვერვა, რომელიც ცდილობდა

თავის მომავალ მოწინააღმდეგეთა საზღვრისპირა რაიონებში მასობრივი აგენტურა დაენერგა. ასეთი გერმანელი რეზიდენტებით სავსე იყო საფრანგეთის აღმოსავლეთი დეპარტამენტები და რუსეთის დასავლეთი გუბერნიები. გერმანიის დაზვერვა ასევე ერთადერთი იყო, რომელიც ადგენდა ვრცელ კარტოთეკას („შავ წიგნს"). მასში შეტანილი იყო სხვა ქვეყნების ათიათასობით მცხოვრებთა გვარები, რომელთა სამსახურში გადაბირება შეიძლებოდა. „შავ წიგნში" შეტანილ ყოველ პირზე დაწესებული იყო განსაკუთრებული ბარათი, რომელშიც აღნიშნებოდა პირის ქონებრივი, სამსახურებრივი და ოჯახური მდგომარეობა, მისი ზნე-ჩვეულებები, სუსტი მხარე, საიდუმლო ნაკლი. ამ ცნობებზე დაყრდნობით გადაბირების დროს შეიძლებოდა ერთ შემთხვევაში დაშინებისათვის მიემართათ, მეორე შემთხვევაში — მოსყიდვისათვის, მესამე შემთხვევაში — მოტყუებისათვის.

გერმანიის მოკავშირე ავსტრია-უნგრეთის გენერალური შტაბი უფრო ნაკლები მასშტაბით მოქმედებდა, მაგრამ ისიც ბლომად აგზავნიდა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში აგენტებს. კერძოდ, მათი მოქმედების ერთ-ერთი ფორმა იყო რუსეთის ტერიტორიაზე სავარაუდო სამხედრო მოქმედებათა თეატრის დაწვრილებითი რუკის შედგენა. აგენტები თავს ასაღებდნენ ავსტრიის სატყეო სკოლის პრაქტიკანტებად და ფაქტიურად უფასოდ იღებდნენ რუსი თავადაზნაურების მამულების გეგმებს. მხოლოდ ერთ-ერთი ასეთი „პრაქტიკანტის" შემთხვევითმა დაპატიმრებამ აუხილა თვალები

1907 წელს რუსეთის ხელისუფლებას ავსტრიის დაზვერვის ასეთ მუშაობაზე. ავსტრიის ჯაშუშების შემოგზავნა ავსტრიული ფირმის მანქანებზე მძღოლების სახით გახსნილი იქნა უკვე ომის დაწყების შემდეგ.

იყენებდა რა მეფის რუსეთის ტექნიკურ ჩამორჩენილობას, უცხო კაპიტალის მოძალებას, გერმანიის დაზვერვამ შეძლო თავისი ხალხი რუსეთის იმ ქარხნებსა და ნავსაშენებში მოეწყო, რომლებსაც დიდი თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ასე, მაგალითად, პეტერბურგის პუტილოვის ნავსაშენი გერმანიის ფირმის „ბლიუმი და ფოსის“ კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ბელგიაში კრუპის, მაიზელისა და გერმანიის სხვა ფირმები თანახმა იყვნენ დაბალ ფასებში აეღოთ იჯარა და შეესრულებინათ გზისა და მიწის სამუშაოების დიდი ნაწილი ლიეჟისა და ნამიურის ირგვლივ. აქედან გამომდინარე, ადვილი გასაგებია, თუ რატომ დაიპყრო ასე იოლად 1914 წელს გერმანიის ჯარმა ბელგიის ეს ციხე-სიმაგრეები. გერმანიის არმია დღე-ღამეში 25 კმ. სიჩქარით მიიწევდა წინ. ბელგიაზე გადასვლისას 20 დღის განმავლობაში გერმანელებმა 3 120 ათასი კაცი გადაიყვანეს. მათ გადასაყვანად საჭირო გახდა 11 ათასი მატარებლის შემადგენლობა. ასეთი გადაყვანის ორგანიზაცია გერმანიის დაზვერვის ხანგრძლივი მუშაობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

გერმანელი აგენტები ორ ძირითად კატეგორიად იყოფოდნენ. პირველს წარმოადგენდნენ ხელმძღვანელები, რომლებიც გერმანიის ბურჟუაზიისა და იუნკერების ზე-

დაფენებიდან იყვნენ შერჩეული. მათი ნაწილი პირადად კაიზერის მიერ ინიშნებოდა. საჯაშუშო ინტერესებისათვის ფართოთ გამოიყენეს სავაჭრო ფირმები. ამ ფირმების ნაწილი უბრალოდ გერმანიის დაზვერვის შენიღბულ ფილიალებს წარმოადგენდნენ და საიდუმლო ფონდებიდან მათთვის გაღებული თანხებით მოქმედებდნენ. ისეთი რამდენიმე შენიღბული ჯაშუშური ფირმაც კი არსებობდა, რომლებსაც ბევრ ქვეყანაში თავისი განყოფილებები ჰქონდათ. მაგალითად, მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა „სასტუმროების მოსამსახურეთა ამხანაგობა", რომელიც 20 ათას წევრს ითვლიდა. ამათში ორი მესამედი გერმანელები იყვნენ. ორგანიზაციას კარგად შეეძლო ემოქმედა: „ამხანაგობის" წევრებს აძლევდნენ ორმაგ ჯამაგირს, როგორც სასტუმროს თანამშრომლებს და დამატებით როგორც მზვერავებს. მათი ამოცანა იყო ყურადღებით მოესმინათ საუბრები სასტუმროში, რომელიც, ბუნებრივია, ახალი ამბების ირგვლივ კამათის ადგილი იყო, შეეკრიბათ ცნობები სახელმწიფოს შინაგანი მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე საერთაშორისო საქმეებზე.

გერმანელ მზვერავთა მეორე მასიურ ჯგუფში შედიოდნენ აღმზრდელი ქალები და ბონები, რომელთა დაქირავება ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მდიდარ ოჯახებში „მოდად" იყო გადაქცეული. საინტერესოა, რომ, როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, რაც უფრო ვუახლოვდებოდით დიდმნიშვნელოვან სამხედრო ბაზებს, ბანაკებს და სხვა ობიექტებს, გერმანელ ქალთა რიცხვი მით უფრო სწრაფად იზრდებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანელების გადმოსახლება რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა გერმანიის მთავარი შტაბის მითითებით. რუსეთში გადმოსახლების მსურველებს საგანგებოდ ამოწმებდნენ, პოლიტიკური საიმედოობისა და გერმანიზმის იდეებისადმი ერთგულებაში. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გერმანიის დაზვერვა დარწმუნდებოდა, რომ „კოლონისტი" მზად იყო, შეესრულებინა ნებისმიერი დავალება, უფლება ეძლეოდა წასულიყო გერმანიიდან და მიეღოთ ყოველგვარი მატერიალური დახმარება.

გერმანელების რუსეთში გადმოსახლებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის რუსეთში ითვლებოდა 2 მილიონი გერმანელი, მაშინ, როცა აფრიკისა და გერმანელთა სხვა კოლონიებში 30 წლის განმავლობაში (1914 წლამდე), მხოლოდ 20 ათასი ადამიანი ჩავიდა საცხოვრებლად.

ომის დაწყების წინ ინგლისური გაზეთი „თაიმსი" წერდა: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ გადმოსახლებული კოლონისტების უმრავლესობა წარმოადგენს გერმანიის არმიის რეზერვებს და ომის შემთხვევაში მათ შეუძლიათ მოულოდნელად შექმნან მებრძოლი ბანდები, რომელთაც ეცოდინებათ მხარის ტოპოგრაფია და მშვიდად დაიკავებენ სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებს".

გერმანელი კოლონისტების საქმიანობისადმი კონტროლს ასუსტებდა ნიკოლოზ II-ის კარზე ძლიერი პროგერმანული დაჯგუფება, რომელსაც ხელმძღვანელობდა დედოფალი ალექსანდრა თევდორეს ასული. აღ-

ნიშნული ჯგუფი ყველაფერს აკეთებდა გერმანიის „კოლონიზაციური“ მოღვაწეობის ხელის შესაწყობად. ყოველ წელს რუსეთის იმპერიის გერმანულ სოფლებს ნახულობდნენ პასტორები, სამხედრო ინსტრუქტორები, სამთავრობო ჩინოვნიკები, განსაკუთრებული დავალებით ბერლინიდან ჩამოსული „დამთვალიერებლები“.

ომის წინ კავკასიაში ასეთი „მოგზაურობა“ განახორციელეს დოქტორმა გროტმა და დოქტორმა ფონ ვეიკმანმა.

მხედველობაში იღებდა რა ამიერკავკასიის კოლოსალურ მნიშვნელობას, გერმანიის სადაზვერვო ორგანოებმა როგორც ომის დაწყებამდე, ისე მის პერიოდში, ფართოდ გააჩაღეს კავკასიაში სადაზვერვო მუშაობა, რაც მიზნად ისახავდა, წმინდა სამხედრო ხასიათის ცნობების შეკრებასთან ერთად, ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის შეექმნა გერმანიის პოლიტიკისადმი სასარგებლო განწყობილება. ამ მიზნით ამიერკავკასია ივსებოდა გერმანელებით, რომლებიც „ტურისტების“, სხვადასხვა სავაჭრო ფირმების, „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებათა“ და სხვ. წარმომადგენლების სახით ეწეოდნენ დაზვერვით მუშაობას.

კავკასიაში გერმანიის დაზვერვის ცენტრს წარმოადგენდა გერმანიის საკონსულო თბილისში. ამასთან დაკავშირებით თბილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი პასტურლინი 1914 წლის 30 დეკემბერს თბილისის გუბერნატორს სწერდა: „ამა წლის 30 აგვისტოს ქ. თბილისში გერმანიის კონ-

სულის შენობაში მომხდარი ჩხრეკის დროს აღმოჩენილი იქნა მასალები, რომლებიც სრული სიცხადით მოწმობენ, რომ საკონსულოს აგენტებს გერმანიის მთავრობის მიერ დაკისრებული ჰქონდათ ჯაშუშური მოვალეობანი".

საერთოდ საკონსულომ განსაკუთრებით გააქტიურა მოქმედება ამ მიმართულებით უკვე 1911 წლის აპრილიდან, როდესაც გერმანიის კონსულად თბილისში დაინიშნა გრაფი შულენბურგ ფონ ბერგი. შულენბურგს დიდ დახმარებას უწევდა გერმანიის კონსული არზრუმში — ედგარ არენსი.

აი, როგორ ახასიათებდნენ ადგილობრივი გაზეთები („გოლოს კავკაზა", „კავკაზსკაია რეჩ", „მშაკ") გერმანიის კონსულის ანდერსის საქმიანობას არზრუმში: „გარდა ოფიციალური მოვალეობისა (ანდერსი), სამეცნიერო ექსკურსიებზე დადიოდა კავკასიაში, ეცნობოდა ადგილობრივ გერმანელებს, აგროვებდა ხოჭოებს, პეპლებს, მცენარეებს, გზადაგზა საინტერესო, უმთავრესად სტრატეგიული ადგილებისა და საინჟინრო წარმოებათა ფოტოსურათებს იღებდა,... იგი აღტაცებაში მოდიოდა, მაგალითად, შაგალის ხიდით ყარსის შტოზე, მაღალ წვრილ ბურჯებზე დაყრდნობილი მისი გაბმული სამი მილით, იგი დიდხანს უმზერდა მართლაც ლამაზ ხიდს და ფიქრობდა: „დინამიტის პატარა მუხტი, და ერთადერთი სწრაფი კავშირი თურქეთის საზღვართან შეწყვეტილია დიდიხნით. ის ბათუმშიც იყო მედუზების განსაკუთრებული მოდგმისა და ბათუმის სიმაგრეების შესასწავლად. მისი პროექტის მიხედვით უნდა აეფეთქებინათ შაგალ-

ელიარის რკინიგზის ხიდი, რათა გაეძნელებინათ რუსეთის ჯარებისა და სამხედრო საჭურვლის მიწოდება ომის დროს“.

მას შემდეგ, რაც ფონ შულენბურგმა ომის დაწყებასთან დაკავშირებით დატოვა თბილისი, ამიერკავკასიაში გერმანელ მზვერავთა ცენტრი გახდა შვეიცარიის საკონსულო, სადაც კონსულის თანამდებობა მიიღო საკონსულოს ყოფილმა მდივანმა – ბარონმა დრახენფელესმა, რომელიც მოგვიანებით რობერტ მაიერმა შეცვალა.

ომის წინ და ომის წლებში გერმანიის სასარგებლოდ სხვადასხვა სახის ჯაშუშური მუშაობისათვის მრავალი გერმანელი იქნა მხილებული და დასჯილი. თუმცა სასჯელის უმაღლესი ზომა ჯაშუშობისათვის ითვალისწინებდა მხოლოდ ჩრდილოეთ გუბერნიებში თავისუფალ გადასახლებას ომის პერიოდში.

პირველი მსოფლიო ომის დროს ანტიგერმანული განწყობილება, რუსეთის გარდა სხვა მეომარი ქვეყნების პოლიტიკაშიც გამომჟღავნდა. ანტანტის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მცხოვრები გერმანელები გარკვეული შევიწროების ობიექტები გახდნენ. ცნობილია, რომ შეერთებული შტატები ომში მხოლოდ 1917 წელს ჩაება, მაგრამ ანტიგერმანული განწყობილება, ქვეყანაში ომის დაწყებისთანავე გამეფდა. ეს იყო ერთგვარი სოციალური ფსიქოლოგიის მეტად საინტერესო და თავისებური გამოვლინება. შეერთებულ შტატებში მელუდეთა უმრავლესობა გერმანული წარმოშობის იყო, ლუდის კულტურასაც გერმანულ ტრადიციასთან აიგივებდნენ. ამიტომაც

ანტიპათია ყოველივე გერმანულისადმი შეეხო აგრეთვე გერმანულ ყოფასა და კულტურასაც.

დაზვერვის დროს მნიშვნელოვნად მრავალფეროვანი გახდა დაკავშირების სახეები, რომელსაც ჯაშუშები იყენებდნენ: დაშიფრული წერილები და საბავშვო საჰაერო ბურთები; ფრონტისპირეთის ქარის წისქვილი, რომლის ფრთების მოძრაობა თავისებურ კოდს წარმოადგენდა; ცნობების მიწოდება თვითმფრინავით (რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სამხედრო ტექნიკის სიახლე იყო); განსაკუთრებულად მოხნული მინდვრის ნაკვეთები; ყუმბარა, რომელშიც ასაფეთქებელი ნივთიერების მაგივრად ცნობები იდო; ნეიტრალური ქვეყნის გაზეთებში თითქოსდა უბრალოდ გამოქვეყნებული განცხადებები და ათასი სხვა ანალოგიური საშუალება, რომლებიც ერთიმეორეს არ ჰგავდნენ. რაც უფრო ახალი, ორიგინალური იყო ეს საშუალება, მით უფრო ნაკლები იყო მისი აღმოჩენის შანსები. ინგლისში მყოფ გერმანიის აგენტებს ახალ სიმპათიკურ მელანს აწოდებდნენ ამისათვის სპეციალურად დაქირავებული შიკრიკები — ნეიტრალური ქვეყნის მცხოვრებლები, რომლებსაც ჩემოდნით ჩამოჰქონდათ ამ სითხით გაჟღენთილი ჩვეულებრივი ტანისამოსი. ცნობებს იღებდნენ მიკროსკოპულ ფირზე, რომელიც ღია ბარათზე დაწებებული საფოსტო მარკის მეორე მხარეს იყო ჩადებული და ისე გზავნიდნენ.

დაზვერვაში გამოყენება ჰპოვა რადიომაც. ეს იყო მეორე ტექნიკური სიახლე. ამუშავდა საიდუმლო რადიოგადაცემები. კონტრდაზვერვის მუშაკებმა ამ გადა-

ცემების აღმოსაჩენად შექმნეს რადიოპელენგაციის სადგურების მთლიანი ქსელი. ომის დროს განსაკუთრებით გაითქვა სახელი ჰოლანდიის სამფლობელოებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმული ბელგიის პატარა მიწის ნაკვეთზე ბარ-ლე-დიუკში ინგლისელების მიერ აშენებულმა რადიოსადგურმა. გერმანელებს ისე არ შეეძლოთ მისი დაპყრობა, რომ არ დაერღვიათ ჰოლანდიის ნეიტრალიტეტი. მაგრამ შეშფოთებულებმა იმ რადიოსადგურის მიერ ეთერში გადაცემული დაშიფრული ინფორმაციების ნაკადით, რადიოსადგურისა, რომლის დანახვა გერმანელების მიერ ოკუპირებული ბელგიის ტერიტორიიდან შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლებოდა, მათ შეძლეს მოწინააღმდეგისათვის დარტყმის მიყენება. გერმანელების მოთხოვნით ჰოლანდიის ხელისუფლებამ აკრძალა ბარ-ლე-დიუკში ბენზინის შემოზიდვა, რითაც რადიოსადგური მუშაობდა. ჰოლანდიელმა და ბელგიელმა ქალებმა ხელი მიჰყვეს საწვავის შემოტანას ბიდონებით, რომლებსაც ქვედა კაბის ქვეშ მალავდნენ. მაგრამ ამას გერმანელების მხრივ ახალი დარტყმა მოჰყვა. მათ მოისყიდეს რადიოსადგურის რამდენიმე მუშაკი, რომლებიც ყალბი ცნობების გადაცემას შეუდგნენ. მალე მათ გადაცემებს აღარ უჯერებდნენ.

რადიოგადაცემის დახმარებით მოკავშირეები, რომლებმაც გერმანელების კოდები გაიგეს, ბრძანებებს გადასცემდნენ გერმანიის წყალქვეშა ნავებს, ეკიპაჟებმა არ იცოდნენ, რომ მოწინააღმდეგის ბრძანებით მოქმედებდნენ და ნაღდი დაღუპვისაკენ მიდიოდნენ. ამავე დროს რადი-

ოგადალაპარაკება სავაჭრო გემებს შორის, სადაც ინ-
გლისის სახაზო გემებიდან გადაყვანილი იყვნენ რადის-
ტები, გერმანელებს, რომლებიც ეთერში ამ ლაპარაკს
იჭერდნენ, ბრიტანეთის ესკადრის ადგილმდებარეობაზე
ყალბ წარმოდგენას უქმნიდა.

სადაზვერვო სამსახურის მეტისმეტად გაზრდამ,
ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, კონტრდაზვერვის
არანაკლები ზრდა გამოიწვია. მთელი საფოსტო და სა-
ტელეგრაფო კორესპონდენცია, განსაკუთრებით ის, რო-
მელიც საზღვარგარეთ მიდიოდა, გულმოდგინედ ისინჯე-
ბოდა სამხედრო ცენზურის მიერ. მაგალითად, ლონდონ-
ში ისინჯებოდა წერილები 60 ენაზე. ცენზორებს მოუხ-
დათ დაშიფრული ცნობების ამოხსნა 31 ენაზე. დაიწყეს
ეჭვმიტანილი წერილებისა და გაზეთების ქიმიური დამუ-
შავება, რათა გაეგოთ, ხომ არ შეიცავდნენ ისინი საი-
დუმლო დამწერლობას. ექსპერტები ეცნობოდნენ საეჭვო
წერილებს სხვა მხრივაც — ხომ არ იყო ნამდვილად
უწყინარი ტექსტი შიფრი, რაშიც შესაძლებელია, ჯაშუ-
შის მოხსენება იმალებოდა. მკაცრი კონტროლი დაწესდა
ნეიტრალური ქვეყნების საზღვრებთან. ფრონტისპირა
ზოლი დაყოფილი იყო პატარ-პატარა უბნებად. ყოველ
უბანს თვალყურს ადევნებდა კონტრდაზვერვის ოფიცრე-
ბის სპეციალური ჯგუფი. იქ, სადაც შეიძლება დაყრდო-
ბოდნენ სამოქალაქო მოსახლეობის ლოიალობას, ამ
წრიდან აგროვებდნენ ხალხს, რომელსაც კონტრდაზვერ-
ვისათვის უნდა გადაეცა ცნობები ყველა საეჭვო ან უც-
ხო პირზე. იმ რაიონებში, სადაც სამხედრო ხელისუფ-

ლებს არ შეეძლოთ იმედი ჰქონოდათ ადგილობრივ მცხოვრებთა თანამშრომლობისა — განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე, — აწესებდნენ მიმოსვლის ძლიერ შეზღუდვას. ოკუპირებული ბელგიის მცხოვრებლებს მოკლე დროითაც რომ დაეტოვებინათ თავისი საცხოვრებელი ადგილი, პოლიციაში სპეციალური საშვი უნდა მიეღოთ. იმისათვის, რომ გაეძნელებინათ ყალბი საშვების დამზადება, მათი ნიმუშები ხშირად იცვლებოდა.

პოლიციური მეთვალყურეობის უზარმაზარი სისტემა იყო შექმნილი ყველა მეომარ ქვეყანაში.

დაზვერვა ცდილობდა თავისი ხალხი შეეგზავნა მტრის კონტრდაზვერვის ორგანოებში, თუმცა იშვიათად აღწევდა მიზანს.

ჯაშუშობას, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, ავსებდა საარმიო დაზვერვა (ტრანშეებიდან მეთვალყურეობით მიღებული მონაცემები, ბრძოლით დაზვერვა, პატრულების გაგზავნა, საარტილერიო მეთვალყურეობა, საჰაერო დაზვერვა, ტყვეების დაკითხვა, დეზერტირების, ადგილობრივი მცხოვრებლების, მოწინააღმდეგის ფოსტის ხელში ჩაგდება და ა. შ.). არაფერს ვამბობთ დიპლომატიურ და სხვა წყაროებიდან მომდინარე იმ მასალებსა და ცნობებზე, რომლებსაც ცენზურა იღებდა. დაზვერვაში მუშაობდნენ პრესის, ცენზურის, საიდუმლო კავშირის სპეციალისტები, მთარგმნელები, შიფრის ამომკითხველები, ქიმიკოსები, სხვადასხვა საკითხის ექსპერტები.

ცნობების გადასაცემად ანტანტის დაზვერვა ყოველთვის იყენებდა საფოსტო მტრედებს. 1914 წლამდე ბელგია ცნობილი იყო საფოსტო მტრედებით. უკან დახევის წინ ბელგიის კონტრდაზვერვამ ბრძანა მოესპოთ 30 ათასზე მეტი ძვირფასი ჯიშის მტრედი, რომ ისინი გერმანელებს არ დარჩენოდათ. მტრედები აღმოჩნდნენ არა მარტო სწრაფი, არამედ განსაკუთრებულ დავალებათა იმედიანი შემსრულებლებიც. იყო შემთხვევები, როდესაც მტრის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილი ფრთოსანი შიკრიკები საათობით მიფორთხავდნენ მიწაზე და მაინც ასწრებდნენ თავის მშობლიურ სამტრედეში შესვლას. ხშირად, როდესაც წყალქვეშა ნავების მიერ ტორპედირებული სამხედრო გემები ავარიას განიცდიდნენ, მტრედებით აგზავნიდნენ უბედურების ცნობებს და თავის დროზე ღებულობდნენ დახმარებას. გერმანელებით გარშემორტყმუყლმა ფორტ ვოს მეთაურმა მასთან მყოფი უკანასკნელი მტრედის საშუალებით გაგზავნა ცნობა, სადაც დახმარებას ითხოვდა. ხშირად მზვერავები, რომლებიც მტრის ზურგში გადიოდნენ ან პარაშუტით ხტებოდნენ, პირველ ყოვლისა, ეძებდნენ საიმედო თავშესაფარს თავისი მტრედებისათვის. ფრთოსანი თანაშემწეების გალიას აბამდნენ სადმე განშტოებული ხის წვერზე. ამ შემთხვევაში ღამით შეუმჩნევლად უხდებოდათ ხეზე ასვლა და მტრედებისათვის საკვების მიტანა. ომის დასასრულს მარტო ინგლისელებს „შტატში“ ჰყავდათ 6 ათასი მტრედი. საფრანგეთში ძეგლიც კი დაუდგეს გმირ

საფოსტო მტრედებს და მრავალი მათგანი ორდენებით დააჯილდოვეს!

ვინაიდან მტრედებს უთვალთვალებდნენ, ცდილობდნენ ისინი სხვა ფრინველების სახით შეენიღბათ. ინგლისელებმა დასავლეთის ფრონტზე ესროლეს და ჩამოაგდეს თუთიყუშის მსგავსად შეღებილი მტრედი.

ცნობების გადასაცემად ფართოდ იყენებდნენ სამსახურებრივ ძაღლებსაც. გერმანულმა ნაგაზმა „ფრიცმა", რომელმაც არაერთხელ გადაიტანა ჯაშუშური ცნობები ფრონტის ხაზზე, მრავალი უსიამოვნება მიაყენა მოკავშირეთა დაზვერვას. „ფრიცი" ცოცხლად უნდა დაეჭირათ. წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ ძუკნა ძაღლის „როზის" დახმარებით, რომელიც გზაში შეახვედრეს ოთხფეხა ფოსტალიონს, „სიყვარულმა თავისი გაიტანა".

ჯაშუშების შესაგზავნად დაიწყეს წყალქვეშა ნავებისა (განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვაში) და თვითმფრინავების ფართოდ გამოყენება.

იმ საშუალებათა არსენალი, რომელთა დახმარებით ცნობებს ღებულობდნენ, ყოველწლიურად ფართოვდებოდა. ასობით ხერხი ამოხსნეს კონტრმზვერავებმა, მაგრამ მათ მაგივრად სულ ახლებს იგონებდნენ. ერთი გერმანელი მზვერავი მუცელს უჭრიდა ცოცხალ თევზს, შიგ წერილს დებდა და მდინარეში უშვებდა. თევზს იჭერდნენ გერმანელების პოზიციების ახლოს. საფრანგეთის ქალაქ ბელფორში მყოფი მეორე გერმანელი ჯაშუში ასეთ საშუალებას იყენებდა: მზვერავი ჯდებოდა მატარებელში, რომელიც ნეიტრალურ შვეიცარიაში მიდი-

ოდა და ვაგონ-რესტორანში ცალკე მაგიდას იკავებდა. როგორც კი ისადილებდა, ჩამოდიოდა მატარებლიდან, საზღვართან ახლოს. შვეიცარიის პირველ სადგურშივე ჯაშუშის ადგილს მაგიდასთან მეორე მზვერავი იკავებდა. სადილობის დროს, თითქოს შემთხვევით, ღვინოს ასხამდა სუფრაზე, ამ ადგილს ფარავდა ხელსახოცით და განაგრძობდა ჭამას. პირველი ჯაშუში პატაკს წერდა სიმპათიკური მელნით, მეორე კი მას ღვინით ამჟღავნებდა, საჩქაროდ კითხულობდა და შემდეგ იცდიდა, სანამ სუფრაზე გამოჩენილი ასოები არ გაქრებოდა. პატაკებს მალავდნენ ჭრილობების სახვევებში, პარიკების ქვეშ, ძუძუმწოვარა ბავშვების სახვევებში, ფანქრებში და ფეხსაცმლის ზონრებში.

როგორც ამერიკელი ავტორი პიტერ გროუსი თავის წიგნში „ჯენტლემენი ჯაშუში“ (1994 წ.) გადმოგვცემს ... სადაზვერვო სამსახურის ერთ-ერთი ნაცადი იარაღი კაცის გადაბირებისას, არცთუ იშვიათად, იყო ხოლმე არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია.

ჰომოსექსუალურობას საბედისწერო როლი უთამაშია არაერთი ადამიანის ცხოვრებაში. მოსალოდნელი შანტაჟის წინაშე შიში იპყრობდა და აიძულებდათ, სათანადო სამსახური გაეწიათ მტრისათვის — თავისი ქვეყნის წინააღმდეგ.

ასე მაგალითად, XX საუკუნის დამდეგს ტრაგიკულად დასრულდა ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დაზვერვის დიდმოხელის პოლკოვნიკ ალფრედ რედის კარიერა. რუსეთის დაზვერვამ იცოდა რედის ჰომოსექსუა-

ლურობა და ამარაგებდა მას ფულითა და ლამაზი ვაჟბატონებით, მერე კი პირდაპირი შანტაჟის გზით აიძულეს მოემარაგებინა რუსები საჭირო ინფორმაციით.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს რედი, როგორც იტყვიან, ჩავარდა. ავსტრიის ხელისუფლებამ საჯარო სკანდალის თავიდან ასაცილებლად მისი დანაშაული მიაჩუმათა და საუკეთესო გამოსავლად პოლკოვნიკს ურჩია თვითმკვლელობა. რედიმ შეასრულა ხელისუფლების გულისწადილი და სიკვდილის წინ ასეთი ბარათი დაწერა: „ფუქსავატობამ და ვნებამ დამღუპა. ილოცეთ ჩემთვის. საკუთარი ცოდვების საზღაურს ვიხდი საკუთარი სიცოცხლით“.

1937 წელს მოსკოვში აშშ საელჩოს კლერკმა აცნობა უფროსებს, რომ „ენკავედეს“ თანამშრომლებმა ფოტოსურათები გადაუღეს ჰომოსექსუალური აქტის დროს და მოსთხოვეს ამერიკელთა სამხედრო კოდებისა და შიფრის გადაცემა. კლერკი დაუყოვნებლივ გაისტუმრეს სამშობლოში.

გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ხსენებულ საელჩოში კიდევ ორი ჰომოსექსუალისტი გამოამჟღავნა. ერთ-ერთი გამომძიებლის პატაკში აღნიშნული იყო, რომ, „მოსკოვი წარმოადგენს ყველაზე არასასურველ სამუშაო ადგილს ამგვარი ადამიანებისათვის, რამდენადაც მათი სექსუალური ქცევა ადვილად შეიძლება გამოიყენონ, როგორც საშუალება კონფიდენციალური ინფორმაციის დასაცინცლად“.

გამომძიებლის რეკომენდაციით, მოსკოვში სამუშაოდ უნდა გაეგზავნათ მხოლოდ ოჯახური წყვილები.

როგრც ირკვევა, ინგლისელი არისტოკრატები გაი ბიორჯესი და ენტონი ბლანტი („კემბრიჯის ბრწყინვალე ხუთეულიდან"), წლების განმავლობაში ერთგულად რომ ემსახურებოდნენ საბჭოთა დაზვერვას, ჰომოსექსუალისტები ყოფილან. მათივე თანამებრძოლი დონალდ მაკლინი კი ბისექსუალი იყო.

ინგლისელი მკვლევარი ენდრიუ სინკლერი წიგნში „წითელი და ცისფერი" წერს: „გაემჟღავნებინათ თავიანთი ჰომოსექსუალურობა იმ წლებში ნიშნავდა იმას, რომ ჯვარი დაესვათ კარიერაზე, განეცადათ დევნა სისხლის სამართლის წესით და ციხეში მოხვედრა დამუქრებოდათ. ჰომოსექსუალური ორიენტაცია უფრო მტკიცედ ამჭიდროებდა ამ მარქსისტთა რიგებს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ იდუმალი ცხოვრებით და გამუდმებით მოეტყუებინათ გარემომცველი სამყარო".

სუკ-მა სწორედ ჰომოსექსუალისტების დახმარებით გახსნა ერთ-ერთი წარმატებული საქმე: გადმოიბირა მოსკოვში ინგლისის სამხედრო-საზღვაო აპარატის ატაშე ჯონ ვასალი, რომელიც მთელი შვიდი წელი ემსახურებოდა საბჭოთა დაზვერვას, — არა იმიტომ, რომ „გაგიჟებით" უყვარდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს პერსონა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი იყო.

თვალებს იბრმავებდნენ და ამჯობინებდნენ არ შეემჩნიათ ის ფაქტი, რომ სტალინურ რუსეთში ჰომოსექსუალისტებს კიდევ უფრო მკაცრად სდევნიდნენ, ვიდრე ინგლისში.

ზოგჯერ იქმნებოდა კურიოზული სიტუაციაც. „კაგებეს“ ფხიზელმა თვალმა აღნუსხა, რომ მოსკოვში მყოფი ფრანგი დიპლომატი საეჭვო ინტერესს იჩენდა საბჭოთა კაპიტნისადმი, რომელიც საფრანგეთის საელჩოს დაცვაში მსახურობდა. კაპიტანს უბრძანეს, ხელი არ ეკრა არშიყისათვის. მერე შეკრებილი ფოტოსურათები აჩვენეს მას, რათა დაეშანტაჟებინათ, და გადაებირებინათ. მაგრამ გამოირკვა, რომ უფროსობას მშვენივრად მოეხსენებოდა აღნიშნული გარემოება, ამიტომაც ფრანგმა დიპლომატმა გულღიად გაიღიმა და მადლობა გადაუხადა „კაგებეს“ თანამშრომლებს საჩუქრისათვის.

გამოძიების ფედერალური ბიუროს თავკაცმა ედგარ ჰუვერმა, რომელიც ხანგრძლივად ედგა სათავეში აღნიშნულ უწყებას (1935-1972 წ.წ.) შეაგროვა მასალები არაერთი გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსის ჰომოსექსუალური ორიენტაციის შესახებ.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც საზოგადოებრივი ცნობიერება უფრო შემწყნარებელი შეიქმნა ამგვარი გადახრების მიმართ, ჰომოსექსუალიზმმა დაკარგა თავისი ხიბლი პროფესიონალ შანტაჟისტთა თვალში.

ჟურნალისტები წერდნენ, რომ საბჭოთა დაზვერვა აქტიურად იყენებდა „პროსტიტუტკებს“, ხოლო რუსმა

მზვერავმა ივანოვმა ლონდონში მსუბუქი ყოფაქცევის გოგონათა მთელი ქსელი შექმნა, რომლებიც საიდუმლო ინფორმაციას ასეთი გზით აგროვებდნენ.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ევროპაში მოქმედებდნენ „მობილური ჯგუფები, რომლებიც ამჟღავნებდნენ და სჯიდნენ „ხალხის მტრებს" თანამშრომლების წრიდან, აგენტებს და „ორგულ, ცრუ" კომუნისტებს. მრავალი მათგანი უბრალოდ გაუჩინარდა, და დღემდე ზუსტად არ არის ცნობილი მათი სიკვდილის გარემოებანი.

1937 წლის ივლისში ლიკვიდირებული იქნა ყოფილი რეზიდენტი თურქეთში აგაბეკოვი, რომელიც ინგლისელების დაზვერვასთან თანამშრომლობდა. 1938 წლის ივლისში დაიკარგა ტროცკის მდივანი რ. კლემენტი. მოგვიანებით მისი თავმოჭრილი გვამი აღმოაჩინეს მდინარე სენაში. უფრო ადრე საავადმყოფოში საიდუმლო ვითარებაში დაიღუპა ტროცკის ვაჟი ლევ სედოვი. შვეიცარიაში მოკლეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რეზიდენტი ი. რეისი.

ომის დაწყების წინ საბჭოთა დაზვერვას საზღვარგარეთ გააჩნდა რუსეთის ისტორიაში საუკეთესო აგენტურული ქსელი. ეს არც არის გასაკვირი: მაშინ მრავალი უცხოელი ანტიფაშისტი თანაუგრძნობდა საბჭოთა კავშირს.

გესტაფომ დააფუძნა ფარული არალეგალური რეზიდენტურები. დაიწყო დაპატიმრებები ბელგიაში, საფრანგეთში და თავად გერმანიაში, სადაც გაწყდა კავშირი

ცნობილ „წითელ კაპელასთან“. ძლივს შეძლო გადარჩენა სამხედრო დაზვერვის რეზიდენტურამ შვეიცარიაში. გერმანელები ცდილობდნენ თავისი აგენტის შეგზავნას, მაგრამ ამაოდ.

ომის წლებში დიდი როლი ითამაშა ოპერაცია „მონასტერმა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა სუდოპლატოვი. მოახდინეს ანტისაბჭოური პროგერმანული იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნის ინსცენირება, რომელიც ეძებდა კავშირს ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობასთან. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველმა აგენტმა, მეფის ოფიცრის შვილმა ალექსანდრე დემიანოვმა. დემიანოვი ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გერმანიის დაზვერვამ გადაიბირა. მან თხილამურებით ფრონტის მთელი ხაზი გაიარა, სათანადოდ მოამზადეს აბვერის სკოლაში. 1942 წლის თებერვალში პარაშუტით დაეშვა იაროსლავის რაიონში და გახდა „გერმანიის რეზიდენტი“ მოსკოვში. ის არა მარტო ხელს უწყობდა გერმანული აგენტურის დაპატიმრებას, არამედ პარალელურად დეზინფორმაციულ ცნობებს აწვდიდა გერმანიის ხელისუფლებას.

გერმანელებმა ვერ გამოიცნეს დემიანოვის ჭეშმარიტი როლი. დასავლეთ გერმანიის დაზვერვის ყოფილი შეფი გელენი, მოგვიანებით გამოქვეყნებულ მემუარებში წერდა აგენტი მაქსის გმირობის შესახებ (დემიანოვის „კლიჩკა“ აბვერში).

დასავლეთში უდიდესი სენსაცია გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ „მანჰეტენის“ პროექტის ხელმძღვანელი,

ცნობილი მეცნიერი ატომური იარაღის შექმნაში რობერტ ოპენჰეიმერი მუშაობდა საბჭოთა დაზვერვაზე და ჰქონდა „კლიჩკა“ სტარი.

საბჭოთა დაზვერვას ასევე ეხმარებოდნენ გამოჩენილი მეცნიერები ფერმი და სცილარდი, ასევე ნილს ბორი, ისინი პირველ რიგში ხელმძღვანელობდნენ ფაშიზმისადმი ზიზღით, ამასთან შიშობდნენ, რომ ატომურ იარაღზე ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლია მას მსოფლიო ბატონობას მოუტანდა. ამიტომ, წონასწორობის დაცვის მიზნით საბჭოთა კავშირი დაუპირისპირეს. ჯერ კიდევ ვერნადსკი ურჩევდა სტალინს ბორს დაკავშირებოდა, ხოლო როდესაც 1943 წელს ბორი ლონდონიდან კოპენჰაგენში გადავიდა პეტრე კაპიცამ სტალინს და ბერიას შესთავაზა მისი საბჭოთა კავშირში მოწვევა ატომურ პროექტებზე სამუშაოდ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დასახელებული საპატიო მეცნიერები არ იყვნენ „აგენტები“ ამ სიტყვის მნიშვნელობით.

ფაშისტური ხელისუფლება არსებობის პირველი დღეებიდანვე ცხოველ აგიტაციას ეწეოდა რუსეთის იმპერიიდან ემიგრირებულ ხალხებში. იქმნებოდა ძლიერი, სამხედრო წესზე გაწყობილი, „დამკვრელი ჯგუფები“ საბჭოთა კავშირთან მომავალ ომში კავშირში შემავალი ერების პროვოცირებისა და მათი ანტისაბჭოური გამოსვლების ორგანიზებისათვის. ამ საქმეში ბევრი გზააბნეული და აშკარა ავანტიურისტიც ჩაება. ე. წ. „საბჭოთა ქვეყნის“ მესვეურთათვის კარგად იყო ცნობილი ქართუ-

ლი ემიგრაციის პრინციპული პოზიცია ფაშიზმთან დამოკიდებულების საკითხში. უკვე 30-იანი წლების ბოლოს სუკ-ს ხელთ ჰქონია და პრესაშიც გამოუქვეყნებია ნოე ჟორდანიას ერთი მოწოდება ქართველი ერისადმი, სადაც ასეთი ფრაზაც ყოფილა: „ფაშისტები საქართველოში არ გააჭაჭანოთ“. მიუხედავად ამისა, საქართველოში მაინც ვრცელდებოდა ყოფილი მთავრობის ჰიტლერელებთან თანამშრომლობის შესახებ. დეზორიენტაციის ეს ბინძური ტალღა ქართველთა პროვოცირებას ითვალისწინებდა, რაც თავის მხრივ, კრემლს მშვენიერ საბაბს მისცემდა ქართველთა ახალი გენოციდისათვის. ხალხმა არ იცოდა სიმართლე საკუთარი კანონიერი, ემიგრირებული მთავრობის შესახებ. ამიტომაც პარიზის ქართულ წრეებში მომწიფდა აზრი საქართველოსათვის მართალი ინფორმაციის მიწოდებისა. ეს უაღრესად სამძიმო საქმე სიმონ გოგიბერიძეს მიენდო.

1939 წელს სიმონი აფრიკისა და არაბული ქვეყნების გავლით ჩადის თეირანში, სადაც დათიკო ერქომაიშვილთან ერთად თურქეთის ტერიტორიაზე სასაზღვრო ქართულ სოფელ მაჭახელში ბინავდება. აქ ისინი მთელი ზამთრის განმავლობაში აკვირდებოდნენ შავშეთის ქედზე საბჭოთა საგუშაგოების განლაგებას, სასაზღვრო პატრულირების წესებსა და გრაფიკს, რამაც სათანადო ნაყოფი გამოიღო. 1940 წლის აპრილის ბოლოს ორივენი უხიფათოდ დაეშვნენ თოვლიანი მთის კალთებით, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში გადალახეს საზღვარი და თავი აჭარა-გურიის მთებს შეაფარეს. საფრანგეთიდან მათ

ქართულ და ფრანგულ ენებზე გამომავალი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველთვიური ჟურნალის — „ბრძოლის ხმა“ — რამდენიმე ეგზემპლარი შემოიტანეს, სადაც განმარტებული იყო საქმის ნამდვილი ვითარება. ნ. ჟორდანიას სიტყვიერ დირექტივასთან ერთად, მისი ხალხში გავრცელების შემდეგ, უკანვე გაბრუნდნენ.

ომი კი გრძელდებოდა. პოტსდამის კონფერენციის დროს აშშ ფლობს ატომურ იარაღს. ცოტა დრო რჩება ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიამდე. დილით ჩერჩილმა და ტრუმენმა მოითათბირეს, როგორ შეეტყობინებინათ ეს ამბავი სტალინისათვის. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სტალინს გული შეუწუხდებოდა. როცა პირველი შესვენება გამოცხადდა, ჩერჩილმა ხელკავი გამოსდო სტალინს, და ფანჯარასთან მიიყვანა. ტრუმენი შორიახლოს იდგა, სტალინის რეაქცია აინტერესებდა.

— მართლა? ღიმილით შეეკითხა სტალინი ჩერჩილს, რა კარგია, ახლა მოკავშირეებს მძლავრი იარაღი გვექნება, რომელსაც გამოვიყენებთ ჩვენი საერთო მტრების წინააღმდეგ, მშვიდობის დასაცავად.

როგორ წარმოიდგენდნენ ჩერჩილი და ტრუმენი, რომ სტალინმა მათზე ადრე გაიგო ატომური ბომბის გამოცდის შესახებ და უკვე დაურეკა კურჩატოვს, დაეჩქარებინა ატომურ ბომბზე მუშაობა.

არ შეიძლება ხაზი არ გაუსვათ იმ გარემოებას, რომ მთელი ომის განმავლობაში, გერმანიამ იაპონია ვერაფრით ომში ვერ ჩაითრია. 15 წუთი ესაუბრა სტალინი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს — მაცუოკოს

და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ იაპონია, გერმანიასთან ერთად ომში აღარ ჩაბმულიყო.

— მაინც რა უთხრა ასეთი მაცუოკოს?

— ეს აზრი აწვალებდა ჰიტლერსაც, მან კატეგორიულად მოსთხოვა ადმირალ კანარისს გაეგო სტალინისა და მაცუოკოს საუბრის შინაარსი, მაგრამ ვერ მიაღწია ამას.

მაცუოკო 1945 წელს დახვრიტეს. ვინ იცის, იქნებ სადმე მემუარებში მოიხსენიებს კიდეც ამ ფაქტის შესახებ.

გავიხსენოთ ასეთი ფაქტიც: მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ მოკავშირეები — ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ და დახმარება სთხოვეს სტალინს. სტალინმა გასცა ბრძანება აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევის გაძლიერების შესახებ. მტერი იძულებული გახდა დასავლეთის ფრონტიდან მოეხსნათ ჯარები და აქეთ გადმოესროლათ. მოგვიანებით გერმანელები მიხვდნენ, რომ ომის ბედი გადაწყვეტილი იყო და სეპარატული ზავის იმედით დასავლეთის ფრონტზე პრაქტიკულად შეწყვიტეს წინააღმდეგობა.

შეიქმნა საშიშროება, რომ ბერლინს მოკავშირეთა ჯარები აიღებდნენ, მაგრამ ჯარები ელბასთან გაჩერდნენ და ერთი ნაბიჯიც აღარ გადაუდგამთ წინ, სანამ საბჭოთა კავშირის სამხედრო შენაერთები არ შეუერთდნენ.

ამ ფაქტის გამო, ჩერჩილი გაშმაგებული სწერდა რუზველტს: ბერლინიდან რაც უფრო შორს ჩამოვარ-

თმევთ რუსეთს ხელს გამარჯვებისათვის, მით უკეთესი იქნება ევროპისათვისო.

რუზველტმა ამ წერილს ყურადღება არ მიაქცია, მაშინ ჩერჩილმა მოკავშირეთა ჯარების სარდალს გენერალ ეიზენჰაუერს მიმართა თხოვნით, რომ სასწრაფოდ დაეწყოთ შეტევა.

ეიზენჰაუერმა უპასუხა, რომ მას რუზველტის გარეშე ამ საქმის გადაწყვეტა არ შეეძლო. ჩერჩილმა ახლა სთხოვა ინგლისის ჯარების სარდალს გენერალ მონტგომერს, რომ სასწრაფოდ დაიწყონ შეტევითი ოპერაციები, მაგრამ მონტგომერიმაც ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი, ვინაიდან გაერთიანებულ ჯარებს ეიზენჰაუერი სარდლობდა.

როგორ ავხსნათ, რატომ არ დაიძრა მოკავშირეთა ჯარები ბერლინის ასაღებად?

როგორც მოგვიანებით გაირკვა, სტალინმა რუზველტს მისწერა ასეთი შინაარსის წერილი: „ამ ომში რუსეთმა ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო, ამიტომ ისტორიის კანონზომიერება მოითხოვს, რომ ბერლინი რუსებმა უნდა აიღონ. თქვენ თუ ამაში მხარს არ დაგვიჭერთ, მაშინ ჩვენ მეორედ მოგვიწევს ბერლინის აღება და, შესაძლოა, სხვა ქვეყნების გათავისუფლებაც. თუ მხარს დაგვიჭერთ, როცა ბერლინს ავიღებთ და გერმანიასთან ომს დავამთავრებთ, მერე დაგეხმარებით იაპონიასთან ომის მალე დამთავრებაში“.

ჩერჩილმა ამ წერილის შესახებ, იაპონიასთან ომის დამთავრების შემდეგ გაიგო და მიხვდა, რომ სტალინმა ერთხელ კიდევ გააცურა.

ბუნებრივია, ჩერჩილი პროგნოზებში არ ცდებოდა. მას მიაჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავს წამოსწევდა „საბჭოთა ჰეგემონია“ და, რაც უფრო მეტ წვლილს შეიტანდა რუსეთი საერთო გამარჯვების საქმეში, მით უფრო გაიზრდებოდა ჰეგემონიის საფრთხე.

ამ პროგნოზს თავისი საფუძველი ჰქონდა. უკვე ომის წინ საბჭოთა ლიდერი არ მალავდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას სხვა ქვეყნებში სოციალიზმის დასამკვიდრებლად, რაც ომის დამთავრების შემდეგ კიდევაც განხორციელდა. ამ ფაქტის დასტურს წარმოადგენს სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვა 1941 წლის 5 მაისს კრემლში სამხედრო აკადემიების მსმენელთა გამოსაშვებ შეკრებაზე. სახელმწიფოს მეთაურმა მსმენელებს მიმართა: „წითელი არმია უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ დადგა ჟამი სოციალისტური ფრონტის ძალისმიერი გავრცელებისა. ვინც არ აღიარებს შეტევითი მოქმედების აუცილებლობას, წვრილი ბურჟუა და იდიოტი ბრძანდება“.

ევროპის ქვეყნების ძალდატანებითი „გაწითლების“ შიშით 1942 წლის ოქტომბერში ჩერჩილმა ინგლისის სამხედრო კაბინეტის წევრებს დაუგზავნა მემორანდუმი, სადაც ამოცანად დაუსახა ევროპის სახელმწიფოთა კოალიციის შექმნა საბჭოური საშიშროების წინააღმდეგ. „ჩემი ყველა მოსაზრება, — წრედა ჩერჩილი, — მიმარ-

თულია უპირველეს ყოვლისა ევროპისაკენ. საშინელი კატასტროფა იქნება, თუ რუსული ბარბაროსობა გაანადგურებს ძველი ევროპის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და კულტურას".

მართლაც, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპა უკვე გადაიქცა სსრკ-ს სატელიტად. ამის გამო იყო, რომ კვლავ ჩერჩილმა ატეხა განგაში. 1946 წლის 5 მარტს მისურის შტატის ქალაქ ფულტონში გამოსვლისას მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ექსპანსიური პოლიტიკის გამო „რკინის ფარდა" ჩამოეფარა უზარმაზარ ტერიტორიას „შტეტინიდან ბალტიის ზღვამდე და ტრიესტიდან ადრიატიკამდე".

ჩერჩილმა მოუწოდა დასავლეთის ქვეყნებს შეექმნათ ინგლისურ-ამერიკული კავშირი მსოფლიო კომუნიზმის წინააღმდეგ, რომელსაც საბჭოთა რუსეთი ედგა სათავეში.

აღნიშნულ ეტაპზე და ცოტა მოგვიანებით ერთმანეთს ორი ბანაკი დაუპირისპირდა. პირველი: ვარშავის პაქტის გარშემო შემოკრებილი სოციალისტური სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის მეთაურობით, ხოლო მეორე მხრივ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, სამხედრო პოლიტიკური ბლოკი (NATO), რომელსაც სათავეში ამერიკის შეერთებული შტატები ედგა.

აღნიშნულ დაპირისპირებაში აქტიურად ჩაება ორივე ქვეყნის დაზვერვის სპეციალური სამსახურები. სსრკ-ს მხრიდან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი (КГБ), ხოლო აშშ-ს მხრიდან უკვე ძლიერი და განვი-

თარებული დაზვერვის ცენტრალური სამმართველო (CIA). მიმდინარე დაპირისპირების დროს ორივე ბლოკი იყენებდა ბრძოლის სხვადასხვა მეთოდსა და ტაქტიკას. ეს იყო დიპლომატიური ურთიერთობების ოფიციალური მხარე და მეორე გასაიდუმლოებული მეთოდი — დაზვერვის სპეციალური სამსახურების საიდუმლო აქციები, რომელთა ბიუჯეტი მილიონობით ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

დაზვერვაში მრავალი ორგანიზაცია და „დაწესებულება" ჩაერთო. ჯერ კიდევ 1946 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტთან როკფელერის ფონდის სახსრებით შეიქმნა რუსეთის ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ამერიკელი სოვეტოლოგი გ. რობინსონი.

1948 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტთან ყალიბდება რუსეთის საკვლევი ცენტრი, რომელიც დაფინანსდა კარნეგის ფონდიდან. ამავე წლის 8 დეკემბერს შტატებში შეიქმნა ორგანიზაცია „თავისუფალი რუსეთისათვის ბრძოლის ამერიკული კომიტეტი", რომლის ფორმალურ დამფუძნებლად გამოვიდა „ემიგრანტული საზოგადოებრიობა".

1951 წლის აგვისტოში ნიუ-იორკიდან დასავლეთ გერმანიაში ჩავიდა რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე კერენსკი. მას მონაწილეობა უნდა მიეღო რუსი ემიგრანტების კონფერენციაში. ამავე პერიოდს მიეკუთვნება პენტაგონის მიერ დაფინანსებული „რენდ კორპორეიშნ"-ის ჩამოყალიბება. მოგვიანებით შეიქმნა

რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის საკვლევი ცენტრები მიჩიგანის უნივერსიტეტთან და სხვ.

ეგრეთ წოდებული საქველმოქმედო ფონდები მრავლად იყო დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 30 ათასამდე ასეთ ფონდს ითვლიდნენ, რომელთა აქტივების საერთო თანხა 28,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა. გარდა ამისა, ფონდები მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფო აპარატთან. აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, სანამ ამ პოსტს დაიკავებდა, 1952-1961 წლებში „როკფელერის ფონდის" პრეზიდენტი იყო. ჯონ ფოსტერ დალესი, რომელიც „ცივი ომის" ყველაზე უფრო გამწვავების პერიოდში წლების მანძილზე ედგა სათავეში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, ამავე დროს „როკფელერის ფონდის" მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

მოგვიანებით აშშ-ში მოქმედებდა 150 ორგანიზაცია და 200-ზე მეტი საუნივერსიტეტო კათედრა, რომელთა მუშაობის მთავარ მიზანს შეადგენდა ინფორმაციის შეგროვება და ვითარების ანალიზი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების, სხვადასხვა სფეროში, სკკპ და საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესწავლა, სხვა სოციალისტური ქვეყნების მოვლენებზე თვალყურის დევნება. გფრ-ში 100-ზე მეტი ასეთი სახის ცენტრი იყო.

ორი სისტემის ბრძოლის დროს ორივე იდეოლოგია სავსებით კანონზომიერად ცდილობდა გავლენის

ქვეშ მოექცია განვითარებადი ქვეყნები. ორივე სისტემის ლიდერები ერთმანეთს ბრალს დებდნენ საერთაშორისო ტერორიზმში. ამ ცნებაში ვაშინგტონი გულისხმობდა „ომის პროპაგანდასა და მატერიალურ მხარდაჭერას, რასაც რუსები ეროვნული განვითარებისათვის ომებს უწოდებდნენ“. აგრეთვე „მხარდაჭერას ... შეიარაღებულ ბრძოლაში, როგორც საშინაო პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას“ (სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი უ. დაიესი). ასეთი მოქმედებანი სავსებით სამართლიანად კვალიფიცირდებოდა როგორც „უფლებათა აღმაშფოთებელი დარღვევა და სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უკანონო ჩარევა“ (გენერალი ა. ჰეიგი).

საბჭოური მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აკრიტიკებდნენ აშშ-ის ადმინისტრაციას, რომელიც აცხადებდა, რომ „საბჭოთა კავშირს ბრალი მიუძღოდა ტერორიზმში, რამდენადაც მის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიო რევოლუციისათვის ხელის შეწყობა და მსოფლიო სოციალისტური ან კომუნისტური სახელმწიფოს შექმნა“.

ამერიკელ პოლიტოლოგთა აზრით, საბჭოთა კავშირი „მხარს უჭერდა შეიარაღებულ ბრძოლას... როგორც, მაგალითად, ეს მოხდა სალვადორსა და ნამიბიაში“, აგრეთვე თავისი მიზნების მისაღწევად იყენებდა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა კუბა, ლიბანი ან ირანი.

მარქსისტები კი ასეთ ბრალდებებს სრულიად ყალბ წანამძღვრებზე აგებულად აცხადებდნენ და ვერ გრძნობდნენ ან არ უნდოდათ გაეგოთ, რომ თავად „მარ-

ქსიზმ-ლენინიზმისა“ და სკკპ პროგრამაში იყო ჩადებული ტერორიზმის საფუძვლები. თურმე საბჭოთა კავშირი ხელს კი არ უწყობდა მსოფლიო რევოლუციას, არამედ თავის საგარეო პოლიტიკაში ემყარებოდა თეზისს რევოლუციური ცვლილებების ისტორიული გარდუვალობის შესახებ. „სოციალიზმი ყველგან გარდუვლად შეცვლის კაპიტალიზმს, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — მთელი მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა მომწიფდა პროლეტარიატის სოციალური რევოლუციისათვის“.

რა არის ტერორი? ეს სიტყვა რუსეთში დასავლეთიდან შემოვიდა. მისი ლათინური ძირი გაშიშვლებულია — terror, სიტყვასიტყვით ითარგმნება „საშინელება“ და იგი დიდი ხანია არსებობს. ამ სიტყვას იყენებდნენ ჯერ კიდევ ძველ რომში, ჩვენს ერამდეც კი.

ლარუსის ფრანგული ენციკლოპედია აღნიშნულ ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: „ტერორი — ძალადობა და დანაშაულობანი, რომელთაც სისტემატურად ახორციელებენ იმ მიზნით, რომ ინდივიდუმთა ჯგუფები შიშში იყოლიონ“. იგივე სიტყვის შესახებ ოქსფორდის ლექსიკონში ნათქვამია: „ტერორი — საფრანგეთის რევოლუციის პერიოდი (და ანალოგიური პერიოდები, რომლებიც რევოლუციონერთა სისხლიანი ექსცესებით ხასიათდება)“. ეს განმარტება სრულიად მიუღებელი იყო მარქსისტებისათვის.

უებსტერის ამერიკული ლექსიკონი კი ტერორიზმს ასე ახასიათებს: „ტერორი — მწვავე შიშის მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია ძალადობის გა-

მოყენებით, რასაც პარტია ან ფრაქცია ახორციელებს (სისხლისღვრა, დაპატიმრება, კონფისკაცია ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით)".

ცნობილი ფრანგი იურისტის ქრისტიან რულეტის აზრით, ტერორიზმი არის უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობა თვითრეკლამისა და პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, და ყველგან ერთი და იგივე საშუალებით — მკვლელობა, მძევლებად აყვანა, ნაღმის დადება და ა. შ.

ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებსაც ომის დამთავრების შემდეგ ანტისაბჭოთა განწყობილება შეექმნათ, თბილისში ეწეოდნენ ფარულ მუშაობას. მაგალითად, 1949 წელს თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში აზერბაიჯანელი ეროვნების ახალგაზრდობა საბჭოთა რეჟიმისადმი საწინააღმდეგოდ განეწყო. ასეთები იყვნენ ხალილ გაჯილაროვი, მუსავატური პარტიის ყოფილი წევრი, წარმოშობით ნახჭევანიდან, აზიზ მურაკულოვი, ჰასან ხეირ-ზადე, ზიადინ ეფენდიევი და სხვ.

იმავე 1949 წლის იანვარ-ოქტომბერში თბილისში აღმოჩენილი იქნა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ახალგაზრდული ორგანიზაცია, სახელწოდებით „ახალგაზრდა თაობის ცენტრალური დემოკრატიული კომიტეტი". მონაწილეთაგან დაკავებული იქნა ცხრა პიროვნება — ეროვნებით სომხები: 1. ედუარდ ვარდუმიანი, 2. ალექსანდრე აბოვიანი, 3. რაფაელ აირაპეტოვი, 4. გევორქ მარქარიანი, 5, ვახუშ ვართანოვი, 6. ნიკოლოზ

გიგოლოვი, 7. კარლენ კოტინიანი, 8. სერგო აფრიკიანი, 9. სერგო ბალდასაროვი. ძებნაში იყო კიდევ ხუთი პიროვნება. აღნიშნული ორგანიზაციის ხელმძღვანელები იყვნენ ა. ვარდუმიანი, ა. აბოვიანი და რ. აირაპეტოვი. მათ ჯერ კიდევ 1945 წელს ჩამოაყალიბეს დასახელებული კომიტეტი და 1949 წლამდე კონსპირაციულად მუშაობდნენ. ცენტრს ჰყავდა ორგანიზაციული, სააგიტაციო, დაზვერვისა და ტერორისტული ჯგუფები, რომელთა ფუნქციები შემდეგნაირად იყო განაწილებული: 1. ორგანიზაციულ ჯგუფს ევალებოდა ახალი წევრების მიზიდვა; 2. სააგიტაციო ჯგუფი აწარმოებდა ანტისაბჭოურ პროპაგანდას როგორც ორგანიზაციის წევრებთან; ასევე ფართო მასებში; 3. სადაზვერვო ჯგუფს ევალებოდა ფარული თვალყურის დევნება ორგანიზაციის წევრებზე, რათა მათ არ გაეცათ და არ „ჩაეგდოთ" ორგანიზაცია; 4. ტერორისტული ჯგუფი ფუზიკურად უნდა გასწორებოდა როგორც ორგანიზაციის გამცემ წევრებს, ისე სუკ-ის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ცდილობდნენ გამოეძიათ ცენტრის არსებობა.

ეს ჯგუფები ცენტრმა შექმნა 1949 წლის დასაწყისში. მათ პრაქტიკულად ვერ შეძლეს მუშაობის განხორციელება, რადგან სწრაფად გაიხსნა ცენტრის საქმიანობა და წევრები დააპატიმრეს.

თავისი არსებობის მანძილზე ცენტრმა მოაწყო ოცზე მეტი საიდუმლო შეკრება, სადაც განიხილეს საბჭოთა კავშირის შინაპოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა, სსრკ და კაპიტალისტურ ქვეყნებთან ომის

შემთხვევაში ანტისაბჭოური ორგანიზაციის ამოცანები. ცენტრის ახალ წევრებთან მუშაობის გაძლიერების საკითხები და საწევრო შესატანების მდგომარეობა, რაც განსაზღვრული იყო 5 მანეთით თვეში ყოველი წევრისაგან. ამასთან ერთად, ეძებდნენ გზებს იარაღის შესაძენად და საბეჭდ მანქანას აგიტაციური მუშაობისათვის. საბოლოო მიზნად ცენტრი ისახავდა სსრკ — კაპიტალისტურ ქვეყნებთან ომის შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

მსოფლიოში არსებული ბუმბერაზი დაზვერვის სპეციალური სამსახურების ერთობლიობიდან ამ ეტაპზე განსაკუთრებით აშშ-ს დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს გამოვყოფთ, რომელიც სტრატეგიული სამსახურების სამმართველოს მემკვიდრეა. დაზვერვის ცენტრალური სამმართველო 1947 წელს ჩამოყალიბდა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცივი ომის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, ინარჩუნებს უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას ისეთი ზესახელმწიფოსთვის, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია და მის პოლიტიკურ არსენალში ყველაზე სერიოზულ იარაღს წარმოადგენს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე არაერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე ღიმილით იხსენიებენ ფიდელ კასტროს „მკვლელობის“ გეგმას, როდესაც „ცრუ“-მ გადაწყვიტა სასმელში ჩაეყარათ წამალი, რომელიც წვერ-ულვაშსა და თმებს გააცვენდა: გაპარსული კასტრო — ეს უკვე აღარ იქნებოდა „კომან-

დანტე“, და კუბელ ხალხს ნდობა დაეკარგებოდა თავისი ბელადისადმი.

მრავალი ათეული წლების განმავლობაში დასავლეთის დაზვერვა გდრ-ში საბჭოთა ჯარის ყაზარმებისა და ჰოსპიტალების სიახლოვეს ფილტრავდა ნაგვის ყუთებსა და ორმოებს. და მოხდა სასწაული, მიაღწიეს გასაოცარ შედეგებს: მოიპოვეს ზესაიდუმლო ინფორმაცია ახალი „საბჭოთა ტანკის“ ჯავშნის შესახებ. რუსი სამხედროების დაუდევრობის შედეგად ნატომ შექმნა ახალი ტანკსაწინააღმდეგო საშუალება (ოპერაცია „თამარიქსი“).

დასავლეთის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ტუალეტები. არმიაში შესაბამისი ქაღალდი ხომ ყოველთვის დეფიციტი იყო, რის გამოც იყენებდნენ საიდუმლო დოკუმენტებს. ასეთი „მეთოდით“ ინგლისის დაზვერვამ მოიპოვა დასავლეთის ჯგუფის მოქმედების საიდუმლო გეგმა.

ფართოდ ვრცელდებოდა მოსასმენი აპარატურის გამოყენების პრაქტიკა. ჰასტერნაკის საფლავის სკამზეც კი დაყურადების საშუალებები იყო მიმაგრებული, სადაც მწერლები იკრიბებოდნენ.

მზვერავები ინტენსიურად იყენებდნენ საიდუმლო მასალის შესანახად მოსკოვის სასაფლაოებს. ყველაზე საიმედო „სამალავი“ — ეს იყო კუბო. იყო შემთხვევები, როდესაც კუბოში აღმოაჩინეს მიკროფირები და ათასობით დოლარი.

რესტორნებში გართობა, სადაც შედიოდნენ უცხოელები, ჩეკისტებს აკრძალული ჰქონდათ. რესტორანში მათ რატომღაც ავიწყდებოდათ სამსახურებრივი მოვალეობა. ერთმა ჩეკისტმა სასტუმრო „ბაქოში“ იცეკვა ესტონელ გოგონასთან, რომელიც აღმოჩნდა იტალიის საელჩოს მეორე მდივანი. მასზე მეთვალყურეობა იყო დაწესებული. ჩეკისტის ქმედება ეჭვის ქვეშ დააყენეს და ჩქარა გაათავისუფლეს სამსახურიდან.

განათების ბოძები ... საჯაშუშო ნიშნების ტრადიციული ადგილი: სასწრაფო გამოძახება შეხვედრაზე, გაფრთხილება საშიშროების მოახლოებაზე, შეხვედრის ადგილის შეცვლა, — ლურჯი, წითელი, თეთრი ცარცი, მანქანიდან ყოველთვის შესანიშნავად ჩანს. საბედნიეროდ, მეეზოვეები — ძალოვანი სტრუქტურების მუდმივი დასაყრდენი — ბოძებს იშვიათად რეცხავდნენ, ამიტომ მზვერავთა კავშირი შეუფერხებლად მუშაობდა.

XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გახშირდა დასავლეთის მხრიდან საბჭოთა საჰაერო სივრცის დარღვევის შემთხვევები. 1960 წლის 1 მაისს, როდესაც სსრკ-ს მოსახლეობა „მშრომელთა საერთაშორისო დღის“ აღსანიშნავად ემზადებოდა, დილის 8 საათზე საზღვარი დაარღვია ამერიკულმა მზვერავმა თვითმფრინავმა. თვითმფრინავი ჩამოაგდეს. პილოტი გადარჩა. ის აღმოჩნდა ფრენსის პაუერსი. პილოტი-მზვერავი გაასამართლეს და 10 წელი მიუსაჯეს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ პირველად იხილა კაცი, რომლის სახელი 1957-1962 წლებში

დასავლეთის პრესის მთავარი თემა იყო. ეს პიროვნება გახლდათ პოლკოვნიკი რუდოლფ ივანეს ძე აბელი. ამ გვარით იყო ცნობილი სუკ-ის პირველ მთავარ სამმართველოში. სინამდვილეში მას ეძახდნენ ვილჰელმ ფიშერს, რომელიც დაიბადა ლონდონში გერმანელი „კომინტერნელის“ ოჯახში.

პოლკოვნიკი აბელი დააპატიმრა აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ნიუ-იორკში, როგორც საბჭოთა აგენტი. მისი სასამართლო პროცესი სენსაციად იქცა.

ნიუ-იორკის სასტუმრო „ლოტემ“-ში აბელი მარტინ კოლინზის გვარით ცხოვრობდა. 1957 წლის 11 მაისს 7 საათსა და 30 წუთზე, სიცხისაგან შეწუხებულს, თითქმის შიშველს უდარდელად ეძინა. კარებზე კაკუნი გაისმა. ოთახში შევიდა ფედერალური ბიუროს სამი აგენტი.

ვიდრე აბელი დაბნეული იჯდა საწოლზე და იცვამდა, ჯენტლემენებმა მკვეთრი საუბარი დაიწყეს: „პოლკოვნიკო! ჩვენ ყველაფერი ვიცით შენს შესახებ, და შესთავაზეს თანამშრომლობა!“ აბელმა მტკიცე უარი განაცხადა.

პირებმა, ვინც ჩხრეკა ჩაატარა, აღნიშნეს, რომ აბელის ნივთები შეძენილი იყო ძვირადღირებულ მაღაზიებში. ამოღებული იქნა 6,5 ათასი დოლარი და ერთ-ერთი ბანკის სეიფის გასაღები, სადაც მის სახელზე ირიცხებოდა 15 ათასი დოლარი. ნივთებს შორის აღმოჩნდა დაბადების მოწმობის სერთიფიკატი ემილ რობერტ

გოლფურისა და ანალოგიური დოკუმენტი მარტინ კოლინზის სახელზე. აბელმა არ უარყო, რომ ორივე დოკუმენტს ფლობდა.

პატიმარი ჯერ ტეხასში, შმდეგ კი პატარა ქალაქ ნიუარკში გადაიყვანეს, სადაც უნდა შემდგარიყო სასამართლო პროცესი. აეროდრომს განსაკუთრებით იცავდნენ. ყველგან წრიალებდნენ ბიუროს აგენტები და სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი პოლიციელები. ეშინოდათ, რომ სუკ-ის ყველგან მყოფი ხელი გაანთავისუფლებდა თავის ერთგულ შვილს გამოძიების კლანჭებისაგან. დაპატიმრებისა და სასამართლოს შესახებ პრესას ცნობა გადაეცა. მიხვდნენ, რომ აბელი გამოძიებასთან გარიგებაზე არ წავიდოდა და სუკ-თან „თამაში" არ შედგებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის აბელის საქმე თავისებური ეგზოტიკური მომენტი იყო: ასამართლებდნენ სუკ-ის მიერ არა გადაბირებულ ამერიკის მოქალაქეს, არამედ სუკ-ის ცოცხალ კადრის პოლკოვნიკს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სხვადასხვა გვარით შტატების ტერიტორიაზე ემსახურებოდა საბჭოთა დაზვერვას.

უეჭველია აბელი ციხეში გარდაიცვლებოდა, რომ არ ჩამოეგდოთ „საბჭოეთის ცაზე" ამერიკელი მფრინავი პაუერსი. სხვათაშორის პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერს არც უფიქრია ჯაშუშობის ფაქტის უარყოფა. პირიქით, აღნიშნა, რომ რუსებიც ამ საქმით არიან დაკავებული და მაგალითისათვის პოლკოვნიკი აბელი დაასახელა.

პრესამ მაშინვე „შემოაგდო“ იდეა: რატომ არ შეიძლება გავცვალოთ აბელი პაუერსზე?

მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა მოგვიანებით მოხდა. უბრალოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ჯაშუშობის ფაქტის სახალხოდ აღიარება, ყველაზე მოწინავე საგარეო პოლიტიკის დისკრედიტაციასაც იწვევს.

ამერიკის მხარის წინადადებით პაუერსი გაცვალეს აბელზე. გაცვლა მოხდა 1962 წლის 10 თებერვალს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე — გლინკა-ბრიუკეს ხიდზე.

აბელისათვის არანაირი თანამდებობა არ მიუციათ, მხოლოდ ჯილდოებით აღნიშნეს მისი დამსახურება. ზოგჯერ კონსულტანტად იწვევდნენ. ის ყოველთვის იყო ფრთხილი და თავშეკავებული, მიჩვეული მკაცრ თვითდისციპლინას, სუკი-ს წესების ყოველგვარ თამაშებში. საზღვარგარეთ ის მარტოხელა იყო და არავის უხსნიდა თავის სულიერ სამყაროს. სამშობლოშიც მხოლოდ საკუთარი ოჯახისა სჯეროდა. დაბრუნებიდან სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა „კიბოს“ დიაგნოზით. დარჩა ორ ოთახიანი ბინა მოსკოვში, მშვიდობის გამზირზე და ერთი უბადრუკი აგარაკი.

მოგვიანებით, მიკროელექტრობის განვითარებამ ამერიკელებს მრავალი უსიამოვნება მოუტანა. საბჭოთა კონტრდაზვერვამ ამერიკელი დიპლომატების მანქანებზე დაიწყო რადიო გადამცემების დამონტაჟება, რის მეშვეობითაც იგებდა მათი გადაადგილების მისამართებს. ასევე ამერიკელი მზვერავების ფეხსაცმელებზე აკრავდნენ სპე-

ციალურ „მიკროსქემას“ და არკვევდნენ, სად დადიოდნენ და ვის ხვდებოდნენ.

1964 წელს ჩაიკოვსკის ქუჩაზე აშშ საელჩოს შენობაში თამაშის დროს დიპლომატების ბავშვებმა აღმოაჩინეს მიწისქვეშა გვირაბი, რომელიც გათხრილი იყო მრავალი წლის წინათ. იმავე წელს ამერიკელებმა ამოიღეს საელჩოს კედლებში ფარულად მოთავსებული 40 მიკროფონი და კიდევ 50 ერთეული დაყურადების საშუალება საცხოვრებელ ბინებში.

აი კიდევ ერთი სიურპრიზი: სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის განყოფილების გამგემ აშშ ელჩს საჩუქრად გადასცა ხელით ასამუშავებელი ხის არწივი. მადლიერმა ელჩმა საჩუქარი თავის სამუშაო მაგიდაზე დადგა. ერთი წლის შემდეგ არწივში აღმოაჩინეს რადიოგადამცემი, რომლის მეშვეობით ყველა საუბარი მონიტორიდან, რომელიც ფუნქციონირებდა საელჩოს მოპირდაპირე შენობაში გადაიცემოდა ლუბიანკაზე.

საჩუქარიც ამას ქვია!

აქვე, მოკლედ შევეხებით საბჭოთა რუსეთის დაზვერვის როლს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობაში.

საერთოდ, საქართველოს ძალით გასაბჭოებაში რუსეთის სახელმწიფოს საგარეო, სამხედრო და სხვა უწყებებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთის საგანგებო კომისიამ („ვეჩეკა“), რომელმაც ფაქტობრივად სათავე დაუდო არამარტო ჩვენი ქვეყნის

გასაბჭოებას, არამედ იმ კონფლიქტს, რომელსაც 20-იან წლებში და საერთოდ, მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე ჰქონდა ადგილი საქართველოში ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ ჯერ კიდევ 1919 წელს გარკვეული მუშაობა ჩაატარა რუსეთში საქართველოს საკონსულოს მიმართ და სავარაუდოდ, გადაბირებებიც განახორციელა.

„ვეჩეკას" არ შეიძლება უყურადღებოდ დაეტოვებინა რუსეთში მრავლად არსებული ქართული კოლონიები და მათი „ეროვნული კომიტეტები", სადაც ქართველები ხშირად იკრიბებოდნენ ჭიქა ჩაიზე, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი საერთო კრებებსაც მართავდნენ. კომიტეტები რომ მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ იქიდანაც ჩანს, რომ რუსეთში საბჭოთა ტერორის ერთ-ერთი მსხვერპლი ისინი იყვნენ.

„ვეჩეკა" იყენებდა საქართველოში მობრუნებულ, რუსეთის ფრონტზე სამსახურიდან გათავისუფლებულ ქართველ და სომეხ მეომრებს. მათ ჩეკისტები გზადაგზა აკავებდნენ, დაკითხვას უწყობდნენ, ჩხრეკდნენ, ზოგჯერ ხვრეტდნენ კიდეც კონტრრევოლუციონერებთან თანამშრომლობის ან მოხალისეთა არმიაში მონაწილეობის მოტივით. ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა, მაგალითად, 1918 წლის აპრილის დასაწყისში ქალაქ არმავირში, როცა „ივერიელთა პოლკის" 39 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 13 ქართველი, ხალხის თვალწინ დახვრიტეს.

ჯარისკაცების დაკავებისა და დაკითხვების პროცესში საგანგებო კომისიას საშუალება ეძლეოდა სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციები შეეგროვებინა არამარტო საქართველოში, არამედ თვით რუსეთში მიმდინარე პროცესებზე ან განეხორციელებინათ ცალკეული გადაბირებები, გარკვეულწილად შეესუსტებინათ ქართული სახელმწიფოს ძლიერება მისი მოქალაქეების პატრიოტულად განწყობილი ერთი ნაწილის განადგურების თუ შემდგომში თავის სასარგებლოდ მუშაობის გზით.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია და ქვეყნის სამხრეთში მოქმედი მისი დანაყოფები 1919-1920 წლებში გარკვეულ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს შესახებ სადაზვერვო ინფორმაციების მოსაპოვებლად.

დაპყრობის წინ საქართველოში 9-10 ათასი კომუნისტი იყო, რომლებიც ფართო აგიტაციას ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთავრობის წინააღმდეგ ფარული და ღია ჯაშუშობისათვის დაპატიმრებული იქნა 513 ბოლშევიკ-კომუნისტი და არალეგალურად მომუშავე მათი ფარული აგენტები, აგრეთვე, დენიკინის მოხალისეთა ჯარის მომხრე და სხვა არაკეთილსაიმედო, მავნე 179 პიროვნება; აღმოჩენილ იქნა ბოლშევიკ-კომუნისტთა რამდენიმე საიდუმლო სტამბა.

დაპატიმრებულთა შორის იყო 1918 წელს რუსეთიდან არალეგალურად შემოსული ტიტე ლორთქიფანიძე (1921-1922 წლებში საგანგებო რწმუნებული ბანდიტიზ-

მთან ბრძოლაში; 1923-1925 წლებში ამიერკავკასიის „ჩეკას“ კონტრდაზვერვის განყოფილებისა და საქართველოს სსრ მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი), რომელსაც, როგორც კომპარტიის წევრს, ფარულად შემოჰქონდა იარაღი და ლიტერატურა. პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით ახორციელებდა ტერორისტულ აქტებს.

ქართველმა ძალოვანებმა ასევე დააპატიმრეს შემოგზავნილი აგენტი, ცნობილი რევოლუციონერი — ბოლშევიკი ა. კობაზიძე-მირსკი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის ნათესავი, რომელიც საქართველოში 1919 წლის დამლევს ჩამოვიდა. მისი მიზანი იყო არამარტო სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, არამედ ბოლშევიკური პარტიის მებრძოლ რაზმთა ჩამოყალიბება.

საქართველოს წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობას საგანგებო კომისია მე-9, მე-10 და მე-11 არმიების საგანგებო განყოფილების მეშვეობითაც ახორციელებდა. ეს რომ ასე იყო, ნათლად ჩანს ცნობილი ჩეკისტის ლავრენტი ბერიას მიერ 1923 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული ავტობიოგრაფიიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „აზერბაიჯანში აპრილის გადატრიალების პირველსავე დღეებში სამხედრო-რევოლუციურ საბჭოსთან არსებული კავკასიის ფრონტის მე-11 არმიის სადაზვერვო განყოფილებებიდან კომპარტიის სამხარეო კომიტეტის მიერ იატაკქვეშა მუშაობისათვის რწმუნებულის რანგში გაგზავნილი ვიქენი საქართველოში. თბილისში

კავშირს ვამყარებ ამხანაგ ამაიაკ ნაზარეტიანთან, ვშლი რეზიდენტურულ ქსელს საქართველოსა და სომხეთში, კავშირს ვამყარებ საქართველოს არმიისა და გვარდიის შტაბებთან, რეგულარულად ვაგზავნი კურიერს სადაზვერვო განყოფილებაში, ქ. ბაქოში“.

ამავე ავტობიოგრაფიიდან ირკვევა, რომ საქართველოში სადაზვერვო დავალებით შემოსულმა ლ. ბერიამ ჩავარდნის შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ პატიმრობიდან გათავისუფლებულს ქართული მხარის მოთხოვნის შესაბამისად, სამი დღის ვადაში დაეტოვებინა საქართველო, „ლაკერბაიას“ ფსევდონიმით დაიწყო მუშაობა რუსეთის წარმომადგენლობაში ს. კიროვთან.

თბილისში რუსეთის საელჩოს შექმნის შემდეგ, საქართველოს წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობა კიდევ უფრო გააქტიურდა. ეს დასტურდება ამიერკავკასიაში კავკასიის ფრონტის სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი რეზიდენტის ნაჩაევის ჩვენებიდანაც, რომელიც მან ლ. ბერიას წინააღმდეგ მისცა გამოძიებას 1953 წლის 16 ივლისს. კერძოდ მან აღნიშნა, რომ: „ჩემი საქმიანობის ზონაში სხვა რაიონებთან ერთად შედიოდა მენშევიკური საქართველოც“. შემდეგ იგი აღნიშნავს, თუ როგორ შეიტყო 1920 წლის მეორე ნახევარში თბილისში გამომავალი ერთ-ერთი გაზეთიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „ბოლშევიკების აგენტის“ ლ. ბერიას დაპატიმრების შესახებ, რომელსაც თან ჰქონდა ტანსაცმლის სარჩულში ჩაკერებული მე-11 არმიის სარეგისტრაციო განყოფილების მიერ გაცემული

პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელსაც ხელს აწერდა ამავე განყოფილების უფროსი პუნკე.

საქართველო რომ განსაკუთრებული მხედველობის არეში ჰყავდა „ვეჩეკას“, თვით ფ. ძერჟინსკის მიერ კავკასიაში "ვეჩეკას" განსაკუთრებული განყოფილებისადმი 1921 წლის 8 იანვარს მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომელშიც ვკითხულობთ: „აუცილებელია შემუშავდეს მუშაობის გეგმა კავკასიაში საქართველოსა და ანტანტის აგენტებისა და ჯაშუშების დაჭერისა“.

აღნიშნული და სხვა მრავალი ფაქტი რელიეფურად მეტყველებს, რომ საბჭოთა რუსეთის უშიშროების ორგანოებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ძალით გასაბჭოებაში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისედაც დაუძლურებული, ხოლო „ცივი ომის“ ეპოქაში განცდილი მარცხის შემდეგ, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი და იდეოლოგიურად გამოფიტული საბჭოთა კავშირი 1991 წელს დაიშალა, რის შემდეგაც არსებობა შეწყვიტა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა და სახელშეცვლილი მოგვევლინა რუსეთის ფედერაციის ფედერალური უშიშროების სამსახურის სახელწოდებით. დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ ნომერ პირველ მტრად გამოცხადებული საბჭოთა კავშირი დაიშალა და დამარცხდა. აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს წინაშე ახალი პრიორიტეტული და სტრატეგიული გეგმები დაისახა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცსია), ფ. 226, საბუთი 372
2. სცსია, ფ. 226, საბ. 2497
3. საქართველოს პრეზიდენტის არქივი (სპა), ფ. 14, ანაწ. 23, საქ. 557, ფურც. 61-62, 80-84
4. ამბავნი დაზვერვისანი, „ჩვენი მწერლობა“, 2007, 16 მარტი
5. თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1983
6. ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982
7. ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბ., 1991, გ. კუტალაძის ბოლოთქმა
8. გ. ზედგინიძე, რა იცოდნენ ევროპელებმა XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოს შესახებ, „ქართული დიპლომატია“, ტ. 3, თბ., 1996
9. ა. ერქომაიშვილი, შეხვედრა მოლოტოვთან, „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 27 ოქტომბერი
10. თ. ენდელაძე, საბჭოთა რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების მონაწილეობა საქართველოს გასაბჭოებაში, „საისტორიო ვერტიკალები“, 2003, №4
11. გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1994

12. ვ. კაჭახიძე, სასამართლო მჭერმეტყველება, თბ., 1980
13. ა. მენთეშაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი I, თბ., 2000
14. ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, თბ., 1997
15. პროკოფი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნინო ეფრემიძემ, თბ., 1989
16. ნ. ნანიტაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია XX საუკუნე, თბ., 2002
17. მ. პაპაშვილი, საქართველო – რომის ურთიერთობა, თბ., 1995
18. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004
19. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979
20. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973
21. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბ., 2003
22. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990
23. მ. სვანიძე, ოსმალეთის ისტორია, თბ., 1999
24. ა. სონღულაშვილი, იდეოლოგიური ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე, თბ., 1987
25. ა. სონღულაშვილი, საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2004

26. ჯ. სტეფნაძე, მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ., 1999
27. ლ. ტუხაშვილი, ფარაონთა და ხალიფთა ტახტების მფლობელნი, თბ., 1992
28. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I-II, თბ., 1998
29. ნ. ქორთუა, საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1965
30. თ. შურღულაია, დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს როლი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში, „საისტორიო ვერტიკალები", 2008, №14
31. ე. ჩერნიაკი, ხუთასწლიანი ფარული ომი, თბ., 1969
32. რ. ჩხეიძე, ბედი პავლე ინგოროყვასი, თბ., 1994
33. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988
34. ს. ხოსიტაშვილი, ასპინძის ომი, თბ., 1972
35. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, თბ., 1983
36. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. IX, თბ., 1996
37. ი. ჯორჯაძე, ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1990
38. **Ф. Бурлацкий**, Новое мышление, М., 1989
39. **Д. Л. Голиков**, Крушение антисоветского подполья в СССР, М., 1980, книга I
40. **Н. зенкович**, Покушения и инсценировки от ленина до Елцина, М. 1998
41. **Н. зенкович**, Тайны уходящего века, Т. 2, М. 1998
42. Тайные операции российских спецслужб с IX по XXI век, М., 2000

43. **Ф. Колар**, Экспорт контреволюции, пер. с. чешского, М., 1983
44. **В. С. Комаровский**, Лож на экспорт, М., 1983
45. Красная книга ВЧК, т. I-II, М., 1989
46. **В. крючков**, Личное дело, в 2-х частях, м., 1997
47. **М. Любимов**, Шпионы, которых я люблю и ненавижу, м., 1998

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail. universal@internet.ge